ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ ვაჟა-ფშაველა
8 ლარი
11 ივლისიდან 25 ივლისამდე




პარასკევი, 15 ივლისი, 2011 №166 (5547 ) ფასი: 30 თეთრი

## ვის დარჩება ბათუმი, თურქებს თუ სომხებს

რა გართულებებს უნდა ველოდოთ ზღვისპირა ქალაქში გვ.3



გვ.2

## ხალხის განადგურების შემდეგ ნაციონალები ცხოვრებას შეესივნენ

ვინ ავლებს მუსრს შველსა და ირემს



## ხელისუფლება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას გააგრძელებს

გვ.3



გვ.6

## ფოტოგრაფებმა სამშობლოს კი არა, ნაცმოძრაობას უღალატეს



გვ.4

## 26 მაისის დარბევამ ანქვაბიც შეაშფოთა

ჩერქეზების გენოციდის აღიარებაზე პირველი ელცინი ალაპარაკდა

## საქართველო „ბრუზია“ აღარ იქნება

გვ.2



3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## სააკაშვილმა ფაშისტური რეჟიმი დაამყარა

გვ.7

დაკავებულ ფოტოგრაფებს ყველამ უნდა დაუჭიროს მხარი



## რესპუბლიკელები დიღმის პრობლემამ შეაწუხა

გვ.5

ISSN 1987-9385

**2** ქურციკიძის ადვოკატი ნინო ანდრიაშვილი კომენტარებს აღარ აკეთებს

**8** ოლეგ ბასილაშვილი ქართულ-რუსულ ფილმში ითამაშებს

**2** ნესტან ნეიძე გიორგი აბდალაძის გიორგაძესთან კავშირს გამორიცხავს

**3** საქართველოში ეთნიკური დაპირისპირება არ მოხდება

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ხალხის განადგურების შემდეგ ნაციონალები ცხოველებს შეესივნენ

## ვინ ავლებს მუსრს შველსა და ირემს

**შორენა კოწოწაშვილი**

ლეიბორისტები ხელისუფლებას ჩარგლის ტყეებისთვის ყურადღების მიქცევას ურჩევენ და აცხადებენ, რომ ხელისუფლების „სიკვდილის ესკადრონების“ წევრები ამ ადგილებში შვლებზე და ირმებზე ნადირობენ, რაც ფაუნის განადგურებას იწვევს. ნათელაშვილის თანაგუნდელები ჩარგალში ბრაკონიერობის ფაქტებს აპროტესტებენ და ნადირობის მოყვარე ნაციონალების პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებლობაზე ამახვილებენ ყურადღებას.

— თბილისში პოლიტიკური მიტინგების დარბევისა და ხალხის დახოცვის შემდეგ მაღალჩინოსანი სიკვდილის ესკადრონები გულს იოხებენ ჩარგალში შვლებზე, ირმებსა და ჩვენი ფაუნის სხვა უნიკალურ იშვიათობებზე ნადირობით. უფრო მეტიც, ჩარგალ-მაღაროსკარის ტყე სააკაშვილის მთავრობას გამოტანილი აქვს გასაყიდ ლოტად, — განაცხადა ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, უამრავი შემთხვევა ფიქსირდება, როდესაც მაღალჩინოსნები ძვირადღირებული ჯიპებით აბრძანდებიან ჩარგალ-მაღაროსკარის ტყეებში და იქ ბარბაროსულად ხოცავენ შვლის ნუკრებს.



პრესკონფერენციას ესწრებოდა ვაჟა რაზიკაშვილი, დიდი ვაჟა-ფშაველას მემკვიდრე. მისი თქმით, ხალხი ხედავს, როგორ ანადგურებს ტყეებში შვლებს და სხვა ცხოველებს.

— მერიის და უშიშროების წარმომადგენლები ამოდიან ვაჟა-ფშაველას სოფელში, ნადირობენ ირმებზე, შვლებზე, ჯიხვებზე. გასული წლის ნოემბერში ამოვიდნენ „ჯიპები“, რომელსაც ეწერა თბილისის მერია. სოფელში ჩამოვარდნენ დამფრთხალი შვლები, რომლებიც ჩვენ გადავარჩინეთ. როცა ნადირობის სეზონია, ხალხი ხედავს, როგორ ნადგურდება ცხოველები, — აღნიშნა რაზიკაშვილმა და ხელისუფლებას მოუწოდა, გააკონტროლოს ხეობა მსგავსი ნადირობებისას.

— ხელისუფლება, რომელიც სასატიკად უსწორდება საკუთარ მოსახლეობას, თავს უჩეხავს მიტინგის მონაწილეებს და შემდეგ მათ გარდაცვლილებს პოულობენ, რა გასაკვირია, რომ ეს ხელისუფლება სასტიკად ანადგურებდეს ფლორას და ფაუნას, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა. მისი თქმით, ხელისუფლება წითელ წიგნში შეტანილ ამ სიმდიდრეს არ უფრთხილდება.

— კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, აღკვეთოს მაღალჩინოსანთა ასეთი თავაშვებული პარპაში. იმ დროს, როდესაც მოსახლეობას იმის უფლებას არ აძლევენ, რომ ტყეში შევიდეს და ფიჩხი გამოიტანოს ან პანტა დაკრიფოს, თვითონ ყველაფრის უფლება აქვთ. ვითხოვთ ჩადგეს პოლიციის პოსტი სოფელ ჩარგალში და თითოეული ასეთი ბრაკონიერობის შემთხვევა, რომელიც დაფიქსირებული იქნება, გახდეს საჯარო, — განაცხადა შატბერაშვილმა.

### ქურციკიძის ადვოკატი ნინო ანდრიაშვილი კომენტარებს აღარ აკეთებს

ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულ ფოტოგრაფ ზურაბ ქურციკიძის ადვოკატი ნინო ანდრიაშვილი კომენტარებს აღარ აკეთებს. ანდრიაშვილი გუშინ მისი დაცვის ქვეშ მყოფთან იმყოფებოდა და საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა. მოგვიანებით „პირველი“ ანდრიაშვილს ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდა. ზარს სხვა ქალბატონმა უპასუხა და განაცხადა, რომ ადვოკატი არანაირ კომენტარს აღარ გააკეთებს, თუმცა მიზეზი არ განუმარტავს. აღსანიშნავია, რომ ქურციკიძის ადვოკატი ნინო ანდრიაშვილი გუშინ გაკეთებულ სატელევიზიო კომენტარში საკუთარი საქმიანობის განხორციელების პროცესში არსებულ ხელისშემშლელ ფაქტორებზე საუბრობდა. ანდრიაშვილის თქმით, მას საპყრობილედან ქურციკიძესთან შეხვედრის ჩანაწერი არ გამოატანეს.

— წინააღმდეგობა გრძელდებოდა. ციხის გამოსვლის დროს თანამშრომელი ფურცელს მართმევდა და თან კითხულობდა. ვინაიდან ვერაფერს გავხდი, იძულებული გავხდი, ეს ფურცელი დამეხია. ეს ის მომენტია, როდესაც საქმეზე მუშაობაში ხელი მეშლება. ერთი ის, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან საქმის მასალების გამოტანა პრობლემა გახდა და მეორე ის, რომ მე არანაირი ჩანაწერის გაკეთების უფლება არ მრჩება. გამოდის, რომ მთელი საქმე უნდა დავიმახსოვრო, — განაცხადა ანდრიაშვილმა.

ამასთან, ქურციკიძის ადვოკატი აცხადებდა, რომ დაკავებული ფოტოგრაფების საქმეს, რომელსაც გრიფი „საიდუმლო“ ადევს, მხოლოდ მოსმენით იცნობს.

— ყველა ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი და კიდევ რამდენიმე თანამშრომელი ერთ ოთახში ვიყავით. ერთი ადვოკატი ამ საქმის მასალებს კითხულობდა, ხოლო დანარჩენები ვუსმენდით. ეს ინფორმაციის სახით გვაქვს მიღებული, დეტალურად კი საქმის მასალებს არ ვიცნობ. ეს შეგნებულად კეთდება, რათა დაცვის მხარე პროცესზე მოუმზადებელი გავიდეს, — განაცხადა გუშინ „მაესტროს“ ეთერში ანდრიაშვილმა.

**პირველი**

### ნესტან ნეიძე გიორგი აბდალაძის გიორგაძესთან კავშირს გამორიცხავს

პატიმრობაში მყოფი ფოტორეპორტიორის გიორგი აბდალაძის მეუღლე ნესტან ნეიძე შს მინისტრ ვანო მერაბიშვილის განცხადებას, რომლის თანახმადაც, „აბდალაძე გიორგაძის კაცია“, „ახალ ბოდვას“ უწოდებს. ამის შესახებ ნეიძემ „მედიანიუსთან“ საუბარში განაცხადა. მან აბდალაძის საქართველოს უშიშროების ყოფილ მინისტრ იგორ გიორგაძესთან კავშირი გამორიცხა და განაცხადა, რომ ასეთი რამ „პირველად ესმის“.

— ამ კავშირის შესაძლო არსებობის შესახებაც კი პირველად მესმის. გამორიცხულია, რომ გიას გიორგაძესთან ჰქონოდა კავშირი. ეს განცხადება ახალი ბოდვაა, — განაცხადა ნეიძემ.

შეგახსენებთ, რომ გუშინ ჟურნალისტებისა და ვანო მერაბიშვილის შეხვედრაზე ამ უკანასკნელმა თქვა, რომ აბდალაძე ამჟამად რუსეთში მცხოვრებ „იგორ გიორგაძის კაცია“. ამის შესახებ შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს მისმა ერთ-ერთმა მონაწილე ნინო დანელიამ განუცხადა.

**მედიანიუსი**

# საქართველო „გრუზია“ აღარ იქნება

**ნათია ხურცილავა**

საგარეო საქმეთა სამინისტროში საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ელჩებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა.

შეხვედრას საქართველოში აკრედიტებულ ევროკავშირის ქვეყნების ელჩებთან ერთად ესწრებოდა ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი.

ჟურნალისტებთან კომენტარის დროს გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ საუბარი შეეხო იმ საკითხებს, რომელიც დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებს აღელვებთ და აინტერესებთ.

შეხვედრაზე განხილვის ერთ-ერთი თემა რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები იყო.

როგორც ცნობილია, საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკებები რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე მიმდინარეობს. აღნიშნული მოლაპარაკებები ევროკავშირმა და ამერიკამ დადებითად შეაფასა. თუმცა, როგორ დასრულდება მოლაპარაკებები და რა შედეგი დადგება ჩვენი ქვეყნისთვის და ასევე გაწევრიანდება თუ არა რუსეთის ფედერაცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ამას დრო გვიჩვენებს. რადგან უკვე ცნობილია, რომ მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი დაგეგმილია.

შვეიცარიაში მიმდინარე მოლაპარაკებებს ქართული მხრიდან სერგი კაპანაძე და თამარ კოვზირიძე წარმოადგენენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ გამართულ შეხვედრაზე, საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ტრადიციულად ხვდებიან ორ თვეში ერთხელ ელჩებს. შეხვედრას გრიგოლ ვაშაძე და მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე ესწრებოდნენ.

— ტრადიციულად ორ თვეში ერთხელ დიპლომატიურ კორპუსს, დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელობას, ელჩებს ვხვდებით და ვპასუხობთ ყველა იმ შეკითხვაზე, რომელიც ჩვენს უცხოელ კოლეგებს ან აღელვებთ, ან აინტერესებთ. დღევანდელი შეხვედრა უმთავრესად მიძღვნილი იყო იმ მოლაპარაკებებისთვის, რომელიც შვეიცარიაში მიმდინარეობს. როგორც იცით, ეს მოლაპარაკებები ეხება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას, — გვითხრა ვაშაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც როგორც მინისტრმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ეხებოდა პროვოკაციებს, რომელიც რუსეთის ფედერაციის მხრიდან ხდება.

საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო დროს განხორციელებული ტერაქტები რუსეთის მიერ იყო ორგანიზებული.

— საუბარი ასევე შეეხო იმ პროვოკაციებს, რომელსაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს. ამ ტერორისტულ აქტებზე ყველაფერი ცნობილია. ასევე ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა გეგმები აქვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ივლისიდან დაახლოებით იანვრამდე, რას ვთვლით საერთაშორისო კალენდრის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებად, — განაცხადა მინისტრმა.

როგორც გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, მათ ელჩების ყველა კითხვას უპასუხეს. შეკითხვა ქართველ მინისტრსაც ჰქონდა.

როგორც ჩანს, მინისტრის შეკითხვა ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხს პალესტინის აღიარებას ეხებოდა, რომელიც უკვე, როგორც ჩანს, დღის წესრიგში დადგა.

— ვუპასუხეთ მათ შეკითხვებს. მეც მქონდა რამდენიმე შეკითხვა, მათ შორის, სექტემბერში იქნება პალესტინის საკითხთან დაკავშირებით რეზოლუცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. მანამდე, ალბათ იქნება მცდელობა, ამ რეზოლუციის შეტანის უშიშროების საბჭოში. მაინტერესებდა ჩემი კოლეგების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, — აღნიშნა ვაშაძემ.

თუ რა განმარტება მიიღო პალესტინის საკითხთან დაკავშირებით, ვაშაძე ასე პასუხობს:

— ჯერჯერობით არც ერთ ქვეყანას პოზიცია არა აქვს ჩამოყალიბებული. ყველა ელოდება თავისი სამინისტროებიდან ინსტრუქციებს. ალბათ ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემის საშუალება მას შემდეგ გაჩნდება, რაც რეზოლუციის ტექსტი გახდება ცნობილი.

ასევე ცნობილი გახდა, რომ „გრუზიას“ ნაცვლად „ჯორჯია“ ჩაიწერება.

ამ საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ბასი და საგარეო საქმეთა მინისტრი სპეციალურ პრეზენტაციას გააკეთებენ შეერთებული შტატების საკონსულოში.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ფოტორეპორტიორების დაკავების საქმესთან დაკავშირებით ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებს უპასუხა. თუმცა, გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ ის თავის მოქალაქეობრივ პოზიციას დააფიქსირებს.

— არსებობს უტყუარი მტკიცებულებები. ასევე უნდა დაველოდოთ სასამართლოს. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში სასამართლო არის ბოლო ინსტანცია, რომელიც გადაწყვეტს ადამიანის ბრალეულობა-არაბრალეულობას. ასევე იმას, შეესაბამება თუ არა წაყენებული ბრალდება ჩადენილი დანაშაულის დონეს ან ხარისხს. რაც შეეხება იმ სპეკულაციებს, რომ თითქოს ხელისუფლება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას აპირებს, არ ვიცი, ამაზე კომენტარი გავაკეთო თუ არა, რადგან სასაცილოა.

კითხვაზე, მიუწვდება თუ არა ხელი საიდუმლო ინფორმაციაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებისმიერ თანამშრომელს, როგორც კალანდაძემ განაცხადა, და მათ შორის ხელმისაწვდომი იყო თუ არა საიდუმლო ინფორმაცია აბდალაძისთვის? მინისტრი პასუხობს:

— ქალბატონ ნინოს ასეთი განცხადება არ გაუკეთებია. საგარეო საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს, რომელსაც აქვს დიპლომატიური თანამდებობა ან რანგი, მას საიდუმლო ინფორმაციაზე ხელი მიუწვდება. რა თქმა უნდა, იმ ადამიანს, ვინც სამინისტროში ხელშეკრულებით მუშაობდა და ფოტოგრაფია, მას არ მიუწვდებოდა საიდუმლო ინფორმაციაზე ხელი, მაგრამ ამ ადამიანს იმის გამო, რომ ის ტვირთავდა ფოტოსურათებს რამდენიმე კომპიუტერზე, მას შეეძლო ამ კომპიუტერებიდან ზოგიერთ დოკუმენტებთან მისვლა. ეს დოკუმენტები ძალიან კარგად არის დაცული, მაგრამ დაცული არის იმისთვის, რომ ეს გამოიყენონ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა. ვიმეორებ, მე არ ვსაუბრობ საიდმულო ინფორმაციაზე. ჩვენ გვაქვს დოკუმენტები, რომელიც სამინისტროს თანამშრომლებისთვის არის ღია, ასევ დოკუმენტები, რომელიც კონფიდენციალურია. ყველა დოკუმენტი, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროშია, რუსეთისთვის და ყველა არაკეთილმოსურნისთვის საინტერესოა, — განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის მიერ გამართულ მშენებლობაზე.



— თუ რუსეთის ფედერაციას გააჩნია რამე თანამედროვე ტიპის შეტევის იარაღი, ყველაფერი არის განლაგებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე. 10 ათასამდე მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეა, არაფერს ვამბობ ფსბ-ს სასაზღვრო პატრულზე. რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებას მე ვერ მივიღებ ვერანაირად როგორც ჭეშმარიტებას, რადგან რეალური მდგომარეობა, რომელიც შექმნილია ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

საქართველოში ვიზიტით უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი იმყოფება. ის უკვე შეხვდა ბათუმში საქართველოს პრეზიდენტს.

დღეს შეხვედრას თავის ქართველ კოლეგასთან გამართავს.

მოლაპარაკებები შეეხება როგორც ორმხრივ ურთიერთობებს, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებში უკრაინის მხარდაჭერას საქართველოსთვის.

უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკებების ერთ-ერთი საკითხი ასევე იქნება ეკონომიკური პროექტები, რომელსაც უკრაინა საქართველოსთან ერთად ახორციელებს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# საქართველოში ეთნიკური დაპირისპირება არ მოხდება

**ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონზე, საზოგადოების დიდი ნაწილისაგან განსხვავებით, სრულიად სხვა დამოკიდებულება აქვს და მიაჩნია, რომ პარლამენტმა კარგი კანონი მიიღო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მან თავისი მოსაზრებები „ახალ თაობას“ გაუზიარა.**



ნონა ცაბაძე

***— ბატონო პაატა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ აღნიშნულმა კანონმა საზოგადოების დიდ ნაწილში სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. როგორია თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით? უნდა ველოდოთ რაიმე გართულებებს?***

— არანაირი გართულება არ მოჰყვება. სულ რამდენიმე რამე მომწონებია ამ ხელისუფლებისაგან. ერთი იყო, ასლან აბაშიძის საკითხი რომ მოაგვარეს და მეორე — ეს. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ საბჭოთა წარსულისაგან. ჩვენი იდენტობა, ქართველობა გვჭირდებოდა, საბჭოთა კავშირში როცა ვიყავით და მაშინ მართლაც საჭირო იყო მეტი სიმტკიცე — ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური, მაგრამ დღეს, როდესაც ვართ სახელმწიფო, კეთილი უნდა ვინებოთ და სხვა რელსებზე გადავიდეთ. სხვა სამოქალაქო ღირებულებები შემოვიტანოთ. ჩვენდა სამწუხაროდ და საუბედუროდ, როცა ვსვამთ კითხვას, რატომ ეხმარება ამერიკა სააკაშვილს, აი, სწორედ ამიტომ ეხმარება. სააკაშვილმა ამ მოქმედებით მშვენივრად აჩვენა, რა განსხვავებაა მასსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის. არაფერი საშიში ამაში არ არის. საქართველოს ეკლესია რომაა დაცული, არსად მსოფლიოში არც ერთი მართლმადიდებელი ეკლესია არაა დაცული ისე. ის დაცულია საკონსტიტუციო შეთანხმებით. არსად მსოფლიოში ასეთი რამე არ მომხდარა. მხოლოდ საქართველოს ეკლესიას აქვს ასეთი დაცვა. სახელმწიფოსთან ხელშეკრულება აქვს დადებული. კანონით კი არა აქვს უფლება მინიჭებული, როგორც ახლა ვლაპარაკობთ სხვადასხვა რელიგიური გაერთიანების მიმართ, ხელსეკრულება აქვს დადებული. სახელმწიფო ვერაფერს გააკეთებს ეკლესიის წინააღმდეგ, თუ ეკლესიის ნება არ გამოიყენა. მაგრამ დანარჩენ რელიგიურ გაერთიანებებს, სადაც ჩვენი მოქალაქეები არიან გაწევრიანებული, უნდა ჰქონდეთ ისეთივე თავისუფლება, როგორიც აქვს ჩვენს ნებისმიერ მოქალაქეს. ეს გადაწყვეტილება არ არის სომხეთის ან გარეგინის სასარგებლოდ. ეს არის საქართველოში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე სომეხი ეროვნებისათვის. ჩვენი ხალხისთვის არის ეს ყველაფერი გაკეთებული. მე გული მწყდება, რომ ჩვენ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობთ. ჩვენი მენტალობა იმპერიაში ჩარჩა და გვეშინია ნებისმიერი გაფაჩუნების. იმის მაგივრად, რომ მოხდეს ამ ხალხის ინტეგრაცია, ვაგრძნობინოთ, რომ მათი ეკლესიები ჩვენი ეკლესიებია, საქართველოს ეკლესიებია. ის არ არის სომხეთის, ის არ არის გარეგინის, ის საქართველოს ეკლესიებია, ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეების არის. უნდა გავთავისუფლდეთ ამ პრიმიტიული კომპლექსისაგან, რომ, არიქა, გვიტევენ. საქართველოს საგარეო კონტექსტიდან გამომდინარე და საშინაო კონტექსტიდან გამომდინარე არ ჰქონია, რაც დღეს გვაქვს. ამიტომ კეთილი ვინებოთ და ნუ გვეშინია საკუთარი ჩრდილის.

***— საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმაც, რომ ამას არ მოჰყოლია საზოგადოებაში განხილვა. პარლამენტმა ნაჩქარევად, დაჩქარებული წესით მიიღო კანონი...***

— ეს უკვე სხვა საკითხია. საზოგადოებაში ნამდვილად უნდა მომხდარიყო განხილვა. ეს აჩვენებს ხელისუფლების მანკიერ მხარეს, რომ მათ ეშინიათ ქართველი საზოგადოების. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა სააკაშვილმა და ამიტომ ყველაფერს აკეთებს ჩუმად. თუ რამეში არ დავეთანხმებოდი ხელისუფლებას ამ შემთხვევაში, არის ის, რომ მან ჩუმად, ქურდულად გააკეთა ყველაფერი ეს იმის მაგივრად, რომ აეხსნა საზოგადოებისათვის, რა პლუსები აქვს ამას და რა მინუსები. მე კიდევ განმაცვიფრა იმან, რომ იქ ჩამონათვალში არის ბევრი სხვა რელიგიური გაერთიანება და ქართველი საზოგადოება მაინცდამაინც სომხურზე გაღიზიანდა.

***— სომხეთის მხარე ექვსასამდე შენობა-ნაგებობის აღიარებას ითხოვს...***

— ითხოვს, სხვა საკითხია. ეს ადასტურებს იმას, რომ ჩვენთან არ არსებობს სამართლებრივი აზროვნება. რას ითხოვს, სხვა საკითხია. არსებობს სასამართლო, არსებობს გარკვეული ნორმები და კეთილი ვინებოთ და განვიხილოთ. სად მიდის ეს ყველაფერი, აგურებად შლიან და სადმე მიაქვთ თუ რაშია საქმე?! თუ ჩვენ გვინდა სამოქალაქო ინტეგრაცია, კეთილი უნდა ვინებოთ და ავწონ-დავწონოთ, რა უფრო საფრთხის შემცველია საქართველოსათვის, დეზინტეგრირებული, ამოვარდნილი, გაუცხოებული საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არ ენდობიან საქართველოს, რადგან საქართველო მათ არ ენდობა, არაფრის უფლებას არ აძლევს თუ ინტეგრირებული და მაქსიმალურად ჩართული საქართველოს მშენებლობაში? ამიტომ, რას ითხოვენ, ეს სხვა საკითხია. ნუ გვაქვს შიში, რომელიც მოდის ჩვენი უვიცობიდან და უმეცრებიდან. ითხოვენ რამეს? დავსხდეთ და ვილაპარაკოთ. ამ სტატუსის მინიჭებით მათ მიიღეს მხოლოდდამხოლოდ იურიდიული პირობები, რომ მათ აქვთ უფლება, ჰქონდეთ ქონება, იყიდონ, შეისყიდონ, გაასხვისონ, დაბეჭდონ ლიტერატურა. მათ აქვთ უფლება, გახდნენ იურიდიული პირები. შესაძლოა, ჰქონდეთ რაღაც პრეტენზიები, მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. ჩვენი შიში მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ არა ვართ სახელმწიფო, საზოგადოება არა ვართ, რომელსაც არ შეგვიძლია განსხვავებული აზრის პატივისცემა, უცხოს მიმართ პატივისცემა და უცხოს ჩართვა ჩვენს პროცესებში. ჩვენ უცხოს გავურბივართ და მათ მიმართ გვაქვს გაღიზიანება, რაც არის დამანგრეველი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის. ყველა ნორმალურ დემოკრატიულ სახელმწიფოში ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს აქვთ უფლებები, მოახდინონ თავისი თავის რეალიზაცია. ჩვენ თუ გვაქვს უფლება, მართლმადიდებელ ეკლესიაში ვილოცოთ, სომხებს რატომ არ უნდა ჰქონდეთ უფლება, გრიგორიანულ ეკლესიაში ილოცონ?! ისიც ჩემნაირი მოქალაქეა, როგორც მე, ისიც ჩემსავით იხდის გადასახადებს, ისიც ჩემსავით მონაწილეობს არჩევნებში, რით არის განსხვავებული? ჩვენ კვლავ პოსტიმპერიული აზროვნება გვაქვს, რომ ზემოდან ვიღაცა გვმართავს. არა, ჩვენ ვართ ამ ქვეყნის ბატონპატრონები. არავითარი საფრთხე საქართველოს წინაშე არ დგას ამ მიმართულებით. თუ რამე საფრთხეა, ეს არის რუსეთის ოკუპაცია საქართველოს წინააღმდეგ. იქაც ეს ოკუპაცია მივიღეთ, იმიტომ რომ დავუშვით ქართველებსა და ოსებს შორის გაუცხოება. მათი ინტერესების გათვალისწინება არ გვინდოდა ჩვენ. მადლობა ღმერთს, რომ სხვა ეთნიკურ უმცირესობებში არ არის ჩადებული ის ნალმი, რაც იყო ჩადებული აფხაზებსა და ოსებში. 20 წელი გავიდა და ისევ იმავე შეცდომებს ვუშვებთ. იმავე ფოცხს ვაბიჯებთ ფეხს და კვლავ ცხვირ-პირში გვხვდება ამ ფოცხის ტარი. ჩვენ ვერ ვიტანთ განსხვავებას, ჩვენ ვერ ვიტანთ უცხოს და ისიც ჩვენი ხალხია ამ დროს.

***— ითქვა ისიც, რომ შესაძლოა ამან ქსენოფობიური ტალღის აგორებას შეუწყოს ხელი...***

— გამორიცხული არაფერია. თუ ასე ურცხვად და ქურდულად მოიქცევა ხელისუფლება, ასე უტიფრად და თავხედურად, რა თქმა უნდა, ყველაფერი მოსალოდნელია, ამიტომ საჭიროა ხალხს ავუხსნათ, რომ ეს ცუდი კი არა, კარგია, რომ დადებითი მოვლენაა. მთელი ჩვენი ტრაგედია არის ის, რომ ჩვენ თავის დროზე სიკვდილით დასჯა გავაუქმეთ არა იმიტომ, რომ ეს ჩვენი მოთხოვნილება იყო, არამედ იმიტომ, რომ ეს ევროპამ მოგვთხოვა. დღესაც ეს კანონი მივიღეთ უფრო არა იმიტომ, რომ საქართველოს სჭირდება და ქართველ საზოგადოებას სჭირდება, მივიღეთ იმიტომ, რომ დასავლეთიდან იყო მოთხოვნა. დასავლეთმა უკეთესად იცის, რა გვინდა ჩვენ. ჩვენ კიდევ არ შეგვწევს ძალა. მე მივესალმები ჩვენი პატრიარქის გადაწყვეტილებას, პატრიარქი უფრო სწორად მოიქცა პოლიტიკურად, ვიდრე პოლიტიკოსები იქცევიან. მე მიმაჩნია, რომ ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა სინოდის, ის არ წავიდა სიტუაციის გამწვავებაზე. ყველაზე ცუდი ამ ყველაფერში იყო ის, რომ ეს დაუკავშირდა გარეგინის ჩამოსვლას. ეს იყო უაღრესად მცდარი პოლიტიკური გადაწყვეტილება. არაფერი საერთო ამას არა აქვს გარეგინთან.

***— ბატონო პაატა, ასევე ექვსიანის შესახებ მინდა რომ ვისაუბროთ. გასულ კვირას ექვსიანმა პოლიტიკური კოალიცია ჩამოაყალიბა. როგორია თქვენი შეხედულება ამასთან დაკავშირებით, რამდენად წარმატებული იქნება ეს ერთობა?***

— ამას დრო გვაჩვენებს, მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, რომ წარმატებული უნდა იყოს, იმიტომ რომ ეს არის ერთადერთი კუნძული ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, რომელიც ლაპარაკობს არჩევნების გზით, კონსტიტუციის გზით, საარჩევნო გარემოს შეცვლის გზით ხელისუფლების შეცვლაზე. დანარჩენ პარტიებს ან რუსეთის იმედი აქვთ, ან ხელისუფლებას ეკვრებიან. შეუძლებელია, საქართველოში არ არსებობდეს საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც არ უნდოდეს ამ ფორმით ხელისუფლების შეცვლა. მე ვფიქრობ, ამ ექვსიანს უნდა ჰქონდეს გარკვეული წარმატება. დღეს როცა ხელისუფლებაში არის ავტორიტარიზმი და ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, შეზღუდოს ყოველგვარი პოლიტიკური მოქმედებები, შეზღუდულია მედიასივრცე, სატელევიზიო სივრცე, ბიზნესი ვერ ეხმარება პოლიტიკურ პარტიებს და არათანაბარ პირობებში ამყოფებს მისთვის მიუღებელ პოლიტიკურ პარტიებს, ამ ფონზე ექვსიანს სხვა არაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ გაერთიანდნენ ერთიან პოლიტიკურ გაერთიანებაში. პირადად მე სხვადასხვა წარსულისა და ბიოგრაფიის მქონე პოლიტიკური პარტიების გაერთიანება არ მომწონს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. იმედია, მალე დამთავრდება ეს ყველაფერი და დაიწყება მუშაობა ქვეყნის აშენებისათვის. რაღაცისთვის ჩვენთან ნაბიჯები არ იდგმება, ყოველთვის ვიღაცის წინააღმდეგ იდგმება.

***— მთავარია, დღეს რას დათმობს ხელისუფლება...***

— ხელისუფლება დათმობს თუ არ დათმობს, არჩევნები გარდაუვალია. დათმობები თუ იქნება, კარგია და თუ არ იქნება, არჩევნებზე წასვლა მაინც საჭიროა. ყველაფრის მიუხედავად, უნდა წავიდეთ არჩევნებზე. დათმობს, ხომ კარგი, არადა — მისთვის უარესი. აი, ასეთი განწყობა უნდა იყოს. თუ ამომრჩეველი ასეთი განწყობით შეიმოსება, დარწმუნებული ვარ, გამარჯვება გარდაუვალია.

# ხელისუფლება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას გააგრძელებს

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთან დაკავშირებით საპატრიარქოს პოზიცია საკმაოდ მწვავე იყო. პატრიარქმა პრეზიდენტს ვეტოს დადებისკენაც მოუწოდა, თუმცა — ამაოდ, მოწოდება მოწოდებად დარჩა. ყველა ელოდა, რომ სინოდი მკაცრ გადაწყვეტილებას მიიღებდა, თუმცა,საპატრიარქომ სიტუაცია არ გაამწვავა და, ასე ვთქვათ, უკანდახევა არჩია...***

— ჩვენი უწმინდესი არის ბრძენი ადამიანი და კარგად ესმის,



რომ მის სიტყვას აქვს განსაკუთრებული ფასი და ძალა ქვეყანაში. ამიტომ ამ ძალის გათვალისწინებით პატრიარქი ძალიან ფრთხილად ეკიდება მათ შორის ეკლესიისთვის მტკივნეულ საკითხებს და მისი პოზიცია გაჯერებულია გაწონასწორებული და დაბალანსებული შეხედულებებითა და დამოკიდებულებებით. ამიტომ, ცხადია, ხელისუფლება ჩაერია. ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, ალბათ, გარკვეული დაპირებები მისცა უწმინდესს, მეორე მხრივ, გარკვეულწილად ხაზი გაუსვა იმას, რომ შეიძლება ამ ყველაფერს რთული პროცესები მოჰყვეს. ამიტომ უწმინდესმა მიიღო ასეთი დაბალანსებული გადაწყვეტილება.

***— რა შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს?***

— რაც შეეხება იმას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს, ფაქტია, რომ სააკაშვილისა და მისი ძალაუფლებისთვის ერთ-ერთი სერიოზული დისკომფორტია ეკლესია. ის პატრიარქს და ზოგადად ქართულ ეკლესიას განიხილავს, როგორც კონკურენტს და მისთვის გარკვეული საფრთხის მატარებელს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ, შეიძლებას ითქვას, ვნებათაღელვა გარკვეულწილად ჩაცხრა, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ხელისუფლება აქ არ შეჩერდება და კვლავაც გააგრძელებს ბრძოლას ეკლესიის წინააღმდეგ, არა როგორც ქართული ეკლესიის წინააღმდეგ, არამედ, როგორც ძლიერი ავტორიტეტის წინააღმდეგ, რომელიც სააკაშვილისთვის დისკომფორტია. ამიტომ ის, რაც ჩვენ ვნახეთ რამდენიმე წლის წინ, როდესაც პარლამენტმა მიიღო უსინდისო გადაწყვეტილება და პატრიარქის თხოვნას, რომ საჯარო დისკუსიები გამართულიყო, მეტი არაფერი ამ შემთხვევაში არ ყოფილა. პატრიარქი არ ყოფილა პირველ ეტაპზე მკაცრი, არ მოუნდომებია, გინდა თუ არა, არ მიიღოთო. მან თქვა, იქნებ გვემსჯელა ამაზეო. როდესაც ხელისუფლებამ კანონის მიღება დააჩქარა და არც ვეტოს უფლება გამოიყენა, ერთი მხრივ, იყო ხელისუფლების მხრიდან სიტუაციის მოსინჯვის მცდელობა.

***— რა გულისხმობთ?***

— ერთი მხრივ, ღიად დაუპირისპირდა ეკლესიას ხელისუფლება. მათ აინტერესებდათ, რას მოიმოქმედებდა თავად ეკლესია და რა რეაქცია ექნებოდა საზოგადოებას. თუ ხალხს რეაქცია არ ექნებოდა, ეკლესიაც გაჩუმდებოდა, უკვე სააკაშვილს ხელ-ფეხი გაეხსნებოდა, შემდგომი დარტყმა განეხორციელებინა ეკლესიაზე. მას ეს სჭირდება იმისთვის, რომ 2012 წლის არჩევნებამდე როგორმე ეკლესიას დააკარგვინოს ავტორიტეტი ან მის გადაწყვეტილებას ვერ შეეწინააღმდეგოს ეკლესია. დღეს ჩანს უკვე, რომ სააკაშვილი 2012 წელს მიდის არჩევნების გაყალბებაზე, სწორედ ამიტომ გადაიტანა პარლამენტი ქუთაისში, რომ, რევოლუციის გამეორებას თუ ექნება ადგილი გაყალბებული არჩევნების გამო, უცებ გაიქცეს ქუთაისში, ან გზები გადაკეტოს, ან ცა ჩამოაქციოს, რომ მოძრაობა შეწყდეს და იქ პარლამენტი დაამტკიცოს. გეტყვით, რომ სააკაშვილს ზოგადად ეზიზღება თბილისი, ეზიზღება იმის გამო, რომ მას თბილისში არ გაევლება. არ გაევლება იმიტომ, რომ თბილისში, ასე თუ ისე, საინფორმაციო ობიექტურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა მაღალია და თბილისის მოსახლეობა ადეკვატურად აფასებს სააკაშვილის არადემოკრატიულ რეჟიმს. ამიტომ ის თბილისს გაურბის. მას ეზიზღება თბილისი, იმიტომ რომ ვერ გულაობს, პირდაპირ ვთქვათ. სხვადასხვა კულუარული ინფორმაციით ცხადია, რომ ვერტმფრენით ხან ბათუმში გადაფრინდება, ხან ყვარელში და თბილისის გარშემო ტრიალებს. ამავდროულად, მას გარკვეული შიში აქვს რუსული არმიის, რომელიც ცხინვალშია და, მისი აზრით, ქუთაისიდან გაქცევა უფრო ადვილია.

***— რაც შეეხება სომხეთთან ურთიერთობის საკითხს?***

— ხელისუფლება ერთგვარად ეცადა, რომ საზოგადოების პროტესტი შემდგომ გამოეყენებინა ეკლესიისა და პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ. ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთმა ლიდერმა დაიწყო საუბარი, რომ აი რადიკალური ეკლესია, აი ქსენოფობია და ასე შემდეგ. ხელისუფლებას უნდოდა, რომ საზოგადოების პროტესტი მოენათლათ, როგორც შოვინიზმი და ქსენოფობია და ამით დასავლეთისთვის კიდევ ერთხელ დაემტკიცებინათ, აი, ხედავთ, როგორი ოპოზიცია გვყავს, ხედავთ, როგორი ეკლესია გვაქვს, როგორი საზოგადოება გვყავს? თუ გინდათ, რომ დასავლური ღირებულებები გატარდეს საქართველოში, მხარი უნდა დაუჭიროთ სააკაშვილის ხელისუფლებას. მაგრამ ეს არ გამოუვიდა ჩვენს ხელისუფლებას იმდენად, რამდენადაც ჩვენს საზოგადოებას კარგად ესმის, რომ ამ შემთხვევაში ქართველი საზოგადოება არის არა სომხეთის ან სომხური ეკლესიის ან ზოგადად სხვა ეთნიკური ჯგუფების თუ რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ, არამედ ჩვენ პირველ რიგში პროტესტს გამოვთქვამთ ხელისუფლების არასწორი და რიგ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი პოლიტიკის გამო. ის, რაც გააკეთა ხელისუფლებამ, იყო ღირსების შემლახავი მოქმედება, იმიტომ რომ, როცა სხვა კანონებზე გასდის ხელისუფლებას საზოგადოების ინტერესების უგულებელყოფის გადაწყვეტილების მიღება, ეს გაუტკბა ხელისუფლებას და ამ შემთხვევაშიც იფიქრა, მოდი, ეკლესიის წინააღმდეგაც ამას გავაკეთებ და ერთი ხელის მოსმით ორ კურდღელს დავიჭერო. სააკაშვილი რომ ზოგადად ეკლესიისგან შორს დგას, ეს ყველამ კარგად ვიცით.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ხელისუფლება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას გააგრძელებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***— ეს იყო ქართული ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობა?***

— არა მარტო ქართული ეკლესიის, მთლიანად საზოგადოების, იმიტომ რომ საზოგადოებაში თუ ვინმეს რამის იმედი აქვს, იმედი აქვს ეკლესიის და მისი უწმინდესობის. ამდენად, მან ყველა ამ მიმართულებით ერთი გასროლით რამდენიმე კურდღლის დაჭერა სცადა.

***— თბილისის მერგიგი უგულავას ვიზიტს რით ახსნით სამების ტაძარში, ეს ხომ არ იყო ერთგვარი ზეწოლა წმინდა სინოდზე?***

— უგულავა არის, როგორც იტყვიან, მეკავშირე ეკლესიასა და სააკაშვილს შორის და ამ შემთხვევაში მორიგი მეკავშირე გააგზავნა სააკაშვილმა, რომ როგორმე მისთვის სასურველი შედეგი დამდგარიყო. ეს ადრეც მომხდარა, გახსოვთ იგივე 2009 წლის 26 მაისი, ასევე სხვა დროსაც. როცა ჭრის გარკვეული დაპირებები, დაპირებებით შემოიფარგლება ხელისუფლება, როცა ჭრის ჯიპების ჩუქება, ჯიპებს ჩუქნის, როცა არც ეს ჭრის, მერე მუქარასაც არ ერიდება ხელისუფლება. გახსოვთ, რომ იგივე 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ პატრიარქი ერთგვარად გააფრთხილეს, რომ თუ ხალხი დაიძვრება ინაუგურაციისკენ, ხელისუფლება ძალას გამოიყენებს.

***— ითქვა ისიც, რომ 26 მაისს პატრიარქი არ მივიდა სისხლით მორწყულ რუსთაველზე და ეს სააკაშვილის მხრიდან ერთგვარი შურისძიებაც იყო...***

— რა თქმა უნდა. სააკაშვილი ისეთი კაცია, რომ იბოღმება ეგეთ რაღაცებზე და გულში იდებს. ეკლესიის საკითხი დიდი ხანია აწუხებს მას. ესეც ყველასათვის ცნობილია. ამიტომ მოხდა ასე, რომ ღიად გაილაშქრა ეკლესიის წინააღმდეგ, თან როდის ხდება ეს, ზაფხულში, როცა ხალხს დასვენება უნდა, როცა ხალხს ქალაქიდან გასვლა უნდა. სწორედ ამიტომ გარბის ქუთაისში, რომ იქ რომ მიიღებს საზოგადოებისთვის მიუღებელ გადაწყვეტილებებს, აქედან ხალხი ვერ ირბენს ქუთაისში.

***— პირველ დღეებში, როდესაც ეს კანონი მიიღეს, როგორც ეკლესიის, ისე საზოგადოების რეაქცია საკმაოდ მწვავე იყო. იყო მსვლელობები, საპროტესტო გამოსვლები, თუმცა, პატრიარქმა ეს მუხტი გაანელა. როგორ ფიქრობთ, ასე დარჩება ყველაფერი, ამას რეაგირება აღარ მოჰყვება?***

— ხელისუფლება და უშუალოდ სააკაშვილი ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით გარკვეულ ბრძოლას გააგრძელებს მომავალშიც. ასე რომ, არ გეგონოთ, ეს თემა ასე დასრულდება. სააკაშვილმა დღეს კიდევ ერთხელ დაინახა, რომ ეკლესიას დიდი ძალა აქვს და მათ შორის უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სააკაშვილს ეშინია, რომ მის უსამართლობას სხვა ფორმებით შეეწინააღმდეგოს არა მხოლოდ საზოგადოება, არამედ ეკლესიაც. ამიტომ, რა თქმა უნდა, სააკაშვილი ეკლესიის წინააღმდეგ პროვოკაციებს გააგრძელებს.

***— სომხური მხარე დაახლოებით ექვსასამდე შენობა-ნაგებობის მის საკუთრებაში გადაცემას ითხოვს...***

— რაღაც ეტაპამდე ხელისუფლება შეეცდება, პაუზა გააკეთოს და მერე, როგორც სჩვევია, სხვადასხვა პოლიტიკური ხრიკით გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს.

***— სომხური ლობი ძლიერდება ქართულ ხელისუფლებაშიო...***

— მე სომხურ საკითხებზე მე არ ვისაუბრებ ერთი მარტივი მიზეზის გამო — სომხეთის ეკლესია, სომხეთის ხელისუფლება მოქმედებს საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების მიხედვით. მე მათ მიმართ პრეტენზია არ გამაჩნია. მე პრეტენზია გამაჩნია ჩემი ხელისუფლების მიმართ, რომელიც ხშირ შემთხვევებში საკუთარი სახელმწიფოს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს იღებს. მაგალითისათვის ავიღოთ ირანთან უვიზო რეჟიმი, რომელიც შედიოდა ირანის ინტერესში. ჩრდილოკავკასიელებისთვის უვიზო რეჟიმი, რაც ასევე მათ ინტერესებში შედიოდა. ჩერქეზეთის გენოციდის აღიარება, რაც ასევე შედიოდა ჩერქეზების ინტერესში და ჩვენ საწინააღმდეგოდ იყო. უამრავი მაგალითი შემიძლია ჩამოგითვალოთ. იგივე ხელისუფლება რომ გვიძვირებს ცხოვრებას და ამ ფულებს „რაოეესს“ აბარებს, ეს არაფერი არ არის?!

***— რა შედეგებამდე მიგვიყვანს ეს ყველაფერი?***

— ძალიან ბევრია დამოკიდებული ჩვენს ხალხზე. მესმის, რომ ეკლესია ჩვენი ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მეც მრევლი ვარ უკვე 12 წელია და ჩემთვისაც, რა თქმა უნდა, ეკლესიის თემა მგრძნობიარეა, მაგრამ 26 მაისს როდესაც ხალხი ჩახოცეს, 28 მაისს სულ რამდენიმე ათასი ადამიანი გამოვიდა გარეთ. ერთგვარად ეს იყო ხელისუფლებისთვის მორიგი გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ გაბედა და იმ კრიტიკულ მომენტში გამოვიდა. ასე რომ, თუ საზოგადოება არ იქნება საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დამცველი, მიშა ამ შემთხვევაში თავს არ შეიწუხებს. ის საკუთარი კომფორტის დაცვითაა დაკავებული.

# 26 მაისის დარბევამ ანქვაბიც შეაშფოთა

## ჩერქეზების გენოციდის აღიარებაზე პირველი ელცინი ალაპარაკდა



**პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი ვახტანგ ყოლბაია ჩერქეზების გენოციდის აღიარებას სხვებივით არ აპროტესტებს. თუმცა არ გამორიცხავს, რომ ამის გამო პრობლემები შეგვექმნას. დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ახლო მომავალში გენოციდის აღიარებას სომხური მხარეც მოითხოვს. ყოლბაიას ძალიან აინტერესებს, როგორი იქნება ხელისუფლების პასუხი. ყველაზე მეტად იმის გაგება აინტერესებს, რატომ ექცევა ხელისუფლება ასე სასტიკად ქართველ დევნილებს.**

თეა მარხვაი ე

რა განცხადებას აკეთებს ანქვაბი საქართველოსთან დაკავშირებით, რატომ არ ასრულებს თავის ფუნქციას სუბელიანის უწყება, რას ფიქრობდა ელცინი ჩერქეზების გენოციდზე, როდის დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში, ამის შესახებ ვახტანგ ყოლბაია „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ვახტანგ ყოლბაია:**

— ჩერქეზების გენოციდის აღიარება კარგს არაფერს მოგვიტანს. ჩვენ ვაქანავებთ იმ ნავს, რომელშიც ვსხედვართ. ჩერქეზების გენოციდის თემა, პირველად ჩვენს ხელისუფლებას არ წამოუწევია. ამაზე რუსეთშიც საუბრობდნენ წლების წინ. 1992 წელს ჩერქეზებმა რუსეთის ხელისუფლებას მისწერეს წერილი, რომ ეღიარებინათ ეს გენოციდი.

***— როგორი იყო პასუხი?***

— 1994 წელს ბორის ელცინმა განაცხადა, რომ რუსეთის იმპერიამ ჩერქეზებს გენოციდი მოუწყო. ჩერქეზებმა ამის შემდეგ მიმართეს საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა მათ ეღიარებინათ გენოციდი. ეს თემა წლების წინ საკმაოდ აქტუალური იყო.

***— გამოდის, რომ თითქმის რუსებს აღიარებული აქვთ ეს გენოციდი.***

— აღიარებული არ არის. უბრალოდ, რუსეთის პრეზიდენტმა გააკეთა ამასთან დაკავშირებით განცხადება. მან თქვა, რომ თუ რუსეთს სურს სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება, მაშინ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს. ელცინი ამბობს, რომ ამის გამო რუსეთს კავკასიელი ხალხების გენოციდი ეღიარებინა. მას გენოციდი სიტყვასიტყვით არ უთქვამს, მაგრამ ეს იგულისხმა. ამ მიმართულებით არაფერი არ გაკეთებულა.

***— სამაგიეროდ, ჩვენ გავაკეთეთ.***

— გავაკეთეთ. რაკი რუსეთმა თავად წამოჭრა გენოციდის საკითხი, მისი აღიარება ჩვენი მხრიდან ლოგიკური იყო. ამავე დროს ეს არის საკმაოდ სახიფათო თამაში.

***— სახიფათო რატომ არის, ჩვენ ხომ ის ვაღიარეთ, რაც მართლა მოხდა?***

— სიმართლის თქმას არაფერი სჯობია. ოღონდ პოლიტიკაში არის სხვა, დაწერილი და დაუწერელი კანონები. მოსკოვმა ეს აღიარება მის წინააღმდეგ მიმართულ თამაშად აღიქვა. მათ მიაჩნიათ, რომ ეს არის პასუხი აგვისტოს მოვლენებზე. რუსეთისთვის ეს ძალიან მტკივნეული თემაა. მით უმეტეს, რომ ახლოვდება 2014 წელი. ამ წელს სოჭში ტარდება ზამთრის ოლიმპიადა. ამ წელს ჩერქეზების გენოციდიდან 150 წელი სრულდება. მოსკოვს ეშინია, რომ იქ რაღაც მოხდება.

***— ამის საფრთხე რეალურია?***

— საკმაოდ დიდი საფრთხე არსებობს. სხვადასხვა განცხადებები კეთდება ჩერქეზების მხრიდან. გაკეთდა განცხადებები, რომ რუსეთს ჩვენი წინაპრების ძვლებზე ოლიმპიადას არ ჩავატარებინებთო. საფრთხეები საკმაოდ რეალურია. ჩვენ ამის გაკეთება ცოტა სხვანაირად შეგვეძლო. ამ აღიარებამ ჩვენ ხვალ შეიძლება სხვა პრობლემები შეგვიქმნას.

***— რა პრობლემები?***

— სად მივდივართ, სომხებმა რომ მოგვმართონ და გვთხოვონ, ვაღიაროთ მათი გენოციდი.

***— ასეთი მოთხოვნები ადრეც ხომ მოდიოდა სომხებისგან?***

— მოდიოდა. ოღონდ მაშინ ჩვენ არავის გენოციდი არ გვქონდა აღიარებული. ახლა უკვე არსებობს ეს პრეცედენტი. ჩვენ ვაღიარეთ ჩერქეზების გენოციდი. საინტერესოა, რას ვეუბნებით სომხებს? მართლა მაინტერესებს, რას იზამს ხელისუფლება. უარს იტყვის? ეს სომხური მხარის უკმაყოფილებას გამოიწვევს. გადაწევენ ამ საკითხის განხილვას. წლების წინ ეს საკითხი ჩვენ რამდენჯერმე გადავწიეთ. არ უნდა დაგვავიწყეს ის ფაქტიც, რომ სომხების გენოციდი რამდენიმე ათეულ ქვეყანას აღიარებული აქვს. ჩერქეზების გენოციდი კი ჩვენს მეტმა არავინ აღიარა. ეს არის ძალიან რთული თემა. ჩემი პროგნოზით, არა მგონია, რომ ამის გამო რუსეთმა ახლო მომავალში პრობლემები შეგვიქმნას.

***— რატომ არ შეგვიქმნის, ეს ხომ რუსეთისთვის მტკივნეული თემაა.***

— მტკივნეული თემა რომ არის, მაგიტომ არ გაამახვილებს ყურადღებას ამ საკითხზე. ამ საკითხთან დაკავშირებით რუსმა პოლიტიკოსებმა და მედიამ განცხადებები კი გააკეთეს. ოღონდ ამას დიდი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია. იმიტომ, რომ ამ თემის მუსირება რუსეთის ინტერესებში არ შედის. მათ არ უნდათ კავკასიის თემის გაღვიძება. ეს სოჭის ოლიმპიადის წინ ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებოდა. რაც იმას სულაც არ ნიშნავს, რომ რუსეთი ამას უპასუხოდ დატოვებს. რაც მოხდა, მოხდა. ამას უკვე ვეღარ შეცვლი. ახლა ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ სიტუაცია ამაზე მეტად აღარ გართულდეს.

***— ჩერქეზების გენოციდის აღიარების ფონზე, ცოტა უცნაურად ჩანს ხელისუფლების მოპყრობა ქართველი დევნილების მიმართ. გასულ წელს ისინი საშინელი მეთოდებით გამოასახლეს. თქვენი აზრით, რატომ ექცევა ხელისუფლება ქართველებს ასეთი სისასტიკით?***

— ეგ ალბათ ხელისუფლებას უნდა ჰკითხოთ. მე დევნილების მდგომარეობის შესახებ მოგახსენებთ. ამ დღეებში დევნილების ერთმა ჯგუფმა ვარკეთილში, 204-ე საბავშვო ბაღთან ჩაატარა ბრიფინგი. იქ მეც ვიყავი მისული, ოღონდ არ გამოვჩნდი. არც არანაირი განცხადება არ გავაკეთე.

***— რა იყო ამის მიზეზი?***

— არ მინდოდა ლტოლვილთა და განსახლების საქმეთა სამინისტროსთვის ახალი სალაპარაკო მიმეცა. ეგენი ხომ სულ იმას იძახიან, ოპოზიცია დევნილების თემის პოლიტიზირებას ახდენსო. ისე ძალიან მაინტერესებს, რატომ არ შეიძლება ამ თემის პოლიტიზირება. რაკი ხელისუფლებას არ მოსწონს, დევნილების დასაცავად ხმა არ ამოვიღო? არ ვთქვა იმ უსინდისობაზე, რასაც აქ აქვს ადგილი? იმ საბავშვო ბაღში დღეისათვის იმყოფება 18 ოჯახი. ეს ბაღი ხელისუფლებას პრაქტიკულად არაფერში არ სჭირდება. ამ ბაღის უკან ქუჩაზე ერთ-ერთ ნაგებობაში 29 ოჯახია შესახლებული. მათ ყველას გასახლებას უპირებენ. ამ საბავშვო ბაღში 40 ბავშვია. გამაგებინოს და ამიხსნას ხელისუფლებამ, სად უნდა წავიდნენ ეს ოჯახები, ისევ იმ ავადნახსენებ ფოცხოში, სადაც ადამიანი არ ჩერდება? ვინც კი ჩაასახლეს, ყველა აქ მორბის. ხელისუფლება კი ისევ იქ აიძულებს დევნილებს წასვლას. წყალტუბოში მცხოვრებმა 96 დევნილმა სახალხო დამცველს მიმართა საგანგებო განცხადებით. მათ განცხადება სასამართლოშიც აქვთ შეტანილი. ისინი ფოთში გადასვლის წინააღმდეგი არიან.

***— რატომ, ბატონო ვახტანგ?***

— იმიტომ, რომ საშინელ საცხოვრებელს უმზადებენ დევნილებს. ეს ადამიანები უკვე 18 წელია, რაც წყალტუბოში ცხოვრობენ. სასაფლაოები გაიჩინეს იქ. მეზობლები და ნათესავები გაიჩინეს, ამ შესანიშნავ ქალაქში. ჭირსა და ლხინში ერთად არიან. აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ ძლივს ფეხი მოიდგა ამ ხალხმა და კიდევ უნდა გაასახლონ, სადაც ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყონ. ბიოლოგიურად ადამიანი მრავლდება. ესენი ოჯახებს არ ყოფენ. ზოგიერთ ოჯახში 15 სულია და ამხელა ოჯახი უნდა შევიდეს 15 კვადრატულ მეტრიან საცხოვრებელ ადგილას.

***— ამას მართლა ამბობთ, თუ სიტყვაზე თქვით?***

— რა სიტყვაზე. ასეთ საცხოვრებელს უმზადებენ მათ. ანდა არის ერთოთახიანი ბინა, სადაც უნდა შესახლდეს 7 სულიანი ოჯახი. ყველაფერი ამ ფართშია მოქცეული. ხრუშჩოვკა სანატრელი აქვს ამ ხალხს.

***— რატომ ექცევიან დევნილებს ასე, წესით და რიგით, მათი ჯინი არ უნდა სჭირდეთ...***

— ეკონომია გააკეთა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა დიდი თანხები გამოყვეს დევნილებისთვის 2 და 3 ოთახიანი ბინების ასაშენებლად. ამათ ეკონომია გააკეთეს. 1 ოთახიანი გადააკეთეს ორიანად. საოცარი რამეები მოიგონეს. საშინელი რაღაცეები ხდება. ამ ფონზე როგორ უნდა ველაპარაკოთ აფხაზებს. დევნილები იმ დღეს ამბობდნენ, აფხაზები ასე არ გვექცეოდნენო. აფხაზებს მათთვის ღირსება არ აუყრიათ, შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. ამდენად მათთვის ძალიან მძიმეა, როცა საკუთარი ხელისუფლება ასე ექცევა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ დიდი ზარზეიმით დევნილთა პრობლემების მოგვარების სტრატეგია წარმოადგინა. ამ ღონისძიებამ დიდი ზარზეიმით ჩაიარა. იქ ნათქვამი იყო, რომ 2012 წლამდე ყველა კატეგორიის დევნილი დაკმაყოფილებული იქნებოდა საცხოვრებელი ფართით. იმ ხალხისთვის 10.000 დოლარიანი კომპენსაცია უნდა გამოეყოთ, ვისაც ბინა არ ერგებოდა. ეს ფულადი შემწეობა შუა გზაზე გაწყდა.

***— ფული სად წაიღეს?***

— ღმერთმა უწყის, რაში გამოიყენეს ეს ფული. რამდენიმე ოჯახს რაღაცას გაუკეთებენ და მიდის ამის პიარი. ისე აჩვენებენ, თითქოს დევნილების პრობლემა გვარდება. სინამდვილეში დევნილების აბსოლუტური უმრავლესობა იმავე პირობებშია, რაშიც აქამდე ცხოვრობდა. გავიდა თითქმის 20 წელი, ცოდო არ არის ეს ხალხი? თბილისში მცხოვრები დევნილების ნაწილს აქვს თავშესაფარი. ისინი ხელისუფლებას პრობლემას არ უქმნიან. იყო საუბრები, რომ ვინც თბილისშია ჩაწერილი, მათ თბილისიდან არ გაასახლებენ. ამასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა თბილისის მერმა გიგი უგულავამ. მან დევნილებს უთხრა, ახლა ყველანი თბილისელები ხართო. ახლა ეს დაპირება ყველამ დაივიწყა. არადა, არ მოგვარდა სამართლებრივი ბაზა. ბევრი რამე გასარკვევია. ხელისუფლებას ბევრ რამეზე აქვს კითხვები გასაცემი. თანაც იმასაც ხომ გააჩნია, რა პერიოდში ხდება დევნილების გამოსახლება. მათ ან შუა ზამთარში ყრიან სახლებიდან, ანდა პაპანაქება სიცხეში. მერიაში არსებობს სამსახური, რომელიც ასეთ სიტუაციებს აგვარებს. ეს სამსახურები მზად არიან 204-ებაღს ჩასახლების ადგილის სტატუსი მიანიჭონ.

***— რატომ არ ანიჭებენ?***

— ამისთვის სუბელიანის უწყების თანახმობაა საჭირო.

***— სამინისტრო თანახმა არ არის?***

— რაკი ამ ადამიანებს გამოსახლებას უპირებენ, გამოდის, რომ არ არის თანახმა. არადა, ეს უწყება სწორედ იმისთვის არსებობს, რომ დევნილების პრობლემები მოაგვაროს. იმის მაგივრად, რომ ხალხს პრობლემები მოუგვარონ, კიდევ უფრო ურთულებენ ცხოვრებას. ყველაფერს აკეთებენ, რომ დევნილები დაჩაგრონ. ცდილობენ, რომ მათი ცხოვრება გაუსაძლისი გახადონ. ეს არ არის გასაკვირი, რადგანაც ამ ხელისუფლების ყველა ნაბიჯი ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული. ოპოზიციას რომ გვსაყვედურობენ რაღაცეებს ხელისუფლების წარმომადგენლები, ურჩევნიათ დევნილთა სამინისტროს მიხედონ. ამ უწყების საქციელი ხალხს ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობს. ან მაგათი მინისტრი პატრიარქის გვერდით რომ დგება, მართლა ღვთისმოსავი კი არ არის. მორწმუნე რომ იყოს, ხალხს ასე არ გაამწარებდა. აფხაზეთის პრობლემა მოსაგვარებელია და დევნილებთან მიმართებაში ხელისუფლებამ ცოტა სხვა პოლიტიკა უნდა აწარმოოს. მარტო დევნილებთან რატომ? მთელი მოსახლეობის მიმართ უნდა შეცვალოს დამოკიდებულება. თუ არაფერი შეიცვალა, ჩვენ აფხაზების დაბრუნებაზე არც უნდა ვიფიქროთ. ამასთან დაკავშირებით უკვე გაკეთდა განცხადებები.

***— რა განცხადებები გაკეთდა?***

— აფხაზები საქართველოში მიმდინარე პროცესებს დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს. გამონაკლისი არც ალექსანდრ ანქვაბია, რომელიც პრეზიდენტობაზე იყრის კენჭს. მას აფხაზებში სერიოზული სიტყვა ეთქმის. ის ამბობს, რომ რა უნდა ველაპარაკო იმ ხელისუფლებას, რომელმაც თავის ხალხს 26 მაისს საშინელებები გაუკეთა. ანქვაბი ამბობს, რომ ეს ხელისუფლება აფხაზებს უარესს დამართებს, რაკი თავისი ხალხი ასე გაწირესო. ისინი მიიჩნევენ, რომ ქართულ საზოგადოებაში დაცულები ვერ იქნებიან. ჩაიხედონ გულში ამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ისე მიიღონ გადაწყვეტილებები. ისე არ გაამწარონ ეს ხალხი, რომ კიდევ ერთხელ სხვისი დასაცინი გახდნენ.

# ვის დარჩება ბათუმი, თურქებს თუ სომხებს

## რა გართულებებს უნდა ველოდოთ ზღვისპირა ქალაქში

ქეთი ხომერიკი

**„ბათუმში სომხური და თურქული ინტერესი უპირისპირდება ერთმანეთს. ორივე ცდილობს ბათუმის ათვისებას და ორივეს აქვს პრეტენზია ბათუმის სომხურ ან თურქულ ქალაქად გადაქცევაზე. როგორც ჩანს, საქართველოს დაშლის ახალი ეტაპი იწყება", — აცხადებს წიქარიშვილი. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა" განათლების მუშაკთა თავისუფალი პროფესიული კავშირის „ერთობის" წარმომადგენელ დავით წიქარიშვილს ესაუბრა.**

***— საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს შორის დაწყებული პრობლემა კვლავ აქტუალურია. ამას როგორ აფასებთ და რა პროცესები გველის წინ, ბატონო დავით?***

— ეს არ არის ეკლესიების ურთიერთობის პრობლემა. ოღონდ, სანამ მაგ კითხვას ვუპასუხებ, იქნებ ცოტა ისტორიას გადავხედოთ. სომხეთის გარკვეულ წრეებს საქართველოსა და ქართული კულტურისადმი ერთგვარი არასრულფასოვნების კომპლექსი დიდი ხანია აქვთ: რუსეთის იმპერიის (როგორც ცარისტული, ასევე — საბჭოთა) პოლიტიკა ამიერკავკასიაში იყო ქართული ელემენტისა და სომხურის დაპირისპირება, თანაც, რუსები, როგორც წესი, სომხურ მხარეს იჭერდნენ, ოღონდ ერთგვარი ლოგიკა ყოველთვის იყო ამ ტენდენციაში — ლიტერატურულ და ხუროთმოძღვრების ძეგლებს „ემტერებოდნენ",კიდევ, აუცილებელი კომპონენტი იყო საუკეთესო ქართველი მამულიშვილების სომხად გამოცხადება (უკიდურეს შემთხვევაში ამბობდნენ, ქართველი არ არისო, მაგალითად, რუსთაველი სპარსი პოეტიაო). თვით სტალინის ნაშრომი „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" ამტკიცებს, საქართველოში არ არის ანტირუსული ნაციონალიზმი, სამაგიეროდ, ანტისომხური ნაციონალიზმიაო და ერთგვარი არგუმენტებიც მოჰყავს ამ ვითომდა თეორიის „დასამტკიცებლად". სასაცილოა, არც კი უფიქრია სტალინს, ის აჯანყებები, ქართველთა ბრძოლა ჯერ სამეფო ტახტის აღსადგენად, შემდგომ — სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის თურმე სულაც არ ყოფილა□ანტირუსული ნაციონალიზმი□და სომხების სიძულვილს ქართველები იქამდე მიუყვანია, ნახევარი საქართველო გაწყდა რუსებთან ბრძოლაში, მაშინ როცა სომხებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებს კაციშვილი არ მიჰკარებია. სხვათა შორის, არ მახსოვს, სომეხი რატომ ხარო, ვინმესთვის შეურაცხყოფა მიეყენებინოთ ან, მით უმეტეს, ეცემოთ. უწყინარ ხუმრობებს არ სცილდებოდა ჩვენი□ნაციონალიზმი აქვე: არც ერთ გასომხებულ ქართველს არ ვიცნობ, პირიქით — რამდენსაც გნებავთ. ამ 5-6 წელიწადში სომხების ტაქტიკა შეიცვალა. თუ ადრე ინტერნეტში და ათასნაირ გამოფენაზე საუკეთესო ქართული ჭედურობის თუ იარაღის ნიმუშებს თავის სახელს აწერდნენ, მაგრამ ტერიტორიული ან კულტურული შემოჭრის მცდელობა ნაკლებად იყო, ახლა — პირიქით.



***— რას გულისხმობთ?***

— ზღვისპირა კურორტებზე სომხური წარწერები გაჩნდა, იქ რკინიგზის თემამ წამოიწია, აგვისტოს ომის წინ კი ამერიკაში დაისვა თურქების მიერ სომხების გენოციდის აღიარების საკითხი. თურქებმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს ამერიკასთან და შავ ზღვაში ამერიკული გემების შემოსვლაც აკრძალეს. ჩვენმა მთავრობამ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს სვლა, ზედიზედ გადადგა სულელური ნაბიჯები, შედეგად, რუსებმა თითქმის მთელი საქართველო მოითარეშეს (თუმცა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ხელისუფლებას სწორედ ეს შედეგი უნდოდა დამდგარიყო). შორს ვარ იმ აზრისგან, რომ „გენოციდის"საკითხი (თუ შეიძლება, ბრჭყალებში ეს სიტყვა, დოკუმენტი არ გამაჩნია) მხოლოდ სომხური დიასპორის მიღწევაა — რუსული დიპლომატიური სამსახურის ხელწერას უფრო ჰგავს. თითქმის მთელი მეოცე საუკუნე რუსული სპეცსამსახურები ათას რამეში ეხმარებოდნენ ან იყენებდნენ სომხურ დიასპორას. მოკლედ, ბოლო 5-6 წელია, კულტურულ და ისტორიულ თუ საავტორო უფლების დარღვევამ და ისტორიული ფაქტებისა თუ ძეგლების ქურდობამ ნელ-ნელა სხვა სახეც მიიღო, მაგრამ, არავის უფიქრია, ქართველები ისეთი ყეყეჩები არიან, სომხური ეკლესიის საქართველოს ფილიალს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსს მისცემენ და ამით სომხურ ეკლესიას უკვე სამართლებრივ საშუალებებს გაუხსნიან, მოითხოვონ ქართული ტაძრებიო (ამ ტაძრების გადაცემა, ჯერ ერთი, იმას ნიშნავს, რომ ასობით სხვა ძეგლის მოთხოვნის მადა გაეხსნებათ, მეორეც, ეს იქნება არაპირდაპირი დასტური საქართველოს მხარის მხრიდან, სომხური კულტურა თვითმყოფადი და შინნაზარდი კულტურაა, ქართული კი სომხურის გავლენითა და სომხების მიერვეა შექმნილიო). არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც გვაფიქრებინებს, რომ სომხეთის ეკლესია სერიოზულად არც კი ფიქრობდა საკითხის დასმას, უბრალოდ, ქართულ კულტურასა და ისტორიასთან ქიშპობა მათთვის ერთგვარი მუნდირის ღირსების ამბავია, თორემ ვის დააჯერებ, ხალხი თავის საკუთარ სამშობლოსა და კულტურისათვის იმის მეასედსაც არ შრომობდა და იღვწოდა, რასაც ქართული კულტურისთვისო... თუ მაინცდამაინც, იმავე ქართველებისაგან ესწავლათ, თავიანთი ქვეყანა როგორ ექციათ წალკოტად და მიწები — ნაყოფიერ მიწებად... რუსული პოლიტიკა იყო ქართულ-სომხური კულტურული დაპირისპირება. ეს ხაზი გააგრძელა სააკაშვილმა დღეს.

***— ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლების ინტერესში იყო ეს შესწორება, რა იყო ამის მიზეზი? პატრიარქის ავტორიტეტის შერყევა თუ სხვა მიზეზიც არსებობდა, ბატონო დავით?***

— ყურადღებას მიაქცევდით, ალბათ, სომხეთის ეკლესიის წინამძღოლი საქართველოს პატრიარქთან კინტოსათვის დამახასიათებელი ლექსიკითა და მატრაბაზული ინტონაციით საუბრობდა. სომხეთის პრესამ ეს ეპიზოდი საკმაოდ უარყოფითად შეაფასა. ვერ წარმომიდგენია, რომ სომხეთის ეკლესიის წინამძღოლს არ ჰქონდა შესწავლილი თავისი მრევლისა და საზოგადოების ხასიათი და არ ელოდა უარყოფით განწყობას პრესის მხრიდან, ვერც ის წარმომიდგენია, რომ სომხეთის ეკლესიაში არ მოიძებნა ისეთი კაცი, რომელმაც არ იცის ღირსეული თავდაჭერა, ასევე ძნელია დაუშვა, რომ კაცი ისე გახდეს სომხური ეკლესიის პირველი პირი, არ იცოდეს ქცევის ან ზრდილობის წესები — მინიმუმ ის, რომ თანამოსაუბრეს მუხლზე ხელი არ უნდა შეახო. დასკვნა ერთია — მისი ეს საქციელი საქართველოს გარკვეული წრეების შეკვეთა იყო.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# რესპუბლიკელები დიღმის პრობლემამ შეაწუხა

შორენა კოწოწაშვილი

**რესპუბლიკური პარტია ხელისუფლებას, თბილისის მერ გიგი უგულავას და პირადად თბილისის საკრებულოს ნაციონალ დეპუტატ ნინო თევდორაძეს სოფელ დიღმის პრობლემების იგნორირებაში ადანაშაულებს.**

რესპუბლიკურ პარტიაში აცხადებენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დედაქალაქის საზღვრებში მოქცეული სოფელი დიღომი სერიოზული პრობლემების წინაშე დგას, თუმცა ამ პრობლემების მოგვარება ამ დრომდე ვერ ხერხდება. სოფლის პრობლემებთან დაკავშირებით გუშინ რესპუბლიკური პარტიის დედაქალაქის საკრებულოს წევრმა თინა ხიდაშელმა სოფლის ორ წარმომადგენელ ჯემალ თეთრაშვილთან და ლამარა ჯანჯღავასთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, დიღმის მოსახლეობის ინტერესებშია გამჭვირვალე იყოს სოფლის ბიუჯეტი ანუ ის თანხები, რომელიც გზების რეაბილიტაციას და სხვა პრობლემების მოგვარებას ხმარდება და ადგილობრივებს ჰქონდეთ ინფორმაცია, პრობლემების მოგვარების ვადებთან დაკავშირებით.

რესპუბლიკური პარტია აქტიურად სწავლობს სოფლისთვის უმთავრეს პრობლემას, რომელიც 1992 წელს განხორციელებული მიწის რეფორმის შედეგად მოსახლეობისთვის პირად საკუთრებაში გადაცემული მიწების დაკანონებას ეხება.

იქიდან გამომდინარე, რომ დიღომი ფაქტობრივად თბილისში შეჭრილი სოფელია და იქ მიწა საკმაოდ ძვირადღირებულია, ხელისუფლების წყალობით დღემდე ვერ ხერხდება ამ მიწების საჯარო რეესტრში დარეგისტრირება. ამის მიზეზი, სხვა ფაქტორებთან ერთად, ის არის, რომ ხელისუფლებას ამ მიწების ინტერესი აქვს.

— რესპუბლიკელები სოფელ დიღმის პრობლემებზე რამდენიმე წელია ვმუშაობთ. ჩვენი ინტერესის საგანი ეს სოფელი გახდა იმიტომ, რომ მიწის საკუთრების დავებთან დაკავშირებით იყო მომართვები. ეს დავა მრავალი წლის წინ დაიწყო. ამის გამო ადამიანები გაასამართლეს, თითქოს სამართლიანობა აღდგა, მაგრამ დაზარალებულები ანუ მოსახლეობა, რომელიც ცნობილ იქნა დაზარალებულად, მათი პრობლემების მოგვარება არ დაწყებულა, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თინა ხიდაშელმა და სოფლის მოსახლეობასთან გამართული ის შეხვედრა გაიხსენა, რომელიც პრესის დასწრების გარეშე ჩატარდა.

ხიდაშელის თქმით, შეხვედრა საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და მიწის საკითხებთან ერთად პრობლემურად დაისვა გზის, წყლის მიწოდების და ხარისხის, სკოლასა და საბავშვო ბაღში შექმნილი პრობლემები და სხვა სოციალური საკითხები.

— ჩვენს განცხადებებზე პასუხი თბილისის საკრებულოს დეპუტატ ნინო თევდორაძისგან იყო ასეთი, რომ თურმე ჩვენ დეზინფორმაციას ვავრცელებდით. ამიტომ, ჩვენ მოვითხოვეთ მასთან შეხვედრა. ჩემი ორი ოფიციალური წერილია საკრებულოში რეგისტრირებული სოფელ დიღმის მაჟორიტარი დეპუტატის თევდორაძის სახელზე გაგზავნილი. არც ერთზე დღემდე პასუხი არ მიმიღია. არანაირი რეაგირება თევდორაძის მხრიდან სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნას არ მოყოლია. ამიტომ ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ მივმართავთ ქალბატონ თევდორაძეს, იქნებ კეთილი ინებოს და სოფელ დიღმის მოსახლეობის იმ ნაწილსაც შეხვდეს, რომელსაც ის, სავარაუდოდ, თავის ამომრჩევლად არ თვლის. იმიტომ, რომ მან პირად საუბარში მითხრა, ჩემს ამომრჩეველს როდის შევხვდები, ამას მე თვითონ გადავწყვეტო, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მან საკრებულოს ნაციონალ დეპუტატს, იურიდიული კომისიის ხელმძღვანელ ნინო თევდორაძეს ურჩია, პრობლემები რომ აწუხებთ და კითხვები რომ აქვთ, იმ ამომრჩევლებსაც შეხვდეს და მხოლოდ იმათით არ შემოიფარგლოს, ვინც ნაციონალების ბანაკში ითვლებიან. რესპუბლიკელი ხიდაშელი მიიჩნევს, რომ თევდორაძე საჯაროდ უნდა შეხვდეს სოფელ დიღმის იმ მცხოვრებთ, რომლებსაც პრობლემები აწუხებთ და საკმაოდ მწვავე კითხვები აქვთ ხელისუფლების წარმომადგენელთან, საკრებულოს დეპუტატთან, რომელსაც ევალება გააკონტროლოს პროცესი, რომელიც მერიამ წამოიწყო და რომელიც სიმბოლურ ფასად — 1 ლარად მიწების დაკანონებას ეხება. მართალია, თავად თევდორაძე აცხადებს, რომ ეს პროცესი არის უპრეცედენტო და ყველას უფლებები იქნება დაცული, მაგრამ ფაქტია, არაერთი მესაკუთრის ინტერესებია შელახული და მერიის მიერ დაფინანსებული აზომვითი სამუშაოები ჭიანურდება. მოსახლეობას აინტერესებს, რა ვადებში დასრულდება ის სამუშაოები, რომელსაც მერიის იურიდიული სამსახური კონტრაქტორ ფირმასთან ერთად ახორციელებს და რომლის შედეგადაც რეფორმის დროს მიღებული მიწები დიღმელებს უნდა დაუკანონდეთ.

თინა ხიდაშელის თქმით, დიღომში გზის პრობლემის მოგვარება თითქოს დაიწყო, მაგრამ იქვე გაჩერდა. სწორედ ამიტომ, ოპოზიციონერი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ პრობლემების მოგვარება დაიწყოს არა პარალელური ბრალდებების წამოყენებით, არამედ რეალური მოქმედებით.

ლამარა ჯანჯღავას თქმით, 2000 წლიდან არის ჩართული მიწების რეგისტრირების პრობლემის მოგვარების საქმეში, თუმცა უშედეგოდ.

— თითქმის მთელის სოფელი დაზარალებულია. წლების მანძილზე ვვარსებობთ ტყუილებით. სასამართლოს მიერ 569 ოჯახია დაზარალებულად ცნობილი და დღემდე მათ ყურადღებას არავინ აქცევს. ჩვენი საინიციატივო ჯგუფის სახელით ვაცხადებ: მიგვიღოს გიგი უგულავამ. მთელი სოფელი რომ არ მივიდეთ მერიასთან, ორი ადამიანი მაინც მიგვიღოს და დაგველაპარაკოს მიწის საკითხებზე. თუ ეს პრობლემა მოგვარებადია, გვითხრან. თუ არ მოგვარდება, ესეც გაგვიმარტონ, — განაცხადა ლამარა ჯანჯღავამ.

ჯანჯღავა ფიქრობს, რომ სოფლის ეს უმწვავესი პრობლემები კონტროლის პალატის მიერ უნდა იქნეს შესწავლილი. მისი თქმით, სოფელი გაჩერებას არ აპირებს და ყველა უმაღლეს ეშელონს მიმართავს სამართლიანი და კანონიერი უფლებების დასაკმაყოფილებლად.

ჯემალ თეთრაშვილის თქმით, სოფელ დიღმის მოსახლეობის პოზიცია ასეთია: თუ სოფელი დედაქალაქის საზღვრებშია, მაშინ ყველა პრობლემა უნდა იქნეს მოგვარებული — წყლის, გზის, კომუნიკაციების, კანალიზაციის, ტრანსპორტის და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფელს ისევ სოფლის სტატუსი დაუბრუნონ.

აღსანიშნავია, რომ სოფელი დიღომი მცხეთის რაიონს ეკუთვნოდა. რაიონიდან დედაქალაქში გადასვლის შემდეგ ადამიანებს ეუბნებიან, რომ დოკუმენტაცია დაიკარგა. ხიდაშელის თქმით, ზუსტად არ ამბობენ, რა მოხდა და არც იმას ამბობენ, რომ ამაზე ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს.



— დაზარალებული გამოვიდა მოსახლეობა, რომელსაც იმიტომ, რომ დიდ თბილისს პატარ-პატარა სოფლები შეუერთეს და დიდი თბილისის დოკუმენტაციაში პატარა სოფლების დოკუმენტაცია გაიბნა, ამიტომ თურმე მოსახლეობამ უნდა აგოს პასუხი. ეს სრულიად არანორმალურია. თავისთავად ის, რომ დიღმის მოსახლეობას რეფორმის დროს მიწა გადაეცა, ამას ხელისუფლება არ უარყოფს. იმიტომ, რომ ეს სირაქლემას პოზა იქნებოდა. მაგრამ იმ ცნობილ პასუხში, რომელიც ჩემს ბრიფინგზე გასცეს ორი თვის წინ, მათ თქვეს, რომ მე ვიტყუებოდი. თქვეს, 700 მიწაზე მოსახლეობას სერთიფიკატები გადავეცით და რეალურად პრობლემა მოვაგვარეთო, — განაცხადა თინა ხიდაშელმა და იქვე დასძინა, რომ ვერ პატიობს ადამიანებს, ვინც ამბობს, რომ ხიდაშელი ტყუის. ამიტომ მან საჯარო რეესტრს მიმართა განცხადებით და ოფიციალური მონაცემებიდან გამომდინარე აცხადებს, რომ ცრუობს თავად ხელისუფლება, რადგანაც დარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის მესამედიც არ არის კერძო მესაკუთრეების.

— პრობლემა ძალიან რთულია, თუმცა მარტივად გადასაწყვეტი. რადგან ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაა, ეს რა თქმა უნდა, პრობლემას ამარტივებს, რომ ადამიანებს დაუბრუნონ საკუთრება იმ მიწებზე, რომელიც მათ წლების განმავლობაში სარგებლობაში აქვთ, — აღნიშნა ხიდაშელმა.

**კომერციული ორგანიზაციების საყურადღებოდ!**

**სრულფასოვანი პრ-მომსახურება:**

1. პრ-კონსულტაცია;
2. პრ-სტრატეგიის დაგეგმვა (განხორციელება);
3. სარეკლამო რგოლების დამზადება (განთავსება);
4. სარეკლამო სიუჟეტების დამზადება (განთავსება);
5. სარეკლამო სტატიების, ინტერვიუების დამზადება (განთავსება) ბეჭდურ მედიაში;
6. სარეკლამო, საპრეზენტაციო და დოკუმენტური ფილმების დამზადება (განთავსება);
7. პოლიგრაფიული, სასტამბო და საგამომცემლო საქმის წარმოება.

558 61 11 07

შედით საიტზე atb.ge



# ფოტოგრაფებმა სამშობლოს კი არა, ნაცმოძრაობას უღალატეს

ნანა მიშელაშვილი

**დამოუკიდებელი დეპუტატები ჯონდი ბაღათურია, პეტრე მამრაძე და კარლო კოპალიანი მზად არიან დაკავებულ ფოტორეპორტიორებს თავდებად დაუდგნენ. გუშინ პარლამენტში შეხვედრა გაიმართა, რომელიც ქართული დასის ლიდერის ჯონდი ბაღათურიას ინიციატივით გაიმართა. ბაღათურიამ განაცხადა, რომ სერიოზული ეჭვი არსებობს იმისა, რომ ფოტორეპორტიორებმა არა სამშობლოს, არამედ ნაციონალურ მოძრაობას უღალატეს.**

ჯონდი ბაღათურია დარწმუნებულია, რომ დაკავებული ფოტორეპორტიორები არა სამშობლოს, არამედ მმართველი გუნდის ღალატისთვის ისჯებიან.

ჯონდი ბაღათურიას განცხადებით, ძიება უნდა გაგრძელდეს, ამას ხელი უნდა შეუწყონ, თუმცა, იმისათვის, რომ დაკავებულებზე ზეწოლა არ განხორციელდეს, მათ თავდებში უდგებიან, რათა ხელისუფლებამ ისე არ წარმოადგინოს, თითქოს მათ ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბები გაჰყავდათ.

ბაღათურია ამ საკითხზე დიპკორპუსთან შეხვედრას გეგმავს, რომელსაც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და ჟურნალისტები დაესწრებიან. დამოუკიდელი დეპუტატი პეტრე მამრაძე კი, რომელსაც კანცელარიის უფროსად 13-წლიანი მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, დარწმუნებულია, რომ ფოტორეპორტიორების მიმართ საქმე მხოლოდ და მხოლოდ შეთითხნილია.

— ყველაფერი ისე მოხდა, როგორც 30-იან წლებში ხდებოდა, — აღნიშნა პეტრე მამრაძემ.პარლამენტში ქართული დასის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ.ფოტორეპორტიორებს გიორგი აბდალაძეს, ზურაბ ქურციკიძესა და ირაკლი გედენიძეს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით - ჯაშუშობის მუხლით წაუყენეს ბრალი, რაც თავისუფლების 8-დან 12 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს. მათ საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ადევს.

ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი კარლო კოპალიანი მზად არის, დაკავებულ 3 ფოტოგრაფს თავდებში ჩაუდგეს.

ჟურნალისტებთან საუბარში კარლო კოპალიანმა განაცხადა, რომ მზად არის დაკავებულ ფოტოგრაფებს თავდებში ჩაუდგეს, რადგან მათი უდანაშაულობის სჯერა.

— ეთანხმები იმ ვერსიას, რომ აღნიშნული ფოტორეპორტიორები დაკავებული არიან 26 მაისის სადამსჯელო ოპერაციის ამსახველი კადრების გადაღების გამო. მათ ხელისუფლებამ იმ კადრების გავრცელება არ აპატია, რაც 26 მაისის სასტიკ დარბევას უკავშირდება, - განაცხადა კარლო კოპალიანმა.

დეპუტატი ამბობს, რომ იგი 26 მაისის მოვლენების ერთ-ერთი თვითმხილველი და დაზარალებულია და მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენების ამსახველი კადრების გამოქვეყნებას.

— მზად ვარ, დამოუკიდებელ დეპუტატებთან ერთად თავდებში ჩავუდგე ფოტორეპორტიორებს, თუმცა, დიდი იმედი არა მაქვს, რომ ხელისუფლება ჩვენს წინადადებას გაიზიარებს, — აღნიშნა ცაგერის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

ფოტოგრაფების საქმესთან დაკავშირებით ჟურნალისტების ნაწილი ორი დღის წინ შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა. ამ შეხვედრაზე ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ დაკავებულებს თავდებში ჩაუდგებიან, თუმცა, ეს წინადადება გაზიარებული არ იქნა. ქართული დასის ლიდერი პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას კიდევ ერთხელ მოითხოვს. ბაღათურია ამბობს, რომ ამის აუცილებლობაზე დაკავებული ფოტორეპორტიორების საქმეც მეტყველებს.

ჯონდი ბაღათურიამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართულ შეხვედრაზე ისიც აღნიშნა, რომ შესაბამისმა კომისიამ ჟურნალისტებზე განხორციელებული ზეწოლის, მათზე თავდასხმის ფაქტებთან ერთად, ფოტოკორესპონდენტების საქმეც უნდა შეისწავლოს.

— ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რა მძიმე ვითარებაა შექმნილი საქართველოში მედიის თავისუფლების თვალსაზრისით. ფოტორეპორტიორების დაკავება მხოლოდ მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება, - აღნიშნა ჯონდო ბაღათურიამ.კიდევ ერთი, არასამთავრო ორგანიზაციები დაკავებული ფოტოკორესპონდენტების სასამართლო პროცესის მონიტორინგის განხორციელებას აპირებენ.



კავკასიის ქალთა ქსელის ხელმძღვანელმა ნინო ციხისთავმა გუშინ გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომ სასამართლოს მონიტორინგისათვის მზადება ახლავე უნდა დაიწყოს. მისი თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიაინსტიტუტები და ყველა სამოქალაქო ინსტიტუტი მომხდართან დაკავშირებით შეფასების დოკუმენტის მოსამზადებლად უნდა გაერთიანდნენ, რათა საქართველოში ხალხმა იცოდეს, რასთან გვაქვს საქმე.

— განსაკუთრებით სახალხო დამცველის აქტივობა უნდა მოვითხოვოთ და ხელი შევუწყოთ იმას, რომ მისგან დაკავებულების შესახებ საჯარო ინფორმაცია მოვისმინოთ, - აღნიშნა ნინო ციხისთავმა.

ფოტორეპორტიორების სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში სექტემბრიდან დაიწყება.

გუშინდელ შეხვედრაზე სხვა განცხადებებიც გაკეთდა. კერძოდ, „ალია ჰოლდინგის“ წარმომდგენელი დიმიტრი ტიკარაძე ამბობს, რომ სახალხო დამცველს გიორგი ტუღუშს კვირას, ოფიციალური მიმართვა გაუგზავნეს დაკავებულების მონახულების თხოვნით, თუმცა, უშედეგოდ.

ტიკარაძის განცხადებით, კვირას დაკავებულებთან ადვოკატებს არ უშვებენ, ამიტომ სურდათ ისინი სახალხო დამცველს მაინც მოენახულებინა, თუმცა, მას არ მოუნახულებია.

დამოუკიდებელმა დეპუტატმა პეტრე მამრაძემ კი ამაზე ივარაუდა, რომ სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში იქიდან, საიდანაც ჯერ არს, მკაცრად გააფრთხილეს.დიმიტრი ტიკარაძის ინფორმაციით, ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულ ფოტოკორესპონდენტებზე ზეწოლა ხორციელდება.

საპროტესტო აქციაზე შეკრებილი ჟურნალისტები მათი თავდებით გათავისუფლების მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას დაიწყებენ. ეს პროცესი მანამდე გაგრძელდება, ვიდრე საზოგადოებაში ხელმოწერების მსურველები იქნებიან.

ორი დღის წინ, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრიდან გამოსულმა ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ მერაბიშვილმა არ იცოდა თუ დაკავებული ფოტორეპორტიორების საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ედო. მათი თქმით, ჟურნალისტებთან გამართული შეხვედრისას მინისტრმა გაიკვირვა, რომ საქმეს გრიფით „საიდუმლო“ ადევს. ამდენად, დამოუკიდებელი დეპუტატების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და ჟურნალისტების თავდებობას გამოძიება ჯერჯერობით უპასუხოდ ტოვებს.

თავად დაკავებული ფოტორეპორტიორები კი ჟურნალისტებს მადლობას უხდიან. დაკავებული ზურაბ ქურციკიძის ადვოკატები ამბობენ, რომ ქურციკიძე ჟურნალისტებს თანადგომისთვის მადლობას უხდის. ადვოკატების თქმით, ზურაბ ქურციკიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა, დამაკმაყოფილებელია.

გუშინვე, პრეზიდენტის რეზიდენციასთან ჟურნალისტებმა ფოტორეპორტიორების მხარდასაჭერად აქცია გამართეს — „არაფერი მესმის და ვერაფერს ვხედავ“.

ჟურნალისტებს ეცვათ თეთრი მაისურები, რომელსაც ინგლისურ ენაზე წარწერა ჰქონდა: „არ არის სურათი“, „არ არის დემოკრატია“. ჟურნალისტები პრეზიდენტის რეზიდენციასთან გრძელ რიგში ჩადგნენ, ყურებზე ხელები აიფარეს და თვალები დახუჭეს.

---

# ვის დარჩება ბათუმი, თურქებს თუ სომხებს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

***— ჩვენი ხელისუფლების? კი მაგრამ, რატომ, რისთვის შეუკვეთეს?***

— უნდოდათ, ალბათ, რომელიმე ფრაგმენტი ეჩვენებინათ თავიანთ არხებზე პატრიარქის დისკრედიტაციისთვის. კარგად მახსოვს, ერთ ქართველ პოლიტიკოსზე, რომელიც პუტინს შეხვდა, დორბლმორეულნი ამტკიცებდნენ ჩვენი პოლიტიკური ელიტის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები — პუტინს დაუჩოქაო. დაჩოქების კადრები, რა თქმა უნდა, არ იყო ნაჩვენები, ვერაფერს ვხედავ გასაოცარს იმაში, პოლიტიკოსმა ქალმა ოფიციალურ შეხვედრაზე მისალმებისას რევერანსი გააკეთოს (ჩვენი პოლიტელიტისათვის კია უცხო ხილი, დაჩოქება ჰგონიათ). ვინ დაგიდევთ, არსებობს თუ არა დაჩოქების კადრები, მთავარია, გეუბნებიან, დაუჩოქაო, თანაც, ისეთი ავტორიტეტები, ყოველდღე რომ ტელევიზორში ხედავ... ასეთი რამ იყო ჩაფიქრებული და არ გამოუვიდათ — საქართველოს ეკლესიას ღირსეული წინამძღოლი ჰყავს. რაც შეეხება სხვა მიზეზებს, ასეთი საკითხები უფულოდ არ გვარდება, ხმამაღლა არ ლაპარაკობენ ხოლმე ამაზე, მაგრამ ასეა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია 26 მაისის ხოცვა-ჟლეტის გადაფარვა (თითქმის აღარავის აწუხებს, რომ ეს საკითხი შესასწავლი და გამოსაძიებელია), ასევე გასათვალისწინებელია, რომ უკვე ხმამაღლა ითქვა, აფხაზეთის თითქოსდა რესპუბლიკა საქართველომ უნდა ცნოსო. ეგ საკითხი თითქოს შემთხვევით შემოაცურეს საინფორმაციო ველში და გაიტრუნნენ. საზოგადოებამაც მაინცდამაინც დიდი აღშფოთება არ გამოთქვა აფხაზეთის საკითხზე... მაგრამ თავიდათავი მიზეზი გახლავთ ის, რომ ყველაფერი ქართული უნდა დეფორმირდეს და დამახინჯდეს, უნდა აირიოს და აითქვიფოს სხვა ღირებულებებსა თუ ფსევდოფასეულობებში, რომ მალე ვეღარ შევძლოთ კულტურული თვითიდენტიფიკაცია... ამაში უხდიან ფულს სააკაშვილს მისი მტრებიც და მოყვარეებიც. საკუთარი ქვეყანა თვითონ, სხვების დახმარების იმედის გარეშე უნდა ავაშენოთ.

***— იმის თქმა გინდათ, რომ აფხაზეთის ცნობის საკითხიც დადგება?***

— პირდაპირი პასუხისგან დღეს თავს შევიკავებ, ოღონდ, არა იმიტომ, რომ არ მაქვს. ერთ ამბავს გაგახსენებთ და, შესაძლოა, ჩემი პასუხიც ეგ იყოს, თანაც, არა მხოლოდ თქვენს ამ შეკითხვაზე... გახსოვთ, ალბათ, ითქვა, დავით აღმაშენებელზე ბლოკბასტერი გადავიღოთ, მსოფლიომ კარგად გაიცნოს, რამხელა მოღვაწე იყოო. კარგა ხნის პოლემიკა მოჰყვა ამას, ძვირია თუ არაო, გვჭირდება თუ არაო, იქამდე, რომ მთავარი როლებისათვის მსახიობები ლამის უკვე შეარჩიეს. ყველას ახსოვს, რით დამთავრდა ეს პროპაგანდისტული ფანდი — რა თქმა უნდა, ვერ წარმომიდგენია, ამ კამპანიის დასასრულს ეთქვა სააკაშვილს — რაღა წმიდა დავითზე გადავიღოთ ფილმი და ამოდენა ხარჯი გავწიოთ, ისტორია ჩემით იწყება, ბარემ ჩემზე გადავიღოთო. ეს ფრაზა, რა თქმა უნდა, ადრევე ჰქონდა ნათქვამი. ასეა, ასე ამზადებენ ხოლმე საინფორმაციო ველს და ასე ადუნებენ ხალხის ყურადღებას, ჯერ აუცილებლად წყნარ პროპაგანდისტულ სვლას გააკეთებენ ხოლმე.

***— გასაგებია... დაგვიკონკრეტეთ, რას ხედავთ ასეთ საშინელს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსში, რა საფრთხეებს შეიცავს, ბატონო დავით?***

— რელიგიური რიტუალის აღსრულება გარკვეული სარიტუალო შენობის არსებობას გულისხმობს. როცა რომელიმე რელიგია არსებობს კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით, მან უნდა აიშენოს ან იყიდოს ეს შენობა, ყოველ შემთხვევაში, მისთვის ისტორიული ძეგლის გადაცემა აქამდე ქართული კანონმდებლობით აკრძალული იყო. კულტურული მემკვიდრეობა არსებობდა და არსებობს საქართველოს კულტურის სამინისტროს, ხოლო თბილისში — თბილისის მერიის ბალანსზე. კულტურულ მემკვიდრეობას და ისტორიულ ძეგლს უწოდებს კანონი, თორემ, წარმოიდგინეთ, 1500 წელი ქართულ ენაზე ღვთისმსახურება რომ მიდის ტაძარში, რამხელა მადლი და ენერგეტიკული პოტენციალია იქ დაგროვილი — ამისი ფასი კი რელიგიური თუ ოკულტური წრეებისათვის განუზომელია. ახალი აშენებული შენობა კი არა (ჩვენ ისეთი იდიოტები ვართ, იმის აშენებაშიც მივეხმარებოდით), არამედ ეს სულიერი და ენერგეტიკული მუხტისა და ძალის მქონე ტაძრები სჭირდება სომხურ ეკლესიას (და არა მხოლოდ მას), ხოლო საქართველოში გასაყიდი აღარაფერი დარჩა — მიწა, წყალი, ტყე, ველი, საძოვარი, ხოდაბუნი, ინსტიტუტი, სკოლა, ქარხანა, ფაბრიკა, ელექტროსადგური, მდინარე, მთა, ბარი, ვენახი, პლანტაცია, ბაღი თუ ბოსტანი იყიდეს რუსებმა, ამერიკელებმა, ჩინელებმა, ყაზახებმა, არაბებმა, თურქებმა, ირანელებმა... კაცი იფიქრებს, ავშენდით, ამდენი ინვესტიცია შემოვიდაო. მაგრამ ამათ, ყველას ერთად, 20 ათასი სამუშაო ადგილი არ შეუქმნიათ, ხოლო ყველაფერი ამის საფასურად გადახდილი ფული სად წავიდა, ამის გარკვევას ნიურნბერგის პროცესი დასჭირდება. თუ 5 ეკლესიის მყიდველი მოიძებნა, ეს იმას ნიშნავს, რომ 15 ეკლესიის მყიდველიც მოიძებნება. 15-ს 75 მოჰყვება. ამ ტაძრებში აღებული ფულიც ჩვენი მთავრობისა და მათი უცხოელი თანამზრახველ-თანამონაწილეების უძირო ჯიბეებში გაქრება. ეს გახლავთ ის შედეგი, რომელსაც თანდათან, მშვიდად, აუღელვებლად გამოიწვევს აღნიშნული შესწორება. აი, ამან აღაშფოთა ხალხი, იმან, რომ ქართველი მლოცველი არც ისე შორს მომავალში შესაძლოა იძულებული გახდეს, სადმე, ქალაქგარეთ, ჯურღმულებსა და კატაკომბებში შეიკრიბოს სალოცავად და ისევე ვერ შევიდეს მისი მამაპაპის აშენებულ ეკლესიაში, როგორც ამჟამად აკრძალული აქვს მისი მამაპაპის მიერ სისხლით დაცული და სისხლით მორწყული ტყის თუ მდინარის მონახულება. ღმერთმანი, არ ვახდენ უტრირებას. სააკაშვილი და მისი რეფორმები, რასაც კი შეეხო, ყველაფერი დააქცია და გააჩანაგა — განათლების რეფორმამ დააქცია განათლება, ჯანდაცვის რეფორმამ — სამედიცინო სისტემა, მიწების რეფორმამ — აგრარული სექტორი... შრომა თუ უნდა კაცს, პირველ რიგში, უნდა ეცადოს, შემოსავალი იმაზე მეტი არ მიიღოს, როგორმე არავის მოხვდეს თვალში. თუ დიდი გაჭირვებით არჩენს კაცი ცოლ-შვილს, თვითონ ნახევრად გაბრუებული დადის სასმელის ან ნარკოტიკისაგან, ასეთი კაცი ითვლება კანონმორჩილად. ასეთ ხალხზე დგას ეს ხელისუფლება. პოლიციელებისათვის ცოტა სხვა სტანდარტია დასაშვები, მაგრამ ძირითადი თავისებურება დღევანდელი რეჟიმისა ეს გახლავთ. ამ ფონზე უამრავი ტაძარია ისეთი, რაშიც ვიღაცა დიდი სიამოვნებით გადაიხდის ფულს, ფულს კი სუნი არ აქვს, სააკაშვილისა და ბენდუქიძის მსოფლმხედველობის (არ მინდა, სხვა სიტყვა ვიხმარო). ხალხს რამდენჯერაც არ უნდა ჰკითხო: „დოქსოპულო, შენ დედა გყავს?“ მაინც არაფერი გამოვა. მოკლედ, დადგა უძველესი კულტურული და სულიერი ძეგლების რეფორმის ჯერი.

***— მახსენდება ფრაზა თქვენი ერთ-ერთი გამოსვლიდან: „მამული, ენა და სარწმუნოება“ ჩვენში კანონს მიღმაა დარჩენილი.***

— რა თქმა უნდა. სახელმწიფო საზღვრები დადგენილი არ არის არც კანონმდებლობით, არც სახელმწიფოებს შორის რაიმე აქტით. კანონი რელიგიის შესახებ არ არსებობს, ხოლო რით გამოიხატება, რომ ქართული ენა არის სახელმწიფო ენა, ძალიან ძნელი ასახსნელია როგორც საკანონმდებლო, ასევე არასაკანონმდებლო დონეზე. მეტიც, შეგნებულად არის დატოვებული ამ კანონმდებლობაში ხარვეზები, რომელიც მამულის, ენისა თუ სარწმუნოების მტრებს საშუალებას აძლევს, იმოქმედონ თავიანთ გემოზე.

***— სინოდის ხედვა ამ საკითხებზე თითქოსდა განსხვავებული აღმოჩნდა...***

— აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. სინოდის განჩინებას, შესაძლოა, სამოქალაქო ომი მოჰყოლოდა. დაწყებით, რა თქმა უნდა, სააკაშვილი დაიწყებდა, მაგრამ სინოდის განჩინებას დააბრალებდა (არსებობს მოსაზრება, უაღრესად საინტერესო, რომ 26 მაისის ღამეზე ეკლესიის დუმილის პასუხი იყო პარლამენტის ეს კანონი — კაენის ცოდვას ეკლესია არც კი გამოეხმაურაო). აქ კიდევ ერთი ნიუანსი მინდა გავიხსენო, შეიძლება, უმნიშვნელო, ერთი შეხედვით, მაგრამ, კარგად გასააზრებელი, როცა მთელი ქართველი საზოგადოება შეძრული იყო პარლამენტის ასეთი პოზიციით, რუსთაველზე გაიმართა გაურკვეველი ორიენტაციის, დაფინანსებისა და პოზიციის მქონე ჯგუფის მსვლელობა, აქცია სახელად „ჩემი სხეული მე მეკუთვნის“. ვერ გეტყვით, ვინ ართმევს ამ ხალხს სხეულს, ისე, ცოტა არ იყოს, მეეჭვება, ვინმე ართმევდეს, არც მივაქცევდი დიდ ყურადღებას, ორი ფაქტორი რომ არა. ჯერ ერთი, 26 მაისის მერე აქციის მოწყობას გამობრძმედილ-გამოჯეკილი და მრავალჭირვარამნანახი ორგანიზაციებიც კი ერიდებიან, ამათ კი გარანტია მისცა ვიღაცამ, მოაწყვეთ მსვლელობა, კანონსაც ნუ დაიცავთ, არავინ შეგეხებათ, არც ვინმე დაგილურჯებთ იმ სხეულს, თქვენ რომ გეკუთვნითო. მეორე ფაქტორი კი ის პლაკატი იყო, ზედ რომ ეწერა: „მომაშორე შენი რელიგიური ხელები ჩემი წმინდა სხეულიდან“ თუ რაღაც ამდაგვარი. პირდაპირ ეკლესიის, რელიგიისა და ტრადიციის წინააღმდეგ მიმართული სვლა იყო. ვერავინ დამაჯერებს, რომ დროში შემთხვევით დამთხვევასთან გვაქვს საქმე, მით უფრო, რომ შეფარული მუქარა იყო ეს აქცია. ამ და სხვა მუქარის ფონზე ძნელია თქმა, რა ჯობდა, თუმცა, მე უფრო აქტიური ნაბიჯების მომხრე ვარ.

***— დაბოლოს, თქვენ ბათუმში გაჩენილი სომხური წარწერები ახსენეთ. ხედავთ რაიმე კავშირს ამ პროცესებსა და უკვე აღნიშნულ წარწერებს შორის, ბატონო დავით?***

— რა თქმა უნდა, უკვე იკვეთება, რომ ბათუმში სომხური და თურქული ინტერესი უპირისპირდება ერთმანეთს. ორივე ცდილობს ბათუმის ათვისებას და ორივეს აქვს პრეტენზია ბათუმის სომხურ ან თურქულ ქალაქად გადაქცევაზე. აღსანიშნავია, რომ არც ერთს არ აწუხებს, ქართველები რას ფიქრობენ ამ საკითხზე. ცოტა ხანს იკინკლავებენ, მერე მოძებნიან ვილაცას, ვინც დაეხმარება, რომ ბათუმი გაიყონ და ორივე მხარე კმაყოფილი დარჩეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სცენარია ჩაფიქრებული. არ გეგონოთ, ვაჭარბებდე, ასეთი სცენარი ბევრი გვინახავს. როგორც ჩანს, საქართველოს დაშლის ახალი ეტაპი იწყება.

# სააკაშვილმა ფაშისტური რეჟიმი დაამყარა

## დაკავებულ ფოტოგრაფებს ყველამ უნდა დაუჭიროს მხარი

გულიკო ბალა ე

ხელისუფლება აღარავის ერიდება. სააკაშვილმა თავისი ფოტოკორესპონდენტებიც დაიჭირა და ციხეში გააგზავნა.

როგორც ჩანს, ფოტოკორესპონდენტების პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით ჟურნალისტების შს მინისტრთან შეხვედრამ ვერაფერი შედეგი მოიტანა და პროტესტი გაგრძელდება.

ფაქტი ერთია, ხელისუფლებას ჟურნალისტებმაც დაუსტვინეს. პარლამენტის წინ გამართულ აქციაზე ჟურნალისტები რამდენიმე საათის განმავლობაში სტვენით გამოთქვამდნენ ხელისუფლებისადმი პროტესტს. მათ თეთრი მაისურები ეცვათ, ხელში სასტვენები ეჭირათ და უსტვენდნენ ხელისუფლების გასაგონად. შემდეგ აქცია ტელეკომპანია „კავკასიაშიც" გაგრძელდა.

ხელისუფლებამ აღარ დატოვა არც ერთი სფერო, უხეშად რომ არ შეხებოდა. ამ შემთხვევაში სააკაშვილმა მასთან მომუშავე კორესპონდენტები გაწირა, მან დააპატიმრა ფოტოკორესპონდენტები, რომლებიც, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდნენ არსებული არადემოკრატიული რეჟიმის მეხოტბეები და ვერ დამალეს ის საშინელებები, რაც ხდება დღევანდელ რეალობაში. უფრო ალბათ ეს უნდა ვიფიქროთ; ჟურნალისტების აქციას საზოგადოების წარმომადგენლები, ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც უჭერენ მხარს, თუმცა, აქციებზე მხოლოდ მათი ნაწილი ჩანს.

ეკა ბესელია იზიარებს აზრს, რომ ფოტოკორესპონდენტების დაპატიმრების მიზეზი ხელისუფლების განაწყენებაა, რაც 26 მაისის სისხლიანი აქციის დროს გადაღებული ფოტოების გავრცელებამ გამოიწვია.

**ეკა ბესელია:**

— აბსოლუტურად ვიზიარებ და ვუერთდები გიორგი აბდალაძის მიერ საზოგადოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას, რომ მათი დაკავების მთავარი მოტივი ხელისუფლების განაწყენებაა 26 მაისთან დაკავშირებული ფოტოების გადაღების გამო.როგორც ჩანს, გულისწყრომა დაგროვდა იმ დრომდე, რომელი დროისთვისაც ხელისუფლებამ ყველაზე სასურველად ჩათვალა ამ ადამიანების დაკავება. ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის გაჩენილი გაუგებრობები ამ თემით გადაიფარა. ამიტომ დააპატიმრეს ახლა. ეს გადაწყვეტილება არსებობდა საქმის მასალებით, მაგრამ დრო სწორედ ამ მოტივით იქნა შერჩეული. ჩვენ ვიკვლევთ დაკავების საფუძვლებს. ვერ მივიჩნევთ საიდუმლოდ იმ არგუმენტებს, რომელიც ხელისუფლებამ მიაწოდა საზოგადოებას. ამიტომ ჩვენმა მოძრაობამ ჩართო ადვოკატი ვლადიმერ მაჭარაშვილი. მე პირადად დავიწყე მონიტორინგი ამ საქმეზე. გვინდა კონკრეტული ინფორმაცია გვქონდეს. თუმცა, არსებული მასალებითა და ინფორმაციების ანალიზიდან გამომდინარე, მათი დაკავება ხელისუფლების მხრიდან ატარებს ანგარიშსწორების ხასიათს.

***— რა გზა რჩება სიმართლის გასამარჯვებლად?***

— სიმართლის გასამარჯვებლად საჭიროა ბრძოლა. სამართლებრივი ბრძოლა, სოლიდარობის აქციები, საზოგადიების მხარდაჭერა, საერთაშორისო ზეწოლა,ერთობლიობაში ეს იქნება ის ძალა, რომელმაც შეიძლება შეაჩეროს ხელისუფლება.

***— ხელისუფლების ქმედებების შესაჩერებლად საზოგადოება სათანადოდ აქტიურობს?***

— საზოგადოებას აქტიურობა ალბათ აკლია. სწორედ ამიტომ ბედავს ხელისუფლება ამდენს, რასაც ბედავს. სოლიდარობის მაგალითი მართლმადიდებელმა მრევლმა აჩვენა რამდენიმე დღის წინ. კონტროლი ხელისუფლებას ასეთი ქმედებებისაგან ყოველთვის შეაჩერებს. როგორც ჩანს, საზოგადოებას ძალების მოკრება სჭირდება იმისათვის, რომ ხელისუფლების ასეთი ტიპის რევანშისტულ ქმედებას წინ აღუდგეს. ეს არის საზოგადოების ამოცანა.

ჟურნალისტთა აქციებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" წარმომადგენლებიც უერთდებიან. **ნინო ციხისთავი** ფიქრობს, რომ აქციები უნდა გაგრძელდეს.

— ამ დღებში შესაძლებელი ხდება, რომ ხალხმა პროფესიული პროტესტი დააფიქსიროს. ეს არის განსაკუთრებული მდგომარეობა, როდესაც საქართველოში პროფესიული პროტესტის ფორმა გამოიყენება. ასეთი პროფესიული პროტესტის ფორმა უფრო აძლიერებს საზოგადოებას და პროტესტი დივერსიფიცირებული ხდება. ზოგადი საკითხების გამო კი არ არის აქ ხალხი შეკრებილი, არამედ პროფესიული საქმიანობაში ხელის შეშლის გამო. ასეთი პროფესიული პროტესტის მოწმე ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ ბევრჯერ ვიყავით. მაგალითად, ადვოკატების, პედაგოგების, პროფკავშირებისა და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა პროტესტი ვიხილეთ, მაგრამ ახლა კონკრეტულად ჟურნალისტები გამოთქვამენ პროტესტს. ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს მედიის საქმიანობა შეჩერდეს, ან ხელი შეეშალოს, — განაცხადა ნინო ციხისთავმა.

***— ქალბატონო ნინო, ამ ქვეყანაში მედიის წარმომადგენლებსაც დასჭირდათ აქციის გამართვა და პროტესტის დაფიქსირება. პოლიტიკური ცხოვრების რა ეტაპს მივადექით?***

— მედია მუშაკებს ძალიან დიდი ხანია სჭირდებათ აქციის ჩატარება. ჩვენ ცალ-ცალკე, კონკრეტულ პიროვნებებთან და პატარ-პატარა არაფორმალურ მედიაგაერთიანებებთან გვაქვს ხოლმე საუბარი. ბოლო სამი წელია, განსაკუთრებით 7 ნოემბრის შემდეგ, ისინი რეალურად საუბრობენ იმაზე, რომ საჭიროა ჟურნალისტების პროფესიული გაერთიანება შეიქმნას, რომელიც იქნება კონკრეტული, მოტივირებული და მიმართული ჟურნალისტებისა და მედიათანამშრომლების დაცვაზე.

***— უკვე აშკარაა, რომ ხელისუფლება აღარავის ერიდება. მათ შორის, ჟურნალისტებსაც. საინტერესოა, ხელისუფლებამ ჟურნალისტებთან ბრძოლა რატომ წამოიწყო და რატომ არ ერიდება მათ?***

— ხელისუფლებასთან დაკავშირებით ბევრ რამეზე შეიძლება საუბარი, როდესაც არის შრომითი უფლებების დარღვევა, პარტიული ნიშნით სამსახურებიდან ადამიანების გათავისუფლება, ან მიღება-არმიღება, უმუშევრობის ზრდა, საბაზრო წესრიგის არ არსებობა, კერძო საკუთრების ხელყოფა, მაგრამ როდესაც არის ინფორმაციის გავრცელების აკრძალვა (რომელიც ყველაზე ფუნდამენტურია), მით უმეტეს, ინფორმაციის საუკუნეში ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პრობლემის შექმნა, ეს უკვე რაღაც კონკრეტული ეტაპის დაწყებაზე მიუთითებს. ეს გვიჩვენებს, რა რეჟიმთან გვაქვს საქმე. მივიღეთ მრავალფრაგმენტული სურათი, რომელიც ძალიან კონკრეტული ნიშნების მატარებელია. ჩვენი ორგანიზაცია („ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი") არა მარტო სოლიდარობას უცხადებს ჟურნალისტებს, არამედ ჩვენი პატარა წინადადებებიც მოვიტანეთ.



***— რა წინადადებები გაქვთ?***

— პირველ რიგში, უფრო მობილიზებული და უფრო დაგეგმილი პროტესტის გამოხატვაა საჭირო, მისი თანმდევი მთელი ქმედებებით, რის უფლებაც გვაქვს უფლებადაცვით არასამთავრებო ორგანიზაციებს ყველა კომპონენტის ჩათვლით. ოღონდ, ამას სჭირდება საერთო კოორდინირებული საქმიანობა. ჩვენ უკვე შევხვდით ჩვენს კოლეგა არასამთავრობო ორგანიზაციებს. ასევე შევხვდით მედიის კონკრეტულ წარმომადგენლებსაც. პროტესტი უნდა გაგრძელდეს. ერთ-ერთი ჩვენი კოლეგისაგან მოვისმინე, ხალხს ბევრს ველოდებოდითო. ორი ადამიანიც რომ იყოს ერთად გამოსული, ეს იმის ნიშანია, საზოგადოებაში არსებობს კონკრეტულ პირთა წრე, ვინც ამაზე ხმას აიმაღლებს. ეს უკვე მნიშვნელოვანია.

***— მედია, ფაქტობრივად, დაყოფილია სახელისუფლებო და არასახელისუფლებოდ. როგორც ფიქრობთ, ჟურნალისტთა ის ნაწილი, რომელიც პროტესტს გამოთქვამს, რა გავლენას მოახდენს ხელისუფლების ქმედებებზე?***

— მე არანაირ დაყოფას ხაზს არ ვუსვამ. ეს აქციები არის პროფესიული პროტესტის გამოხატულება, სადაც ყველანი ერთად არიან და ერთნი არიან. რომელიმე კონკრეტულ არხს არ ეკრძალება გამოვლენილ სლოგანებზე რეაგირება. ამ კონკრეტული დაკავებებით გამოვლინდა, რომ აღარ არსებობს უკვე თავისუფალი სივრცე. ხელისუფლების მხრიდან კონტროლის მექანიზმი იმ დონეზე ავიდა, რომ მასმედიის დანაწევრებაზე აღარ არის საუბარი. საზოგადოებისთვის უაპელაციოდ ჩაკეტილი სივრცის შემოთავაზება ხდება და ყველაფერთან ერთად ხელისუფლება ყველას იჭერს და ციხეში აგზავნის. ჩემიანი და მისიანი აღარ არსებობს. სააკაშვილს უნდა, მისი სცენარით განვითარდეს ყველაფერი. თუ ვინმე გადაუხვევს, ან სხვა აზრი გაუჩნდება, ყველას ციხითა და დაჭერით ემუქრება. იმედი მაქვს, ამ ფონზე, ამ პირობებში საზოგადოება პროტესტს გააგრძელებს. ამ საკითხთან დაკავშირებით შეკრებილი საზოგადოება ცალსახად აფიქსირებს, რომ არასოდეს შეურიგდება იმ უპირობო მოცემულობას, რომელსაც ხელისუფლება საზოგადოებას თავს ახვევს. ჟურნალისტებს უერთდებიან ადამიანის უფლებათა დამცველები, ჩვენი უცხოელი კოლეგები, რათა პირადად ნახონ და შეაფასონ არსებული მდგომარეობა. საუბრობენ იმაზე, რა იქნება შემდგომი ნაბიჯი. რაც უფრო მკაცრდება და ქვითკირდება ხელისუფლება, შესაბამისად, უფრო მკაცრდება და ქვითკირდება მეორე მხარეც. საზოგადოებამაც შესაბამისად უნდა იმოქმედოს.

ტელეკომპანია „კავკასიის" გადაცემა „ბარიერის" წამყვანი **ალეკო ელისაშვილი** დარწმუნებულია, ჟურნალისტები მიაღწევენ იმას, რომ დაპატიმრებული ფოტოკორესპონდენტები გაათავისუფლონ.

***— ბატონო ალეკო, მედიასთან ჭიდილში ხელისუფლებას თუ გაუმარჯვია და ახლა თუ გაიმარჯვებს?***

— სასტვენში იმდენს ვბერავდი, რომ მედიისა და ხელისუფლების ისტორიის გახსენება ცოტა მიჭირს, მაგრამ კონკრეტულ საქმეზე შემიძლია ვთქვა: ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩვენ მივაღწევთ დაპატიმრებულების გათავისუფლებას.

***— რა გაძლევთ ამის იმედს?***

— იმდენად უაზრობის გამო არიან დაჭერილები და იმდენად არა აქვთ მტკიცებულებები, რომ უნდა გაათავისუფლონ. რაც წარმოაჩინეს და მტკიცებულებებად ასაღებენ, მულტფილმია. რაც გვაჩვენეს, იმდენად არასერიოზულია, რომ ამან უფრო დამარწმუნა დაპატიმრებულების უდანაშაულობაში. ჩვენი ჯიუტი პროტესტით მათ გათავისუფლებას მივაღწევთ. მათ უდანაშაულობაში ახლა კიდევ უფრო ვარ დარწმუნებული, ვიდრე ორი დღის წინ.

ოპოზიციონერ **ლაშა ჩხარტიშვილს** მიაჩნია, რომ პოლიტიკური პატიმრების, ფოტოკორესპონდენტების მხარდაჭერა არ არის მხოლოდ ჟურნალისტების განსახორციელებელი ქმედება. თანდათანობით ამ პროცესში სხვა მოქალაქეებიც უნდა ჩაერთონ — პოლიტიკოსები იქნებიან, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები თუ სხვები, ვინაიდან ეს არის საერთო საქმე.

— დაპატიმრებული ფოტოკორესპონდენტების მხარდაჭერა მოქალაქეობრივი და ზნეობრივი ვალია. თუმცა, ეს ახლა არ დაწყებულა და ამ პროფესიის წარმომადგენლების პროტესტით არც მთავრდება. ჩვენ გვახსოვს ექიმების საქმე და პოლიტიკოსებთან მიმართ განხორციელებული ანალოგიური ქმედებები. გვახსოვს სხვა მოქალაქეებთან დაკავშირებული არა ერთი საქმეც. რეალურად, ამ შემთხვევაში ხელისუფლებას არ დაუდია სარწმუნო მტკიცებულებები ამა თუ ადამიანების ჯაშუშური საქმიანობის შესახებ. დარწმუნებული ვარ, როგორც ქურციკიძე, ასევე გედენიძე და აბდალაძე მსხვერპლი არიან სააკაშვილის უსინდისო პოლიტიკური პიარისა და მეტი არაფრის, როდესაც ცდილობს თავისი თავი წარმოაჩინოს რუსეთთან მებრძოლ მთავარ გმირად. არადა, გვახსოვს, სწორედ ეს ფოტოგრაფები თავს როგორ სწირავდნენ რუსული აგრესიის წარმოჩენისთვის, საკუთარი პროფესიული მოვალეობიდან გამომდინარე, თუნდაც დაბომბვის დროს ფოტოებს როგორ იღებდნენ. მათი გადაღებული უნიკალური ფოტოები მთელმა მსოფლიომ ნახა, რომელიც ასახავდა იმ რეალობას, რასაც სჩადიოდა რუსული ჯარი საქართველოში 2008 წელს, მაშინ, როდესაც დაბომბვის კი არა და, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე, მიხეილ სააკაშვილი მიწაზე ფორთხვით იყო დაკავებული და სამარცხვინოდ იქცეოდა. მეორე მხრივ, მე საქართველოში ერთადერთი სარწმუნო და დადასტურებული აგენტი ვიცი. ეს არის მიხეილ სააკაშვილი. ის არის პირი, რომელმაც არაერთი სტრატეგიული ობიექტი მიჰყიდა რუსულ მხარეს, რუსულ სახელმწიფო კომპანიებს, მათ შორის, ომის დროს. მაგალითისთვის შემიძლია დავასახელო, თუნდაც, ენგურჰესისა (რომელიც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია) და არაერთი ენერგეტიკული ობიექტის მიყიდვა რუსეთზე, რაოესის შემოყვანა, კაზრეთის მადნეულის გაყიდვა, რომელშიც პირდაპირ მიხეილ სააკაშვილის ბიძა და გენერალოვი არიან ჩართულები. ამ კომპანიას აფინანსებინებდნენ, მათ შორის, რუსეთთან ომზე ფილმის გადაღებას, რაც, საერთოდ, ცინიზმის მწვერვალია. ამ დროს ურცხვად აკავებენ და აპატიმრებენ იმ მოქალაქეებს, რომლებიც თანაბრად აშუქებდნენ, როგორც საგარეო მტრის საქმიანობას, ასევე მიხეილ სააკაშვილის ძალადობრივ ქმედებებს, როგორც 26 მაისის, ასევე 7 ნოემბრის შემთხვევებში. ესენი არიან გამოცდილი, კვალიფიციური პატიოსანი ფოტოგრაფები, პატიოსანი ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში სწირავდნენ თავის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს იმისათვის, რომ ყოფილიყვნენ იქ, სადაც საჭირო იყო მათი ყოფნა იმ გაგებით, რომ საზოგადოებისთვის ეჩვენებინათ, თუ რა ხდება საქართველოში. სოლიდარობა აუცილებელია. აუცილებელია სოლიდარობის მასშტაბის გაზრდა, ვინაიდან სხვა შემთხვევაში არა მხოლოდ ეს ადამიანები დარჩებიან პოლიტიკურ პატიმრებად, არამედ კიდევ ბევრი მოხვდება პოლიტიკურ პატიმრობაში.

***— პოლიტიკოსები ხომ არ პასიურობენ?***

— მთლიანობაში საზოგადოების აქტიურობის საკითხი ამ ეტაპზე საკმაოდ დაბალია. შეიძლება ეს გარკვეულწილად უიმედობის, დეპრესიული ფონის ბრალი იყოს, მაგრამ იმედი მაქვს, როგორც პოლიტიკოსები, ასევე სხვა მოქალაქეები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები თანდათან გააქტიურდებიან. სხვა შემთხვევაში, სიტუაცია დღითიდღე კიდევ უფრო დამძიმდება. ეს ტენდენცია გაჩნდა მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა 26 მაისს მოქალაქეების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა განახორციელა. ეს არ იყო რომელიმე კონკრეტული პოლიტიკოსის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება, ეს იყო კონკრეტულად დიქტატურის გამყარებისკენ მიმართული ქმედება, რის გადაფარვასაც სააკაშვილი ცდილობს. სურს ყველაფერი გამარჯვებად წარმოგვიდგინოს და ამ ფონზე სხვა ყველა არამორჩილ მოქალაქეს გაუსწორდეს — ყველა არამორჩილ მოქალაქეს გაუსწორდეს, იმ ადამიანებს გაუსწორდეს, ვინც არ ეგუება მის მიერ ჩადენილ დანაშაულობებს. ასე რომ, აქ საუბარი არ არის, რომელიმე პოლიტიკურ მიმდინარეობაზე ან პოლიტიკურ გემოვნებაზე, არამედ თითოეული ადამიანისა და სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას.

**ზაზა ხატიაშვილი** — **ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე:**

— როდესაც „დემოკრატიის შუქურა" მოვიდა ხელისუფლებაში, ვთქვი, რომ ეს იყო 21-ე საუკუნის ფაშისტური რეჟიმი და სამოქალაქო საზოგადოებას ერთად დგომისკენ მოვუწოდე. მაშინ სამოქალაქო საზოგადოება ინერტული იყო. პირიქით, ჩემს განცხადებას მტკივნეულად აღიქვამდა და ფიქრობდა, რომ სააკაშვილის რევოლუციური ეიფორია დამთავრდებოდა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ რევოლუციური ეიფორია გრძელდება — მეტასტაზი რომ მოედება და უნდა, ადამიანი გაანადგუროს, ასე ცდილობს სააკაშვილი ყველა სფეროს დაბინძურებას. ელემენტარულად არავის ინდობენ და მთელი საზოგადოების მოხრჩობაზე გადავიდნენ. ამას აკეთებდნენ ჰიტლერი, პინოჩეტი, ჩაუშესკუ. ეს არის 21-ე საუკუნის საშინელი მოვლენა, რომელსაც, ძალიან ცუდია, მაგრამ ამერიკელები დემოკრატიის შუქურას ეძახიან. ამიტომ ამერიკელების შიშით ხმას ვერავინ იღებს. სანამ სააკაშვილი ჩაითვლება დემოკრატიის შუქურად და, სანამ ამ ადამიანზე არ დაიდება დასკვნა, რომ ის არის სამოქალაქო საზოგადოების მტერი, მანამ უარეს სიბინძურეს ჩაიდენს. მე როცა ევროკავშირის პრეზიდენტის სახელზე საჩივარი შევიტანე და საქართველოში არსებული რეჟიმის პირველი პირების პერსონა ნონ გრატად გამოცხადება მოვითხოვე, ჟურნალისტთა კორპუსს მოვუწოდე, იგივე გაეკეთებინა, მაგრამ მხარი არავინ დამიჭირა.



***— სამაგიეროდ, მგონი, დღეისთვის აზრი შეეცვალათ და დაუსტვინეს კიდეც ხელისუფლებას?***

— ჟურნალისტებმა ხელისუფლებას ახლა დაუსტვინეს, მაგრამ ექვსი წლის წინ რომ ეს მომხდარიყო, სააკაშვილი ახლა ციხეში იქნებოდა.

***— თქვენ სააკაშვილის გამო ამერიკას საყვედურობთ. თუმცა, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის ანგარიშში საუბარია იმ დარღვევებზე, რაც საქართველოში ხდება.***

— ევროკავშირი და ევროპა რასაც აკეთებს, ეს მისასალმებელია, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოებამ და ოპოზიციამ ეს ვერ გამოიყენა. როცა ევროპამ ტალიავინის კომისია შექმნა, ეს იყო სააკაშვილის საბრალდებო დასკვნა. ამიტომ ოპოზიცია ტალიავინის დასკვნას უნდა დალოდებოდა. ოპოზიციამ კი, ვანო მერაბიშვილთან შეთანხმებით, ზოგიერთმა აქცია დაიწყო და ხალხი გადაღალა მაშინ, როცა უნდა დალოდებოდა.

***— ვანო მერაბიშვილთან შეთანხმებით?***

— რა თქმა უნდა. ეგ იყო დაგეგმილი. როცა ევროპამ ტალიავინის კომისია შეგიქმნა, როგორ შეიძლებოდა დასკვნის დადებამდე აქციის დაწყება? ფაქტობრივად, იმ აქციას პოლიცია არ ეკარებოდა იმიტომ, რომ ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა. რა მნიშვნელობა აქვს, ვანო მერაბიშვილისაგან ფული აიღეს თუ არა? ფაქტობრივად, მათ წისქვილზე დაასხეს წყალი.

# XXI საუკუნის ქართული მოთხრობის პრეზენტაცია გაიმართა

ეკა ირემაშვილი

ვაკის პარკში არსებულ კლუბში „33 ა“ „21-ე საუკუნის ქართული მოთხრობის“ პრეზენტაცია ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამართა. როგორც თავად ბაკურ სულაკაურმა პრეზენტაციაზე განაცხადა, ეს კრებული „15 საუკეთესო მოთხრობის“ ერთგვარი შეჯამებაა და მასში 2000-2010 წლებში გამოქვეყნებული 30 სხვადასხვა ავტორის თითო ნაწარმოებია შესული.

— მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნის ჯერ მხოლოდ ერთი ათწლეულია გასული, ქართულ პროზაში არსებული ცვლილებები საკმარისია საიმისოდ, რომ ამ ანთოლოგიამ ისინი ადეკვატურად ასახოს. ცვლილებები შეეხო ასაკსა და სქესს, კერძოდ, თუკი ძველად უფროსი თაობის ნაწარმოებები ჭარბობდა, ახლა ახალგაზრდა, 20-22 წლის მწერლების მოთხრობები უფრო მრავლადაა. აქტიურობენ ქალებიც. დღევანდელობაში ქალების ნაწარმოებებიც საკმაოდ ბევრია. სწორედ ესენი არიან ის ავტორები, რომლებიც დღევანდელ ქართულ ლიტერატურას ქმნიან, — აღნიშნა კრებულის პრეზენტაციაზე ბაკურ სულაკაურმა.

კრებულის წარდგენის შემდეგ ღონისძიების ორგანიზატორებმა ერთგვარი სახალისო თამაში მოიგონეს, მათ მწერლები გამოსცადეს, რამდენად კარგად იცნობდნენ ისინი თავიანთი კოლეგების ნაწარმოებებს. მათ წაიკითხეს სხვადასხვა მოთხრობიდან კონკრეტული ამონარიდები და ამ მონაკვეთების ავტორთა ვინაობის გამომცნობები წიგნებით დააჯილდოვეს.

— კრებული „21-ე საუკუნის ქართული მოთხრობა“ დროთა განმავლობაში განახლდება, შეივსება და საბოლოოდ ყველა მკითხველს ექნება შესაძლებლობა, გაეცნოს თანამედროვე პროზის ძირითად ტენდენციებს. ჩვენ გვიხარია, რომ დღეს ამდენი ადამიანი წერს. სხვა საკითხია, რამდენად ღირებულია ესა თუ ის ნაწარმოები, მაგრამ ზოგადად წიგნი რომ აქტუალურია, ეს ჩვენთვის ძალიან სასიხარულოა. ჩვენი პროექტი ევროკავშირმა დააფინანსა. ჩვენ პირობას ვაძლევთ წიგნის მოყვარულებს, რომ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა კიდევ არაერთ სიურპრიზს შესთავაზებს ქართველ საზოგადოებას, — განაცხადა კრებულის პრეზენტაციაზე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის დირექტორმა თინათინ მამულაშვილმა.

ბაკურ სულაკაურის მიერ გამოცემული კრებულის „21-ე საუკუნის ქართული მოთხრობა“ პრეზენტაცია ჯგუფ „კუნფუ ჯანკის“ კონცერტმა დაასრულა. მუსიკოსებმა კომპოზიციები ცოცხლად შეასრულეს.

# ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარემ მუშაობის შედეგები შეაჯამა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე გიგა კობალაძემ ორთვიანი მუშაობის შედეგები შეაჯამა და საზოგადოებას წარუდგინა. გიგა კობალაძე კომპოზიტორებს, მხატვრებს, რეჟისორებსა და მწერლებს რუსთაველის თეატრში შეხვდა. კობალაძემ მათ ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები გააცნო და ჰონორარის მიღების ახალ წესზე ესაუბრა.

შედეგების შეჯამების პარალელურად, საქართველოს ავტორთა საზოგადოება აქტიურად აფორმებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს სხვადასხვა კომპანიასთან. საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ „ელსა საქართველოს“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაუფორმა. თანამშრომლობა მიზნად ისახავს მთელი საქართველოს მასშტაბით საავტორო უფლებების სფეროში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისა და ახალგაზრდა იურისტებისთვის ტრენინგები გაიმართება. შეიქმნება სამართლის სკოლები, სადაც სტუდენტები საავტორო უფლებათა სფეროში არსებულ კანონმდებლობას უკეთ გაეცნობიან.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს ავტორთა საზოგადოებასა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციას შორის. მემორანდუმს საქართველოს ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე გიგა კობალაძემ და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ბექა ძამაშვილმა მოაწერეს ხელი. მემორანდუმი ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის რესურსის გამოყენებით საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის სწრაფი და ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, არსებული საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, მათ აღმოფხვრასა და ამ მიზნის მისაღწევად ერთობლივი პროექტების მომზადება-განხორციელებას ისახავს მიზნად.

შეხვედრას ავტორთა საზოგადოებისა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის გამგეობის წევრები, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

საქართველოს ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე გიგა კობალაძე ქართული ინტერნეტ-პროვაიდერებისა და პორტალების ხელმძღვანელებს შეხვდა. შეხვედრა ინტერნეტში გამოყენებულ პროდუქციაზე საავტორო უფლებებით სარგებლობის ტარიფების დაწესებასა და ქართული ინტერნეტ-სივრცის ლეგალიზაციას ეხებოდა. განიხილეს ქართულ ონლაინ-სივრცეში არალეგალური პროდუქციის აღკვეთისა და ინტერნეტის ლეგალიზაციის გზებიც. გაიმართა პროგრამის პრეზენტაციაც, რომელიც ინტერნეტ-პორტალებისთვის საავტორო უფლებებით სარგებლობის ტარიფების დაწესებას გულისხმობს. შეხვედრას საქართველოში მოქმედი ინტერნეტ-პროვაიდერებისა და მსხვილი პორტალების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ. საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ ინტერნეტ-პროვაიდერებისთვის საავტორო უფლებებით სარგებლობის ტარიფები დააწესა. ამასთან დაკავშირებით ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარე გიგა კობალაძე ქართული ინტერნეტ-პროვაიდერებისა და პორტალების ხელმძღვანელებს შეხვდა და პროგრამის პრეზენტაცია გამართა. პროგრამის ფარგლებში ქართულ ონლაინ-სივრცეში არალეგალური პროდუქციის აღკვეთისა და ინტერნეტის ლეგალიზაციის გზებზე იმსჯელეს.

— საქართველოს ავტორთა საზოგადოება შეხვდა როგორც პორტალების, ასევე ინტერნეტ-პროვაიდერების ხელმძღვანელებს. ჩვენ გვინდა დავიწყოთ ლეგალიზაციაზე ზრუნვა. აუცილებელია, ერთად მოვიფიქროთ გზები, რომ ფეხი ავუწყოთ თანამედროვე მსოფლიოს და გავხადოთ ქართული ინტერნეტ-სივრცე კიდევ უფრო ლეგალუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ოლეგ ბასილაშვილი ქართულ-რუსულ ფილმში ითამაშებს

ეკა ირემაშვილი



რუსეთში მოღვაწე ქართველი მსახიობი ოლეგ ბასილაშვილი ახალ ქართულ-რუსულ ფილმში ითამაშებს, რომლის რეჟისორიც ასევე რუსეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორი რეზო გიგინეიშვილია. ის ცნობილი რუსი რეჟისორის ნიკიტა მიხალკოვის სიძეა.

„ლეგენდა სიყვარულზე“ — ასე ეწოდება ფილმს. მისი გადაღებები ივლისის ბოლოს საქართველოში დაიწყება. ფილმის პროდიუსერი არჩილ გელოვანია. ამ ეტაპზე ფილმის გადაღებებისთვის წინამოსამზადებელი ეტაპი მიმდინარეობს, რომელიც ორ კვირაში დასრულდება. გადაღებები თბილისში, ბათუმში, სიღნაღში, მოსკოვში და შესაძლოა პრაღაშიც გაიმართოს. ახალი ქართულ-რუსული ფილმის გადაღებები სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდება.

გადამღები ჯგუფის წევრები საქართველოს, რუსეთის, ჩეხეთისა და უკრაინის წარმომადგენლები არიან. ლირიკულ კომედიაში როლებს შეასრულებენ მერაბ ნინიძე, ია სუხიტაშვილი, ნატო მურვანიძე, მიხეილ მესხი, ოლეგ ბასილაშვილი, ირინა ჩურიკოვა, მაშა მირონოვა, კონსტანტინ ხაბენსკი, ალექსანდრე ციგანოვი.

„ლეგენდა სიყვარულზე“ — ლირიკული კომედიაა, რომელიც მთლიანად ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას ეძღვნება. ეს იქნება ქართულ-რუსული ერთობლივი ისტორია. ფილმის შექმნის იდეის ავტორი და პროდიუსერი არჩილ გელოვანია. ის სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორია. ფილმის რეჟისორი რეზო გიგინეიშვილი იქნება, სცენარის ავტორები კი — ალისა ხმელინცკაია, დათო ტურაშვილი და რეზო გიგინეიშვილი.

ფილმის პრემიერა, სავარაუდოდ, 2012 წლის 26 აპრილს თბილისში, მოსკოვსა და კიევში ერთდროულად გაიმართება. პრემიერის შემდეგ კი ფილმი უკვე კინოგაქირავებაში გამოვა.

ოლეგ ბასილაშვილი ახალ ფილმში მუშაობის პარალელურად, საკმაოდ პრესტიჟული თეატრალური პრემიის მისაღებად ემზადება. მას „ოქროს სოფიტს“ ალისა ფრეინდლიხთან ერთად მიანიჭებენ. მსახიობები სანკტ-პეტერბურგის უმაღლესი თეატრალური პრემიის „ოქროს სოფიტის“ ლაურეატები უკვე გახდნენ. პრემიის სანომინაციო საბჭოს წარმომადგენელმა ნიკოლაი ბუროვმა განაცხადა, რომ ბასილაშვილსა და ფრეინდლიხს სპეციალური პრემიები პეტერბურგის თეატრალურ კულტურაში შეტანილი წვლილისთვის მიანიჭეს. ეს პრემიები მსახიობებისთვის პირველი არ არის. ალისა ფრეინდლიხს 1995, 2002 და 2004 წლებში უკვე მიღებული აქვს „სოფიტის“ პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. ოლეგ ბასილაშვილმა იგივე პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის 1997 და 2008 წლებში მიიღო. წელს ოლეგ ბასილაშვილთან და ალისა ფრეინდლიხთან ერთად კონსტანტინე რაიკინიც დაჯილდოვდება. მას გიორგი ტოვსტონოგოვის სახელობის პრემია ნაყოფიერი თეატრალური მოღვაწეობისთვის მიენიჭება.

პრემია „ოქროს სოფიტი“ სანკტ-პეტერბურგში 1995 წლიდან გაიცემა და სულ 23ნომინაციისგან შედგება. წელს დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი 7 ნოემბერს შედგება.

მილოცვა

ჩვენს ძვირფას მამას
ლეო ზენაიშვილს
15 ივლისს ვულოცავთ 82-ე
დაბადების დღეს. ვუსურვებთ დიდხანს
სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
შვილები თამარ, მაკა და მალხაზ ზენაიშვილები ოჯახებით

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით. 1 კვ.მ.-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● ოსტეოქონდროზის, სმენის დაქვეითების (ნევრიტის), ოტიტის, პროსტატიტის, ცისტიტის, კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სახსრების ანთების, კიდურების დაბუჟების, რადიკულიტისა და სხვა დაავადებების მკურნალობა უმაღლესი შედეგებით. მიღება ჩაწერით. გადახდა ყოველ პროცედურაზე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 595-45-50-35 რეაბილიტოლოგი ბ-ნი ლევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 234-02-38; 595-293-299; 8790-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

# სერხიო აგუერო: „მესის ჰიმნის სწავლა არ უნდა“

ჯერ კიდევ მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდი სერხიო აგუერო არგენტინულ მედიას ესაუბრა. „ჯერ კიდევ“ იმიტომ, რომ დიეგო მარადონას სიძემ განაცხადა, „როხიბლანკოში“ აღარ დავბრუნდები, კლუბთან ყველაფერი გარკვეულია და სად გადავალ, ესეც მალე გადაწყდებაო.

— ***კოსტა-რიკასთან მატჩი შეაფასეთ.***

— მანამდე, ბოლივიასთან და კოლუმბიასთან მატჩებში ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა და ვერ გამოვიყენეთ. კოსტა-რიკასთან ანგარიში გავხსენით და ყველანი დავმშვიდდით. ამ მოგებამ მეოთხედფინალში გაგვიყვანა, სადაც ნერვიულობა აღარ გადაგვყვება.

— ***ჯგუფის ბოლო ტურში რომ ვერ მოგვეგოთ, არგენტინის ნაკრებს ცუდად ექნებოდა საქმე.***

— ასე იოლადაც არ ხდება ფლეიოფში გასვლა. ჩვენ შევეჩვიეთ მუდამ პოზიტიურ შედეგს. თავდაჯერება ვიგრძენით — თუ ყველანი ბოლომდე ვეცდებოდით მოგებას, ამოცანას აუცილებლად შევასრულებდით. რთული მდგომარეობიდან გამოვედით და ახლა ჯგუფური ეტაპი უნდა დავივიწყოთ. მშვენივრად გვესმის, რომ ახლა შეცდომების დრო აღარაა.

— ***რა შეიცვალა ნაკრების თამაშში?***

— ბოლივიასთან ცუდად ვმოქმედებდით, ბოლო შეხვედრაში კი ჩვენი პოტენციალი გამოვავლინეთ. ესაა მთელი საიდუმლო. ფსიქოლოგიურ წნეხს გავუძელით, თუმცა ეს არაა მაქსიმუმი, უკეთაც შეგვიძლია. ახლა ყოველი მატჩი ფინალივითაა და ფრთხილად უნდა ვიყოთ.

— ***კოსტა-რიკასთან მატჩი შეტევის მარცხენა ფლანგზე დაიწყეთ. უხერხულად ხომ არ გრძნობდით თავს?***

— საქმე პოზიციაში კი არა, თამაშის სტილის შეჩვევაშია. ჩვენი ნაკრები თითქმის ამავე შემადგენლობით იყო პეკინის ოლიმპიადაზე. კოსტა-რიკასთან 7 ის ფეხბურთელი იყო მინდორზე, რომლებმაც პეკინში ფინალში ითამაშეს. ამიტომაც იოლია ურთიერთგაგება. შეტევაში დაგვემატა გონსალო იგუაინი, რომელმაც მრავალფეროვნება შემოიტანა. პეკინში წინ მე და მესი ვიყავით, სიღრმიდან კი ხუან რომან რიკელმე. სერხიო ბატისტას სურდა, რომ ჩვენ მუდმივად მეტოქის ნახევარზე გვეთამაშა. ამიტომაც, როცა ბურთი ლეოს მიუვიდოდა, მეც ვიწყებდი მოძრაობას, რათა გოლის გატანაში დავხმარებოდი. თუმცა ამჯერად გამიმართლა, თავად შევაგდე ორი გოლი.

— ***არ გწყინთ, რომ არგენტინის ნაკრებს სულ „ბარსელონას“ ადარებენ?***

— არანაირად. ვაკეთებთ იმას, რასაც მწვრთნელი გვთხოვს. ყოველთვის ვცდილობთ ბურთის დიდხანს დაჭერას.

— ***მიმდინარე კოპა ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ხართ, არადა, შეიძლებოდა საერთოდ ვერ გეთამაშათ ტურნირზე.***

— მეც მქონდა ასეთი ფიქრები. ჩვენ ხომ ძალიან ძლიერი წინა ხაზი გვყავს. ამიტომაც ვიკლავდი თავს „ატლეტიკოში“, რათა მწვრთნელს შეემჩნია და გამოვეძახებინე ნაკრებში. თუმცა ესეც არ იყო ძირითადში თამაშის გარანტი.

— ***მესი-აგუეროს შედარებებით არ დაიღალეთ?***

— შეიძლება ითქვას, კი. მესი ფენომენია და ამაზე ვერავინ იკამათებს. მთელი მსოფლიო ლეოზე ლაპარაკობს, ამიტომაც ნურავის გაუკვირდება, ყველას მას რომ ადარებენ. კოპა ამერიკაზე მესისგან ისეთივე სასწაულებს ელიან, რასაც „ბარსელონაში“ აკეთებდა, თუმცა ფეხბურთელს ეს ყოველთვის არ გამოსდის. ხალხმა უნდა გაიგოს და მოითმინოს: სამხრეთამერიკული და ევროპული ფეხბურთი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება, გადაწყობას კი დრო სჭირდება.

— ***მესიმ ჰიმნი კვლავ ვერ ისწავლა?***

— დავიღალეთ და ამ თემაზე აღარ ვეხუმრებით. ადამიანს არ უნდა, ჰიმნი იმღეროს, ეს მისი გადაწყვეტილებაა და ვერავინ შეცვლის. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ლეოს თავისი ქვეყანა არ უყვარს. ის მზადაა, არგენტინისთვის მინდორზე მოკვდეს და ამას თამაშითაც ამტკიცებს.

# კოპაზე ყველა მეოთხედფინალისტი გარკვეულია

**პარაგვაი-ვენესუელა 3:3**

**0:1 რონდონი (6), 1:1 ალკარასი (34), 2:1 ბარიოსი (64), 3:2 რივეროსი (86), 3:2 ფედორი (89), პეროსო (90)**

**პარაგვაი:** ვილარი, ვერონი, და სილვა, ალკარასი, ტორესი, ორტიგოსა, ვერა (სანტანა 71), რივეროსი, ესტიგარიბია (კასერესი 85), ბარიოსი, სანტა კრუსი (ვალდესი 42)

**ვენესუელა:** ვეგა, როზალესი, ვისკარონდო, პეროსო, ჩიჩერო, რინკონი, გონსალესი (მალდონადო 76), დი გიორგი, ოროსკო (ფედორი 67), არისმენდი (არანგო 64), რონდონი

კოპა ამერიკის ჯგუფური ეტაპის ბოლო სათამაშო დღე ყველაზე უხვგოლიანი გამოდგა. დღის პირველი შეხვედრა პარაგვაისა და ვენესუელას შორის გაიმართა. პარაგვაელებს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ქულა სჭირდებოდათ და ამოცანა შეასრულეს. მატჩი ძალიან საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა. ანგარიში ვენესუელამ მე-6 წუთზე გახსნა — რონდონის შორეული გასროლა ზუსტი გამოდგა. 34-ე წუთზე, ვენესუელელთა საჯარიმოში არსებული არეულობით ისარგებლა ალკარასმა, რომელმაც ახლო მანძილიდან დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

უხვგოლიანი გამოდგა მეორე ტაიმი: 64-ე წუთზე პარაგვაელები წინ გავიდნენ, ხოლო მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე რივეროსმა ორბურთიანი ფორა შეუქმნა გუნდს და თითქოს მატჩის ბედის აქ გადაწყდა, მაგრამ ვენესუელელებმა ბოლომდე იბრძოლეს და 89-ე წუთზე აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა ფედორმა ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა, უკვე დამატებულ წუთზე კი პეროსომ გუნდს ქულა მოუტანა.

**ბრაზილია-ეკვადორი 4:2**

**1:0 პატო (29), 1:1 კაისედო (38), 2:1 ნეიმარი (50), 2:2 კაისედო (59), 3:2 პატო (62), 4:2 ნეიმარი (72)**

**ბრაზილია:** სეზარი, მაიკონი, ლუსიო, სილვა, სანტოსი, ლუკას ლეივა, რამირესი, რობინიო, განსო (ელიასი 77), ნეიმარი (ლუკასი 80), პატო (ფრედი 85)

**ეკვადორი:** ელისაგა, რეასკო (აჩილიერი 82), არაუხო, ერასო, აიოვი, აროიო, მინდა, ნობოა (მონტანო 90), მენდესი (მინა 77), ბენიტესი, კაისედო

6 გოლი გავიდა დღის მე-2 მატჩშიც: როგორც იქნა, იმედები გაამართლა ნეიმარმა, რომელმაც ეკვადორელთა კარში 2 გოლი გაიტანა. ასევე დუბლი გაიფორმა პატომაც.

29-ე წუთზე სანტოსის ფლანგური გადაცემა თავური დარტყმით გოლად პატომ აქცია. 38-ე წუთზე კაისედოს საჯარიმოს გარედან დარტყმული ბურთი იოლი მოსაგერიებელი ჩანდა, მაგრამ სეზარის კარში აღმოჩნდა.

50-ე წუთზე განსოს ძალიან კარგი პასის შემდეგ ნეიმარმა კოპა ამერიკაზე თავისი ანგარიში გახსნა, მაგრამ მალევე კაისედომ საჯარიმოს გარედან კიდევ ერთხელ დაუმიზნა ბურთი სეზარს და ბრაზილიელთა კარის დარაჯის მორიგი შეცდომით დუბლიც გაიფორმა.

ამ გოლიდან სამ წუთში, ნეიმარის დარტყმის შემდეგ, შეცდომა უკვე ეკვადორელთა კიპერმა დაუშვა, რომელმაც ბურთი ხელებში ვერ შეიმაგრა და დამატებაზე მოთამაშე პატოს თავისი მე-2 გოლის გატანის საშუალება მისცა. ათ წუთში, დუბლი ნეიმარმაც გაიფორმა. წინა შეხვედრაში ძალიან ცუდად მოთამაშე დანი ალვეშის ნაცვლად შემადგენლობაში გამოჩენილი მაიკონი მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა და კარის გასწვრივ გაკეთებული გადაცემით, უმეთვალყურეოდ დატოვებულ ნეიმარს მან შეხვედრის ბოლო გოლი გაატანინა.

**სატურნირო ცხრილი:**

**ბ ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბრაზილია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| 2.ვენესუელა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| 3.პარაგვაი | 3 | 0 | 3 | 0 | 5:5 | 3 |
| 4.ეკვადორი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# „ზესტაფონი“ მოლდოვაში ცალი ფეხით მიდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე



დილი ტრიბუნების წინ, საკუთარ პატარა და კოხტა სტადიონზე, „ზესტაფონმა“ შესანიშნავი ფეხბურთი აჩვენა — ისეთი, ქართველ გულშემატკივრებს სტადიონზე რომ მიაბრუნებს. არადა, ამ მატჩის ტელევიზიით არჩვენება მართლაც საცოდაობა იყო. შემდეგ ვნახეთ და სხვადასხვა ვებგვერდების წყალობით ეს მატჩი 500.000-ზე მეტმა გულშემატკივარმა იხილა.

მოლდავეთის ჩემპიონს არცთუ სუსტ მეტოქედ მიიჩნევდნენ და „დაჩიასთვის“ კარში სამი უპასუხო გოლის გატანით „ზესტაფონმა“ შემდეგი ეტაპისკენ სერიოზული ნაბიჯი გადადგა.

ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაზე ორივე გუნდი დებიუტანტი იყო და, წესით, მღელვარება უნდა ჰქონოდათ. ვერ გეტყვით, რა სჭირდა „დაჩიას“, მაგრამ „ზესტაფონს“ საამისო არაფერი ეტყობოდა. მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან თამამად შეუტიეს და მოლდოველებს ნამდვილი საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს. ქართველ ფეხბურთელებს ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ. ზესტაფონელებმა ყველაფერი დიდებულად გააკეთეს — ბურთი დაიჭირეს, პასები უზადო და უწონო ჰქონდათ, ლამაზი კომბინაციებით მეტოქეს თავბრუ დაახვიეს და ულამაზესი გოლებიც გაიტანეს. განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქართველთა უპირატესობა ტექნიკის მხრივ. თითოეულმა ფეხბურთელმა ღირსეულად ითამაშა, თუმცა ღირსეულთა შორის მაინც უნდა გამოვარჩიოთ საუკეთესო, ჯაბა დვალი, რომელიც რამდენიმე წლის წინ სწორედ „დაჩიაში“ თამაშობდა.

როგორც უკვე გითხარით, ზესტაფონელები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას. მოკლე პასებითა და გააზრებული კომბინაციებით ცდილობდნენ მეტოქის კართან მიახლოებასა და ხიფათის შექმნას, თუმცა პირველი დარტყმა როინ კვასხვაძის კარისკენ განხორციელდა. ზესტაფონელ მცველებს მიხაილოვი დაუსხლტა, მაგრამ მისი სუსტი დარტყმა კვასხვაძემ იოლად მოიგერია. „ზესტაფონმა“ ტემპს უმატა და ტექნიკის ხარჯზე მეტოქეს ბევრი თავსატეხი გაუჩინა. მოლდოველები მათ შეჩერებას ვერ ახერხებდნენ, რასაც ალბათ ნერვიულობაც დაერთო და მათი მხრიდან შეცდომებმაც იმატა.

მე-5 წუთზე ირაკლი ძარიამ დაარტყა სახიფათოდ, თუმცა ოდნავ არაზუსტად. დვალმა კი გელაშვილის პასი ვერ დაიმორჩილა, თორემ მეკარესთან პირისპირ გადიოდა...

მე-12 წუთზე ჯერ ნიკა გელაშვილის უძლიერეს დარტყმას დავით გამეზარდაშვილი გადაეღობა თავგანწირვით, შემდეგ დვალის ძლიერი დარტყმა მცირედით ასცდა კარს და მალე გოლიც გავიდა. მე-14 წუთზე თორნიკე აფციაურმა შესანიშნავი პასი გაუკეთა გელაშვილს, რომელმაც მეკარეს შანსი არ დაუტოვა და ძელიდან ასხლეტით ანგარიში გახსნა — 1:0

მე-16 წუთზე ონიცას სახიფათო საჯარიმოს დარტყმის საშუალება მიეცა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა. მე-19 წუთზე თემურ ლონლაძე ჩაერთო შეტევაში და მისი უძლიერესი დარტყმული ბურთი მიზანს ასცდა.

ზესტაფონელები დიდ დროს ატარებდნენ შეტევაში და მათ გარჯას კიდევ ერთი ნაყოფიც მალე მოჰყვა. 23-ე წუთზე გრძელი პასის შემდეგ მცველები დაიბნენ და ბურთი დვალთან აღმოჩნდა, რომელმაც ორ მცველს გვერდი აუარა და საჯარიმოს გარედან უძლიერესი დარტყმით გაიდუჩევიჩის კარის ცხრიანში გაიტანა — 2:0.

დვალისა და გელაშვილის დუეტი ამის შემდეგაც არ აძლევდათ სტუმრებს მოსვენებას. 29-ე წუთზე ჯაბამ გელაშვილი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, გაიდუჩევიჩი კარიდან გამოვიდა, საჯარიმოს ფარგლებსაც გასცდა და ზესტაფონელ თავდამსხმელს ბურთთან დაასწრო. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ხელითაც შეეხო ბურთს, მაგრამ მსაჯმა ამ მომენტს ყურადღება არ მიაქცია.

39-ე წუთზე დვალმა ისევ გაიბრწყინა — ბურთის მიღების შემდეგ სამ მცველს მოკლე მონაკვეთში მოხდენილად დაუსხლტა და ახლო მანძილიდან მეკარეს შანსი არ დაუტოვა — 3:0.

ზესტაფონელები შესვენებაზე სერიოზული ჰანდიკაპით გავიდნენ. თამაშის მიმდინარეობიდან გამომდინარე, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მოლდოველთა კარში გოლებს კიდევ ბლომად ვიხილავდით, მაგრამ მეორე ტაიმი პირველივით უხვგოლიანი არ გამოდგა. თუმცაღა, დასამახსოვრებელი და ლამაზი ეპიზოდები მეორე 45 წუთშიც მრავლად იყო და ისევ ზესტაფონელი ფეხბურთელების წყალობით.

თამაშის განახლებისას მოლდოველებმა შეუტიეს. ტუმბასევიჩის გადაცემის შემდეგ მიხაილიოვი ცდილობდა დასწრებაზე თამაშს, მაგრამ მცველებმა განმუხტეს სიტუაცია. შეცვლაზე შემოსული დედოვიც ბევრს აქტიურობდა, მაგრამ ზესტაფონელმა მცველებმა მასაც არ მისცეს შანსი. 53-ე წუთზე მარჯვენა ფლანგზე კარგად ითამაშა ლონლაძემ, ზუსტი პასით გელაშვილი მოძებნა, ნიკას ძლიერი დარტყმული კი მეკარემ ნახტომში მოიგერია. გოლის გატანის შანსები ჰქონდათ დვალს, მურთაზ დაუშვილსა და ზაალ ელიავას — დვალმა სახიფათო შეტევისას სულ მცირედით ააცილა მისკენ მამავალ ბურთს თავი, დაუშვილმა ააცილა, ელიავას კი მეკარემ აუღო.

64-ე წუთზე დვლმა ისევ მოკლე მონაკვეთზე ამჯერად ოთხი მეტოქე გააბითურა, მაგრამ მეხუთემ დარტყმა არ დაანება. 78-ე წუთზე ონიანის სახიფათო საჯარიმოს შემდეგ ბურთი ზემოდან მოხვდა ბადეს. 82-ე წუთზე უკვე გრიგალაშვილმა აიგდო მასხრად სტუმრები და ბურთი კარის წინ მარტოდ მდგომ დვალს მისცა, მაგრამ მატჩის გმირმა ამჯერად კარში დარტყმა დააყოვნა და ბურთი მცველებმა აართვეს.

რაც შეეხება მოლდოველებს, მათ ორიოდე ნახევარმომენტი შექმნეს. მიხაილოვის დარტყმის მოგერიება კვასხვაძეს არ გასჭირვებია, მე-80 წუთზე კი მათ კუთხურს ზესტაფონელთა კართან არეულობა მოჰყვა და გამეზარდაშვილის დარტყმა მცირედით ასცდა მასპინძელთა კარს. მალე თურქი არბიტრის ჰალის ოზკაიას საფინალო სატვენიც გაისმა და სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა გუნდის გაცილებას მთელი ოვაციები დაახარჯეს. „ზესტაფონმა“ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ცალი ფეხით ჩემპიონტა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზეა გასული.

„ზესტაფონი“-„დაჩიას“ მატჩის შემდეგ, მეტოქე გუნდების თავკაცები ტრადიციული თანმიმდევრობით გაესაუბრნენ დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში შეკრებილ მოლდოველ და ქართველ ჟურნალისტებს.

**იგორ დობროვოლსკი, „დაჩიას“ მთავარი მწვრთნელი:**

— რაც ჩვენს გუნდს პირველ ტაიმში დაემართა, ნევროზზე მეტად რამდენიმე ფეხბურთელის საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება იყო. ჩემი აზრით, „ზესტაფონმა“ საკმაოდ მაღალი დონის, კარგი ფეხბურთი აჩვენა და დამსახურებლადაც მოიგო.

— ***თქვენ „მეორე ნომრად“ თამაშს არ აპირებდით, სინამდვილეში კი ასე გამოვიდა.***

— ყველა ისე თამაშობს, რის საშუალებასაც მეტოქე აძლევს. „ზესტაფონმა“ გვაიძულა, საკუთარ კარს მივჯაჭვოდით, რაც, ვთვლი, რომ ჩვენი გუნდის მიუტევებელი შეცდომა იყო.

— ***შანსები ისევ 50-50-ზეა თუ საბოლოო შედეგის მიღწევაში რამე შეიცვალა?***

— თუ „ზესტაფონმა“ აქ ჩვენთვის 3 გოლის გატანა შეძლო, კიშინიოვში ცვლილებებს მოვახდენთ და მის წინააღმდეგ სხვა „დაჩია“ ითამაშებს. ასე რომ, შანსები უცვლელია — 50-50-ზე.

**გია გეგუჩაძე, „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი:**

— სასიამოვნოა, როცა იგებ და ასეთი მარაგით ხვდები საპასუხო მატჩს. არც ის მინდა, გუნდი ეიფორიას მიეცეს. გვესმის, რომ ძალიან მძიმე მატჩი გველის კიშინიოვში და გუნდი ჩვეულად გააგრძელებს მზადებას. კმაყოფილი ვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ბევრი რამ კიდევ გამოსასწორებელი გვაქვს.

— ***„დაჩია“ იყო ასეთი სუსტი თუ თქვენი გუნდია ასეთი ძლიერი?***

— მოდით, ასე ნუ დავსვამთ საკითხს. ხდება ისე, რომ არ უმართლებს გუნდს. დარწმუნებული ვარ, „დაჩია“ სუსტი მოწინააღმდეგე არაა. იგი ღირსეული მეტოქეა და მასთან საპასუხო მატჩი გვაქვს სათამაშო. სადღაც გაგვიმართლა, სადღაც ბიჭებმა გაილეს ყველაფერი მოსაგებად.

— ***ანგარიში თამაშიდან გამომდინარეა?***

— ვფიქრობ, რომ კი.

— ***რის ხარჯზე მივიღეთ ასეთი შედეგი?***

— ეს მთლიანად ბიჭების დამსახურებაა. უკვე მოთელვაზე შევატყვე გუნდს, რომ ძალიან სერიოზული განწყობა იყო ფეხბურთელებში. ვერ ვიტყვი, რომ მათ ყველაფერი გამოსდიოდათ, მაგრამ დღეს მათ მიერ თამაშში ჩადებული სული და გული დავინახე და ეს ძალიან დასაფასებელია. სასიამოვნოა, რომ სტადიონი გაივსო და მაყურებელი მხურვალედ გვიჭერდა მხარს. ესეც ერთ-ერთი ფაქტორია ჩვენი დღევანდელი გამარჯვების.

— ***ალბათ, იგრძენით, რომ პირველი გოლის შემდეგ მეტოქე დაიბნა, იმდენად სწრაფი ტემპი შესთავაზეთ „დაჩიას“ ამის შემდეგ.***

— ჩვენ ხშირად გვქონია ისეთი შეცდომები, როცა გოლს გავიტანდით, ვეშვებოდით და ვისჯებოდით. ამაზე არაერთხელ მისაუბრია ბიჭებთან და ალბათ, სწორედ თამაშის მნიშვნელობიდან არ მოხდა ის, რისიც გვეშინია ხოლმე. ასეთი თავდადებისა და სწორი თამაშისთვის დასაჩუქრდნენ კიდეც ჩვენი ფეხბურთელები — საკმაოდ კარგი ფორით მოვიგეთ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**კოპა ამერიკა**

| | |
|---|---|
| პარაგვაი-ვენესუელა | 3:3 |
| ბრაზილია-ეკვადორი | 4:2 |

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

**მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-დაჩია | 3:0 |
| მაქაბი-ბორაცი | 5:1 |
| მალმიო-ტორსჰავნი | 2:0 |
| ბანგორი-ჰიკი | 0:3 |
| დინამო(ზ)-ნეფთჩი | 3:0 |
| შკენდერბუ-აპოელი | 0:2 |
| სკონტო-ვისლა | 0:1 |
| შტურმი-ვიდეოტონი | 2:0 |
| ლინფილდი-ბატე | 1:1 |
| პარტიზანი-შკენდია | 4:0 |
| რუსენბორგი-ბრეიდაბლიკი | 5:0 |

### ჩოგბურთი

**ატპ. შტუტგარტი. თიხა**

| | |
|---|---|
| მონფილსი-ჰანესკუ | 6:2;6:7;4:6 |
| მონტანესი-ანდუჰარი | 6:2;4:6;3:6 |
| სტახოვსკი-დელ ბონისი | 4:6;3:6 |
| ჰირალდო-ჩარდი | 1:6;7:5;6:4 |

**ვტა. ბადგშტაინი. თიხა**

| | |
|---|---|
| პერვაკი-კოლარი | 4:6;7:6;6:2 |
| სუარეს ნავარო-პარა სანტონია | 6:3;6:3 |
| ჰალეპი-ბამერი | 6:4;5:7;6:7 |
| პოუს ტიო-ბარუა | 7:6;7:6 |
| ლარსონი-ბონდარენკო კ. | 5:7;0:6 |
| ევტიმოვა-ჰოფმანოვა | 3:6;6:4;6:4 |

**ვტა. პალერმო. თიხა**

| | |
|---|---|
| პირონკოვა-კირსტეა | 2:6;6:1;6:1 |
| ცეტკოვსკა-ამანმურადოვა | 6:2;6:4 |
| ჰერცოგი-ბრიანტი | 6:2;6:4 |
| პენეტა-იოჰანსონი | 4:6;7:5;7:5 |

# საქართველოში ლამაზ გოგონებს ეძებენ

**სხვადასხვა სამოდელო სააგენტოები მთელი ზაფხულის განმავლობაში არაერთ სილამაზის კონკურსს ატარებენ, რომ საუკეთესო გოგონები შეარჩიონ. 15 ივლისს უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტ გოგონებს შორის კონკურსის „სტუდენტური სახე 2011" დასკვნითი ღონისძიება ჩატარდება. კონკურსის პირველი ეტაპი ივნისში თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა. კასტინგის შედეგად ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლიდან თითო გოგონა შეირჩა. ერთთვიანი მოსამზადებელი ტრენინგები სულ 30-მდე კონკურსანტმა გაიარა, რომელიც თბილისსა და ბათუმში მოეწყო.**

ეკა ირემაშვილი

კლუბ „ქალაქურში" შედგა სილამაზის კონკურსი „მის სოხუმი", რომლის ორგანიზატორიც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმმართველობა იყო. კონკურსში მონაწილეობა 13-მა სტუდენტმა გოგონამ მიიღო. კონკურსანტები ნომინაციებში „მის სოხუმის უნივერსიტეტი 2011", „I ვიცე-მისი", „II ვიცე-მისი", „მის თვითმმართველობის სიმპათია", „მის ექსტრავაგანტურობა" და „მის ფოტოგენურობა" გამოვლინდნენ. კონკურსში მონაწილე გოგონებმა დამწყები დიზაინერების მოდელები წარადგინეს. „მის სოხუმს" მაღაზია „მარი გოლდის" სვაროვსკისთვლიანი დიადემა გადაეცა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსგავსი ტიპის კონკურსი პირველად ჩატარდა. კონკურსის ორგანიზატორების თქმით, ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს მასში მონაწილე სტუდენტების კარიერულ წინსვლას. კონკურსის გამარჯვებული „სტუდენტური სახის" ფინალურ ღონისძიებას 15 ივლისს ბათუმში შეუერთდება.

„აისი მოდელ მენეჯმენტმა" უკვე დაასრულა საქართველოში „ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯიას" რიგით მეხუთე წინასაკონკურსო შესარჩევი ტური. სამოდელო ბიზნესისთვის ახალი სახეების შესარჩევი კონკურსი საქართველოში უკვე მეხუთე წელია წარმატებით ტარდება და მიზნად ისახავს 13-დან 22 წლამდე ასაკის გოგონათა შორის ახალი სახეების აღმოჩენასა და მათ საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას. საქართველოში ფინალურ შოუზე გამარჯვებულს თავად ელიტ მოდელ ლუკის წარმომადგენელი აარჩევს, რომელიც პარიზიდან სპეციალურად საუკეთესო მოდელის ასარჩევად ჩამოდის საქართველოში.

— ვიმედოვნებთ, რომ წელს შერჩეული გამარჯვებული საპატიო ადგილს დაიკავებს მსოფლიო აღიარებულ ტოპმოდელთა შორის, ისევე, როგორც წინა წლების წარგზავნილებმა საქართველოდან თამარ შედანიამ, ანნა კოვაჩმა, მარიტა ჯანაშიამ და სოფო შერგელაშვილმა, — აღნიშნულია კონკურსის ორგანიზატორთა მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თბილისში კონკურსანტების რეგისტრაცია 30 ივნისამდე გაგრძელდა, რეგიონული კასტინგები კი ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით — რუსთავში, თელავში, გორში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში. ფინალური კასტინგი თბილისში „დიდუბე პლაზაში" შედგა, სადაც ორგანიზატორებმა 20 საუკეთესო დამწყები მოდელი შეარჩიეს.

„ელიტ მოდელ ლუკ ჯორჯია 2011"-ის დასკვნითი ღონისძიება ოქტომბერში ჩატარდება, სადაც მოდელები წარდგებიან მაყურებლისა და ჟიურის წინაშე. კონკურსის გამარჯვებულს საფრანგეთის წარმომადგენელი გამოავლენს, რომელიც დეკემბერში ჩინეთში „ელიტ მოდელ ლუკის" მსოფლიო ფინალზე გაემგზავრება.

როგორც კომპანია „აისი მოდელ მენეჯმენტის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ეს საკმაოდ პრესტიჟული კონკურსია, რომელმაც აღმოაჩინა მსოფლიოში ისეთი ცნობილი ტოპ-მოდელები, როგორებიც არიან ლინდა ევანჯელისტა, სინდი კროუფორდი, კლაუდია შიფერი, ჟიზელ ბუნდჰენი, ნაომი ქემპბელი, ალესანდრა ამბროზიო. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აძლევს საშუალებას დამწყებ მოდელებს, მიაღწიონ წარმატებას უმოკლესი გზით, გახდნენ პროფესიონალები და დაიწყონ წარმატებული საერთაშორისო სამოდელო კარიერა. ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნიდან კონკურსში 500 000 გოგონა მონაწილეობს და მხოლოდ 70 ფინალისტი ხდება საერთაშორისო კონკურსის მონაწილე. მსოფლიო ფინალის გამარჯვებულებს ელით სამოდელო კონტრაქტი საერთაშორისო სააგენტოებთან და, რაც მთავარია, 325 000 დოლარის საპრიზო ფონდი.

მართალია, კომპანია „ეფ ლეიბორმა" ახალბედა და დამწყები მოდელები არანაირი სილამაზის კონკურსისთვის არ შეარჩია, მაგრამ ახალი კამპანია კი წამოიწყო. „იყავი ორიგინალური, დაიცავი ხარისხი" — ასეთია კომპანია „ეფ ლეიბორის" ახალი კამპანიის დევიზი, რომელიც ქართველ დიზაინერებს მოუწოდებს, საკუთარი სტილი შექმნან და არ მიბაძონ სხვებს.

— „ეფ ლეიბორი" — ეს მხოლოდ მაღაზია არ არის. ეს არის ქართველ დიზაინერთა მიერ შექმნილი სამოსის ადგილი. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ ვიყოთ ყველაზე გამორჩეულები, არ იყოს ჩვენთან კოპირება და მაქსიმალურად კრეატიულები და ინდივიდუალურები იყვნენ ქართველი დიზაინერები, — განაცხადა დიზაინერმა გვანცა ჯანაშიამ.

პირველ აქციაში ელექტრონული მუსიკის ქართველი შემსრულებლებიც მონაწილეობდნენ. „ეფ ლეიბორის" სალონში ასევე წარმოდგენილი იყო ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი კოლექციები, მათ შორის, ქაღალდისგან აწყობილი კოსტიუმები. კამპანიის მიზანია, ქვეყანაში გაფართოვდეს მოდის ინდუსტრია და ხელი შეუწყოს დამწყები ქართველი დიზაინერების დამკვიდრებას ქართულ ბაზარზე.

სტუდია „მოდელ ლუქმა" პირველი გამოსაშვები საღამო მოაწყო, რომელიც კოკო შანელის შემოქმედებას მიეძღვნა. ორნაწილიანი საღამოს პირველი ნაწილი შედგებოდა მინი სპექტაკლისგან — „მოდა მიდის სტილი რჩება, სილამაზე კი სისადავეშია". სპექტაკლში მონაწილეობა „ლუკ მოდელსის" დამწყებმა მოდელებმა მიიღეს. საღამოს დასასრულს კი წარმოდგენილი იყო დიზაინერ მანანა ანთელიძის კოლექცია, რომელიც „მოდელ ლუკის" უკვე ცნობილმა და გამოცდილმა მოდელებმა მოირგეს. მხატვრული იდეის ავტორი მანანა საღარაძე გახლდათ.

სამოდელო სააგენტო „მოდელ ლუკი" გამოცდილმა მოდელმა ნინო ცქიტიშვილმა ჩამოაყალიბა და მისი მიზანი ქართული სახეების მსოფლიო ბაზარზე გაყვანაა. იგი ჩამოყალიბებისთანავე და ახლაც ორიენტირებულია არა მარტო ქართულ სამოდელო ბიზნესში ჩართვაზე, არამედ უცხოურ სააგენტოებთან თანამშრომლობაზე. ის მუდმივად იქნება ახალი სახეების ძიებაში, რათა მოახდინოს მათი პოპულარიზაცია.

ივლისის ბოლოს ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთი სილამაზის კონკურსი ელოდება. საქართველოში უკვე მეორედ ლიცენზირებული „მის თინეიჯერი" გაიმართება. კონკურსში მონაწილეთა ასაკი 14-დან 18 წლამდეა. ამ ასაკის გოგონებს კიდევ ერთხელ ეძლევათ შანსი, საკუთარი მომხიბვლელობა მთელ მსოფლიოს აჩვენონ. წლევანდელ „მის თინეიჯერს" მომღერალი ნინი შერმადინი და ეკა მგალობლიშვილი უწევენ ორგანიზებას. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესარჩევი ტურები საქართველოს სხვადასხვა რაიონში. კონკურსის ორგანიზატორები უკვე სტუმრობდნენ სამცხე-ჯავახეთს, ქვემო ქართლს, სამეგრელო-ზემო სვანეთს, იმერეთს. დარჩათ კახეთი, გურია და აჭარა.

„მის თინეიჯერში" გამარჯვებული 2 ოქტომბერს გვატემალაში გაემგზავრება, სადაც 48 ქვეყნის კონკურსანტი შეიკრიბება. საქართველოს გასული წლის გამარჯვებულმა მარიამ დონაძემ თავისი მომხიბვლელობით ტოპშვიდეულში შესვლა მოახერხა. საქართველოში „მის თინეიჯერის" დასკვნითი ფინალური კონკურსი და გამარჯვებულთა გამოვლენა 25-დან 30 ივლისამდეა დაგეგმილი.

## ადვილია თუ არა თქვენთან ურთიერთობა?

ტესტი



1. ფული გაგიჩნდათ. შეგიძლიათ ყველაფრის მეგობრებისთვის დახარჯვა?
2. ძმაკაცი თავისი პრობლემების შესახებ გიყვებათ. აგრძნობინებთ, რომ მისი პრობლემები არ გაინტერესებთ?
3. ხშირად თუ ეუბნებით ადამიანებს კომპლიმენტებს, რათა ხასიათი გამოუკეთოთ?
4. თუ თქვენი პარტნიორი ჭადრაკს ან სხვა რომელიმე თამაშს ცუდად თამაშობს, მოგების შესაძლებლობას მისცემთ?
5. გიყვართ ბოროტი ხუმრობა?
6. გულღვარძლიანი ხართ?
7. შეგიძლიათ თუ არა, მოთმინებით მოუსმინოთ იმას, რაც არ გაინტერესებთ?
8. ახერხებთ თქვენი შესაძლებლობების რეალიზებას?
9. თუ აგებთ, წყვეტთ თამაშს?
10. უარს თუ ამბობთ ოპონენტის არგუმენტის მოსმენაზე, თუ კამათის დროს საკუთარ სიმართლეში ხართ დარწმუნებული?
11. ხალისით ასრულებთ თხოვნას?
12. შეგიძლიათ თუ არა, ვინმეს დასცინოთ, რომ სხვები გაამხიარულოთ?

**პასუხები**

*1-ლ, მე-3, მე-4, მ-11 შეკითხვებზე — დადებითი, ხოლო დანარჩენებზე უარყოფითი პასუხები თითო ქულით შეაფასეთ.*

**0-4 ქულა:** როგორც ჩანს, თქვენთან ურთიერთობა უახლოეს მეგობრებსაც კი უჭირთ. უფრო კეთილგანწყობით მოეკიდეთ ადამიანებს და მეგობრების რიცხვიც გაიზრდება.

**5-8 ქულა:** კეთილგანწყობას ყველას მიმართ არ იჩენთ. ზოგისთვის შეიძლება ყველაფერი გაიღოთ, სხვებთან კი არც გაიღიმოთ. ეს ცუდი არ არის, მაგრამ ჯობს, ყველას ზრდილობიანად მოექცეთ.

**9-12 ქულა:** თქვენ კეთილი, მოყვარული ადამიანი ხართ, შეგიძლიათ ადამიანებთან ურთიერთობა და ბევრი მეგობარიც გახვევიათ თავს. ოღონდ გახსოვდეთ, რომ ყველასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება შეუძლებელია და არც არის საჭირო.

**გ.თ.**

## იუმორი



— და კიდევ, ყველაზე მეტად ის მაცოფებს, ყურმილს რომ გიკიდებ, აღარ მირეკავ ხოლმე...

***

დიასახლისი ელექტრიკოსს ურეკავს:

— აკი გთხოვეთ, ჩემთან მოდით და ელექტროზარი შემირემონტეთ-მეთქი.

— ვიყავი, შინ არავინ დამხვდა.

— მთელი დღე არსად გავსულვარ.

— არ ვიცი, მოვედი, ზარი დავრეკე, კარი არავინ გამიღო და წავედი...

***

— ფული თუ გაქვს, ჭკვიანიცა ხარ და ლამაზიც, თანაც სიმღერაც კი შეგიძლია...

***

— საქორწინო მოგზაურობაში წასვლა ქორწინებამდე სჯობს...

***

— რენტგენის სურათის გადაღება რა ღირს?

— თქვენ როგორ გინდათ, ჩვეულებრივი?

— კიდევ როგორი შეიძლება?

— შეგვიძლია, მაკაკა შემოგისვათ მხარზე და ზღვისა და პალმების ფონზე გადაგიღოთ...

***

— რა არის ყველაზე ცუდი დღეგრძელობაში? — ეკითხებიან კავკასიელ ბერიკაცს.

— იმის ცქერა, თუ როგორ ბერდებიან შენი შვილთაშვილები...

**გ.თ.**

## სოფელ ქვაბლაში სკოლა შენდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვაბლაში ახალ სკოლას აშენებს. მომავალი წლიდან ამ სოფლის მოზარდები თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლაში ისწავლიან. მშენებლობის მიმდინარეობა მინისტრის მოადგილემ გიორგი ჩახნაშვილმა დაათვალიერა.

როგორც „მედიანიუსს" სამინისტროდან აცნობეს, სოფელ ქვაბლის სკოლის ძველი, საუკუნოვანი ხის შენობა 1985 წლიდან ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ერთი წელი ამ სკოლის 111 მოსწავლე დროებით თავშესაფარში სწავლობდა. მიუხედავად ამისა, ქვაბლის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საატესტატო გამოცდებზე კარგი შედეგები აჩვენეს, ყველა კურსდამთავრებულმა ატესტატი მიიღო და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებით ჩააბარეს.

ახალი სკოლის შენობა თანამედროვედ აღიჭურვება, სკოლას ექნება სასწავლო ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი და სპორტული მოედანი. სკოლა 150 მოსწავლეზეა გათვლილი და მისი მშენებლობა 600 000 ლარზე მეტი დაჯდება.

**ინტერპრესნიუსი**

# ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარემ მუშაობის შედეგები შეაჯამა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რი. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი არის ის, რომ დავაწესოთ ჰონორარი საავტორო უფლებებზე. ტარიფი, რა თქმა უნდა, ყველასთვის მისაღები უნდა იყოს. ამ ტარიფით შეიკრიბება ჰონორარები, ეს კი მოგვცემს საშუალებას, რომ პორტალები შეძლებენ უკვე ლეგალიზებული პროდუქციის შესყიდვასა და თავის გვერდებზე განთავსებას. ავტორთა საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს, განახორციელოს ვებ-გვერდების ლიცენზირება საავტორო უფლებების დაცვის ქვეშ მყოფ ყველა ობიექტზე ისეთი ტარიფის დადგენით, რაც სტიმულს მისცემს ვებ-გვერდებს, მოიპოვონ ლეგალური პროდუქცია და გადაიხადონ ნაკლები ჰონორარი. დღეს ქართულ ინტერნეტ ვებ-გვერდებზე 100-პროცენტიანი არალეგალური პროდუქცია დევს, რაც რეგულაციებს უნდა დაექვემდებაროს. ლეგალიზაცია ეტაპობრივად მოხდება: პირველ ეტაპზე დაწესდება მცირე მოსაკრებლები, რითაც პროდუქციის 10-20 პროცენტი ლეგალური იქნება. მეორე ეტაპზე მოხდება ლეგალური პროდუქციის მოძიება და შესყიდვა. რეგულაციები შეეხება ყველა სფეროს, რაც კონკურენტულ და თანაბარ ბიზნეს-გარემოს შექმნის, — განაცხადა გიგა კობალაძემ.

საქართველოს ავტორთა საზოგადოება როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტორთა უფლებებს დაიცავს. ავტორთა საზოგადოება ქართული ინტერნეტ-პროვაიდერებისა და პორტალების ხელმძღვანელებს ინდივიდუალურადაც შეხვდება, რის შემდეგაც გადაწყვეტილება ოფიციალურად ძალაში შევა.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უვიცი, უცოდინარი ადამიანი რაიმე დარგში; 2. პოლიტიკური ან ეკონომიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი, ურთიერთობის სრული ან ნაწილობრივი გაწყვეტა; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 5. წყლის ხელოვნური არხების სახელწოდება ჰოლანდიაში; 9. მძლეოსნური სატყორცნი იარაღი; 10. ფართო ხეივნიანი ქუჩა, პროსპექტის სახელწოდება ლათინურ ამერიკაში; 14. წყლის შიში; 15. რუმინეთის დედაქალაქი; 16. ამერიკელთა მეტსახელი ლათინური ამერიკის ქვეყნებში; 19. ზებუნებრივი ძალების რწმენა, იდუმალი რამ; 20. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 21. დეტექტიური ჟანრის ინგლისელი მწერალი ქალი.

**თარაზულად:** 6. ორგანიზაციაში დესტრუქციული ქმედებისთვის შეგზავნილი პირი; 7. უნგრელთა მეორე სახელწოდება; 8. ერთ-ერთი კონტინენტი; 11. შეიარაღებული მძარცველი; 12. კანადის დედაქალაქი; 13. საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას" დამაარსებელი; 17. ლატვიის ძველი სახელწოდება; 18. კურორტ კარლოვი-ვარის გერმანული სახელწოდება; 22. ძველბერძენი მოქანდაკე; 23. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 24. თვალის ექიმი; 25. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბობი; 2. კუკია; 3. გვარლი; 5. კოლიე; 6. ნორვეგია; 8. კონსილიუმი; 10. ლიქიორი; 12. პარტერი; 14. აპნისი; 15. პარიკი; 16. ბრუნი.

**თარაზულად:** 1. ბესიკი; 4. უკრაინა; 7. ტეკილა; 9. ლორენი; 11. ენერგია; 12. პრობაცია; 13. გიტარა; 17. კაპელა; 18. გურუ; 19. ბრუქსიზმი; 20. ცილინდრი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნესტანი; 2. სპაგეტი; 3. გვარდიოლა; 4. მარუხი; 5. ხურალი; 9. „ბემბი"; 10. ალიანსი; 14. პარლამენტი; 15. ბუკმეკერი; 16. პიროგა; 19. ზარნაშო; 20. მუხაძე; 21. სუმიდა.

**თარაზულად:** 6. პერსპექტივა; 7. ბაბაჭუა; 8. შტანგა; 11. „ფერხული"; 12. ატოლი; 13. კოპტები; 17. იუმორესკა; 18. ზვიადაური; 22. გულჩარა; 23. გაუტამა; 24. აშხაბადი; 25. დიამბეგი.

# შახ აივაზოვი ჟურნალისტების შეკითხვებს არ პასუხობს



„ასოშეითედ პრესის“ ფოტორეპორტიორი შახ აივაზოვი ჟურნალისტების შეკითხვებს არ პასუხობს.

სააგენტო „ინტერპრესნიუსი“ შახ აივაზოვს დაუკავშირდა და მის დაკავებასა და რამდენიმე საათში გათავისუფლებასთან დაკავშირებით კითხვები დაუსვა, თუმცა ფოტორეპორტიორმა განაცხადა, რომ „ასოშეითედ პრესი“ მას ინტერვიუს მიცემისგან თავის შეკავებას სთხოვს.

შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა „საქართველოს ჟურნალისტური ქარტიის“ საბჭოს წევრებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ არ არის საჭირო, შახ აივაზოვმა საზოგადოებას უთხრას იმ კითხვების შესახებ, რაც მას დაუსვეს. ამის შესახებ სტუდია „მონიტორის“ ხელმძღვანელმა ნინო ზურიაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა.

— კითხვაზე, თუ რატომ დუმს შახ აივაზოვი, მერაბიშვილმა თქვა, რომ არ არის საჭირო, მან საზოგადოებას უთხრას იმ კითხვების შესახებ, რაც მას ჩვენ დავუსვით, — განაცხადა ნინო ზურიაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

7 ივლისს, შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა ფოტოკორესპონდენტები - ზურაბ ქურციკიძე (ევროპის ფოტოსააგენტოს წარმომადგენელი საქართველოში), ირაკლი გედენიძე (პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ფოტორეპორტიორი), მისი მეუღლე ნათია გედენიძე და გიორგი აბდალაძე (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და „ალია ჰოლდინგის“ ფოტორეპორტიორი) და „ასოშეითედ პრესის“ ფოტორეპორტიორი შახ აივაზოვი დააკავეს, თუმცა აივაზოვი დაკავებიდან რამდენიმე საათში გაათავისუფლეს. შახ აივაზოვს ჟურნალისტებისთვის დაკავების მიზეზებსა და იქ მიმდინარე დაკითხვის შესახებ კომენტარი ამ დრომდე არ გაუკეთებია.

**ინტერპრესნიუსი**

# ბათუმში საქართველო-იორდანიის ბიზნეს-ფორუმი და ორმხრივი შეხვედრები გაიმართება

18-21 ივლისს საქართველოს ეწვევა იორდანელ ბიზნესმენთა დელეგაცია იორდანიის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ხელმძღვანელობით.

როგორც „მედიანიუსს“ ეროვნული საინვესტიციო სააგენტოდან აცნობეს, 19 ივლისს 11:00 საათზე სასტუმროში „შერატონ ბათუმი“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ორგანიზებით გაიმართება საქართველო-იორდანიის ბიზნეს-ფორუმი და ორმხრივი შეხვედრები, სადაც ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ, შეხვდნენ და მოლაპარაკებები გამართონ პოტენციურ ბიზნეს პარტნიორებთან, შესაბამისი სექტორების მიხედვით.

ღონისძიებას გახსნის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია.

დელეგაციის წევრები არიან იორდანიის ბიზნეს ასოციაციის ხელმძღვანელები მათ შორის 3 სენატორი და ბიზნესმენები შემდეგი სექტორებიდან: საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეალიზაცია, შოკოლადის წარმოება, მკვდარი ზღვის კოსმეტიკის წარმოება, სოფლის მეურნეობა, ავეჯის წარმოება, მინერალური წლისა და ნატურალური წვენების წარმოება, საგანმანათლებლო და ვიზუალური მასალების წარმოება და სხვა.

მათი მიზანია საქართველოში ბიზნეს პარტნიორების მოძიება და საქმიანი ურთიერთანამშრომლობის დამყარება.

**მედიანიუსი**

# მოსკოვში ე.წ. კანონიერი ქურდი რამაზ ძნელაძე დააკავეს

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა მოსკოვში ე.წ. კანონიერი ქურდი რამაზ ძნელაძე დააკავეს.

„როსბალტის“ ინფორმაციით, დაკავების დროს მას, ნარკოტიკები და ყალბი პასპორტი აღმოუჩინეს. ძნელაძე ივან ფრანკის ქუჩაზე აიყვანეს. დაკავებისას ე.წ. კანონიერმა ქურდმა აზერბაიჯანის მოქალაქის, რუსლან აჰმედ-ოღლის პასპორტი წარმოადგინა.

ძნელაძე 2008 წელსაც ჰყავდათ დაკავებული. მაშინ მას ბრალად ნარკოტიკების უკანონო შენახვა ედებოდა, რის გამოც ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ე.წ. კანონიერი ქურდი 2010 წლის ოქტომბერში გაათავისუფლეს.

„როსბალტის“ ცნობით, ძნელაძე მოსკოვში დანაშაულებრივ ჯგუფებს ხელმძღვანელობდა, რომლებიც ბინების ქურდობით იყვნენ დაკავებულნი, ასევე დიდი გავლენით სარგებლობდა „ქუთაისის“ დანაშაულებრივ ჯგუფებში.

გარდა ამისა, ძნელაძე კუნცევოს საავტომობილო ბაზარსაც აკონტროლებდა.

სამართალდამცავების ინფორმაციით, რამაზ ძნელაძე ე.წ კანონიერი ქურდის ტარიელ ონიანის კლანის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

**მედიანიუსი**

# ახალგორის მოსაზღვრე სოფლებიდან ათობით სული საქონელი დაიკარგა

დუშეთის რაიონის სოფლებიდან ტონჩადან და დუდაურებიდან, რომლებიც ოკუპირებულ ახალგორს ესაზღვრება, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ათობით სული საქონელი დაიკარგა, — აცნობეს „მედიანიუსს“ მცხეთა - მთიანეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

სოფელ ტონჩას მაცხოვრებლების თქმით, ქურდებმა საქონელი სავარაუდოდ ოკუპირებული ახალგორის ტერიტორიაზე გადაიყვანეს.

— შიშით საქონელს გარეთ ველარ ვუშვებთ, გვპარავენ. დახმარებისთვის პოლიციას მივმართეთ, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს, — აღნიშნეს სოფელ ტონჩას მაცხოვრებლებმა.

გუშინ, დილით სოფელ დუდაურებიდან 27 სული ძროხა დაიკარგა. ჭონქაძის თემის რწმუნებული სოსო თანიაშვილი, რომლის ტერიტორიულ გამგებლობაშიც სოფელი დუდაურები შედის, ამ ინფორმაციას არ ადასტურებს.

— მე ვიკითხე და მითხრეს, არაფერი დაგვიკარგავს, სხვა სოფლებში დაკარგესო. თვითონ დუდაურებში არ ვარ და თუ ზუსტად ვერ გეტყვით, — აღნიშნა თანიაშვილმა.

**მედიანიუსი**

# პუტინისათვის კვადრიგის პრემიის მინიჭებამ გერმანიაში სკანდალი გამოიწვია

რუსეთის პრემიერ-მინისტრ პუტინისათვის პრესტიჟული პრემიის, „კვადრიგის“ მინიჭების შემდეგ გერმანიაში სკანდალი ღვივდება.

მრავალი წამყვანი გერმანელი პოლიტიკოსი სვამს შეკითხვას, არის თუ არა ესოდენ მაღალი ჯილდოს ღირსი პუტინი, რომელსაც, როგორც მრავალია დარწმუნებული, პირადად ეკისრება რუსეთში მოქალაქეთა თავისუფლებისა და უფლებების შელახვის პასუხისმგებლობა.

წარსულში ამ პრემიის ლაურატები იყვნენ გერმანიის ყოფილი კანცლერები, გერჰარდ შრიოდერი და ჰელმუტ კოლი, სსრკ-ის და ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტები მიხაილ გორბაჩოვი და ვაცლავ ჰაველი, ევროკომიისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუ.

პრემია გადეცემათ პოლიტიკის, ეკონიმიკისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომლებმაც საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და პიონერი მკვლევრების სულისკვეთება ახასიათებთ. ბუნდესტაგის საგაერო პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა რუპრეხტ პოლენცმა გაზეთ „ნოიე ოსნაბრუკერ ცაიტუნგის“ ინტერვიუში განაცხადა, რომ პუტინის დაჯილდოება „კარგი იდეა“ არ იყო.

„ალბათ, სჯობდა, საქებარი სიტყვით გერმანიის ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი გამოსულიყო, რომელმაც პუტინს თავის დროზე „უზადო დემოკრატი“ უწოდა“ — განაცხადა მან.

გერჰარდ შრიოდერს პუტინთან მჭიდრო კავშირები აქვს. პოსტის დატოვების შემდეგ იგი კომპანია „ნორთ სთრიმის“ დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შევიდა. მოსალოდნელია, რომ ეს კომპანია მომავალში გერმანიაში რუსული გაზის წამყვანი მიმწოდებელი გახდება.

პოლენცის თქმით, პუტინი მხოლოდ რუსეთის ეკონომიკის განვითარებას უწყობდა ხელს, რაც შეეხება სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნასა და ადამიანის უფლებების დაცვას, აქ მას წარმატებისათვის არ მიუღწევია.

პრემიის დამფუძნებელია გერმანული არაკომერციული ორგანიზაცია „ნიუზვერკ ქუადრიგა გმბჰ“. ორგანიზაციის პრესმდივნის სტეფან კლუზენმა ბიბისის ინტერვიუში აღიარა, რომ პუტინის დაჯილდოების გადაწყვეტილება ჟიურისათვის ადვილად მისაღები არ გამოდგა.

მისი თქმით, საბჭოს წევრებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ პუტინის დაჯილდოება მედიაში დიდ რეზონანსს და უარყოფით შეფასებებს გამოიწვევდა.

კლაუზენის თქმით, წინააღმდეგი მხოლოდ საბჭოს ერთი წევრი გამოვიდა, ჯემ ოზდემირი, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იგი პროტესტის ნიშნად „კვადრიგის“ საბჭოს შემადგენლობიდან გამოვიდა.

მწვანეთა პარტიის დეპუტატმა ევროპარლამენტში ვერნერ შულცმა პუტინის დაჯილდოების გადაწყვეტილებას „აბუჩად აგდება, პოლიტიკური შეცდომა და წარსულის ლაურეატებისათვის სახეში შეფურთხება“ უწოდა. მწვანეთა ლიდერმა კლაუდია როტმა პუტინის დაჯილდოება „ადამიანის უფლებათა დამცველებისათვის სილის გაწვნად“ შეაფასა.

მიუხედავად ამისა, „კვადრიგას“ საბჭომ სამშაბათს გამართულ საგანგებო სხდომაზე დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება.

ჟიურის წევრების თქმით, ქვეყნის შიგნით პუტინი კვლავაც აგრძელებს სტაბილურობის უზრუნველყოფას და ამ მიზნით იყენებს ისეთ ბერკეტებს, როგორიცაა ეკონომიკა, თვითშეგნება და მატერიალური კეთილდღეობა.

კვადრიგის დაჯილდოების ცერემონიალი ტრადიციისამებრ ბერლინში 3 ოქტომბერს, გერმანიის ერთიანობის დღეს გაიმართება.

# კადაფი წასვლას აპირებს



საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, რომლებმაც ლიბიის ლიდერის წარმომადგენლებთან კონტაქტი დაამყარეს, მოამარ კადაფი ქვეყნის დატოვებისათვის ემზადება.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალენ ჟიუპემ განაცხადა, რომ ლიბიის ლიდერი ამჟამად ველგან ცდილობს ნიადაგის ზონდირებას, თურქეთში, ნიუ იორკში, პარიზში და ქვეყნიდან წასვლის დეტალების განხილვას ცდილობს.

ამასთან, ჟიუპეს თქმით, ეს კონტაქტები ოფიციალური მოლაპარაკებების ხასიათს არ ატარებს.

ლიბიაში ნატოს სამხედრო ოპერაციის დროს საფრანგეთი წამყვან როლს თამაშობდა. ჟიუპეს თქმით, ფრანგი ხელისუფლები შეხვდნენ კადაფის ემისრებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ლიბიის ლიდერს წასვლა და დეტალების განხილვა სურს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბერნარ ვალერომ განაცხადა, რომ პარიზის პოზიცია ცალსახაა.

საფრანგეთი კვლავინდებურად სამხედრო ოპერაციის გაგრძელებას უჭერს მხარს, თუმცა, ფრანგი ხელისუფლები იმასაც აღნიშნავენ, რომ შესაძლოა, უკვე შეიმჩნევა კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების შესაძლებლობა.

მეამბოხეები კვლავაც ლიბიის აღმოსავლეთ ნაწილს აკონტროლებენ, მაგრამ მათ ჯერჯერობით დედაქალაქ ტრიპოლისთან მიახლოება ვერ მოახერხეს. აქ კადაფის რეჟიმის ერთგული ძალების პოზიციები კვლავაც მტკიცეა.

საფრანგეთი და კოალიციის სხვა წევრები ლიბიაში საომარი მოქმედებების შეწყვეტის პირობად ლიბიის ლიდერის წასვლას მოითხოვენ.

# იაპონიას ატომური ენერგეტიკისაგან გათავისუფლება სურს



იაპონიის პრემიერ-მინისტრის, ნაოტო კანის განცხადებით, იაპონიამ ბირთვულ ენერგეტიკაზე დამოუკიდებელი საზოგადოება უნდა შექმნას.

ამ განცხადებით იგი ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე არსებული კრიზისით გამოწვეული საზოგადოებრივი უკმაყოფილების ფონზე გამოვიდა.

იაპონიის პრემიერ-მინისტრის თქმით, იაპონიამ ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით უნდა გაითავისუფლოს თავი ბირთვულ ენერგეტიკაზე დამოკიდებულებისაგან და შექმნას საზოგადოება, რომელიც ატომური ენერგიის გარეშე არსებობას შეძლებს.

ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარ ავარიამდე ენერგიის 30%-ს იაპონია ატომური ელექტროსადგურებისაგან იღებდა. გასულ წელს მიღებული ენერგეტიკული განვითარების გეგმის თანახმად, იაპონიას 2030 წელს ატომური ენერგეტიკის წილი ქვეყნის ენერგომომარაგებაში 35%-მდე უნდა გაეზარდა.

ფუკუსიმას ატომური ელექტროსადგურის რეაქტორების გაცივების სისტემა ცუნამის ტალღამ გამოიყვანა მწყობრიდან. შედეგად ატმოსფეროში 770 ათასი ტერაბეკერელი რადიაცია გაიფრქვა, რაც 1986 წელს ჩერნობილში მომხდარი ავარიის დროს ატმოსფეროში გაფრქვეული რადიაციის 15%-ს შეადგენს.

ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ და საზოგადოებაში მზარდმა ანტიატომურმა განწყობილებამ პრემიერ-მინისტრი აიძულა, ჯერ კიდევ მაისში იაპონიის ენერგეტიკული სტრატეგიის გადასინჯვაზე დაეწყო ლაპარაკი. მან განსაკუთრებული ყურადღება ენერგიის განახლებად წყაროებზე გაამახვილა.

ოთხშაბათს გამართული პრესკონფერენციის დროს ნაოტო კატომ განაცხადა, რომ იაპონიამ მთლიანად უნდა გაითავისუფლოს თავი ატომურ ენერგეტიკაზე დამოკიდებულებისაგან. მას არ დაუზუსტებია, თუ რამდენად სწრაფად მოხერხდება ეს.

მიმდინარე წლის ივნისში იაპონიის ოპოზიციურმა პარტიებმა პარლამენტში მთავრობის უნდობლობის ვოტუმის პეტიცია წარადგინეს. კანმა მიწისძვრის შემდეგ ეკონომიკის აღდგენის პროცესის დაწყების შემდეგ პოსტიდან შესაძლო გადადგომის განცხადება გაავრცელა.

მას თარიღი არ დაუსახელებია და ამის გამო დაიწყო მითქმა-მოთქმა, თითქოს კანს ვადამდე არჩევნების გამოცხადება სურს.

ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარიის შემდეგ იაპონიის პრემიერის პოპულარობა ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა და ამჟამად გასულ წელს პრემიერად არჩევის მომენტის შემდგომი პერიოდისათვის ყველაზე დაბალია.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების თთანხმად, იაპონელების მხოლოდ 16%-ს მიაჩნია, რომ ნაოტო კანი თავის მოვალეობებს კარგად ასრულებს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# TV პროგრამა

## პარასკევი 15 ივლისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** მხ. ფილმი **"ნადირობა თაგვზე"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.05** დოკ. ფილმი "მსოფლიო ოდისეები" **19.20** მსოფლიო ჩემპიონატი ქვიშის ჭიდაობაში **21.00** სერ. **"დოლმენი"** **22.00, 02.15** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ. ფილმი **"აღმოსავლეთ – დასავლეთი"** (სუბტ.) **03.00** მოამბე **03.20** მხ. ფილმი **"ღმერთები და გენერლები"** (**12**)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" **20.00** მხ. ფილმი **"კრიზისის დრო"** **01.00** მხ. ფილმი **"ჯიბის ფული"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობელი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი (გან.) **18.45** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** ღამის შოუ **00.30** მუს. ლიგა (გან.) **02.15** მხ. ფილმი **"კასაბლანკა"** (ი. ბერგმანი) (სუბტ.) **02.20** ფლეიბოი იმედზე **05.15** მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** ფარული კამერა **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **12.50, 19.30** სერ. **"მეგობრები"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "თავშესაფარი" **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"** **13.40** კონცერტი – ანს. "მძლევარი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"მეტიჩარა"** **16.40** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.05** კონცერტი – გიორგი ლაცაბიძე **17.45** დოკ. ფილმი "ქართული მონეტა" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** დებიუტი – დოკ. ფილმების პროგრამა **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** დოკ. ფილმი "ექვთიმე" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური-დოკ. ფილმი "ვლაქერნას სამოსელი" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე **02.00** მართლ. ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**15 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო —2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

## ამინდის პროგნოზი 15 ივლისისთვის

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-2§, ღამით — 18-29

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 29-21

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 29-22, ღამით — 13-1§








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 295-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


# „ზესტაფონი“ მოლდოვაში ცალი ფეხით მიდის

**ზესტაფონი (საქართველო) — დაჩია (მოლდოვა) 3:0**

ზესტაფონი. დავით აბაშიძის სახელობის სტადიონი. 4.500 მაყურებელი.

**1:0 გელაშვილი (14), 2:0, 3:0 დვალი (23, 40)**

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, ლონლაძე, ონიანი, ხიდეშელი, ელიავა, დაუშვილი, გრიგალაშვილი, აფციაური (ბაბუნაშვილი 86), ძარია (გორგიაშვილი 71), დვალი, გელაშვილი (წინამძღვრიშვილი 69)

**დაჩია:** გაიდუჩევიჩი, ატანაკოვიჩი (მამახი 42), გამეზარდაშვილი, დობრე, დიმოვსკი, ონიკა (ორბუ 79), კოჟოკარი, მიხალიოვი, ტუმბაშევიჩი, სტეპანოვიჩი, ნეჩაევი (დედოვი 46)

ოთხშაბათს ზესტაფონში პირველად გაჟღერდა ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი და გულშემატკივრებით გადაჭე-


გაგრძელება მე-9 გვერდზე




# ოტია იოსელიანი გარდაიცვალა



**81 წლის ასაკში ქართველი მწერალი ოტია იოსელიანი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მას 81 წელი 16 ივნისს შეუსრულდა.**

ოტია იოსელიანი თავისი განუყრელი ჩიბუხითა და ქუდით ქართველ საზოგადოებაში ყველასგან გამორჩეული იყო. მისი მეგობრებისა და კოლეგების განცხადებით, ის ყოველთვის გულწრფელობითა და პირდაპირობით გამოირჩეოდა და მისი კალამიც ყოველთვის სიმართლეს ემსახურებოდა.

მწერლის თხზულებები 1954 წელს გამოქვეყნდა. მოთხრობების პირველი კრებული „კარის მეზობლები“ მწერალმა 1957 წელს გამოსცა. იგი ინტენსიურად მუშაობდა საბავშვო მწერლობის დარგში, ავტორია ათამდე პიესისა, რომელთაგან რამდენიმე საქართველოს და საკავშირო თეატრების სცენაზე დაიდგა. მის რომანებში მთავარი ომის თემაა. ოტია იოსელიანი ავტორია კინოსცენარებისა „ჩქარი მატარებელი“, „მალე გაზაფხული მოვა“, „თეთრი ქალიშვილი“. მისი ცალკეული თხზულებანი თარგმნილია მრავალ უცხო ენაზე.

ნამდვილი კლასიკოსი, სახალხო მწერალი და დრამატურგი — ასე აფასებენ ოტია იოსელიანს ქართველ საზოგადოებაში. გასულ წელს კი იაპონიაში მისი სპექტაკლი დადგეს.

ეკა ირემაშვილი


# 11 ივლისიდან

## იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის“ და „საოჯახო ბიბლიოთეკის“

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო

ტომი 8

ვაჟა-ფშაველა

გაზეთი და წიგნი ერთად

8 ლარი





## ასტროპროგნოზი 15 ივლისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ოპტიმისტური დღეა

**ვერძი** — ეს დღე მნიშვნელოვან საქმეებს დაუთმეთ, აუცილებლად გაგიმართლებთ. **კურო** — ფულს შოულობთ, წინსვლა გელით. **ტყუპები** — მშვენიერი დღეა, საქმეს კეთილად დააგვირგვინებთ. **კირჩხიბი** — არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც ბოლომდე მიიყვანთ. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს ამის დრო არ არის. **სასწორი** — თქვენი ოპონენტები გააქტიურდებიან, მზად იყავით. **მორიელი** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **თხის რქა** — სიურპრიზს მოგიმზადებენ, გახარებული ხართ. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გაწყალებული ღვინო; 2. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი; 3. მსუბუქი არშიყი, ტრფიალი; 5. ლათინოამერიკული ცეკვა; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 8. ჩქარტემპიანი პოლონური ხალხური ცეკვა; 10. პრივილეგიური მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 12. ქართული ავიაკომპანია; 14. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 15. ნახატი ზღვის ხედით; 16. კომბინაცია პოკერში.

**თარაზულად:** 1. ქალაქი, ტბა, კანტონი შვეიცარიაში; 4. არაბეთის ზღვისა და სპარსეთის ყურის დამაკავშირებელი სრუტე; 7. კომპიუტერული თაღლითი; 9. ალბანეთის დედაქალაქი; 11. საფრანგეთის პრეზიდენტი; 12. ჩქაროსნული ავტოსტრადა; 13. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 17. ლითონის ზედაპირის დაშლა მექანიკური ზემოქმედების შედეგად; 18. იაპონური ბრინჯის არაყი; 19. ადამიანის გონებრივი განვითარების დონე; 20. მთავრობის წევრი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

